

გ. წოგავა

ქართველურ ენათა ისტორიული  
ფონეტიკის საკითხები

I

ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი  
ქართველურ ენებში.

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ

Г. В. РОГАВА

Вопросы исторической фонетики  
картвельских языков

I

Некоторые вопросы истории гласных  
в картвельских языках

---

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ — 1962

## წინასიტყვაობა

ქართველურ ენებში დადგენილია ძირითადი ფონეტიკური შესატყვისობანი. სახელდობრ, ქართულის სისინა სპირანტ-აქრ-კატეს ზანურში (და სვანურშიც) სათანადო შემთხვევაში შეესატყვისება შიშინა სპირანტ-აფრიკატები, რის გამოც ქართული მიჩნეულია სისინა რივის ენად, ზანური — შიშინა რივისად (ნ. მარი). ასევე, ქართულის ე და ა ხმოვნებს ზანურში შეესატყვისება ა და ო ხმოვნები.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შესატყვისობებში ამოსავალი ვითარება ძირითადად დაცული აქვს ქართულს: უძველეს ქართველურ დიალექტებში მომხდარა გარკვეული რივის ფონეტიკური ცვლილებები — სისინა სპირანტ-აფრიკატთა არტიკულაციის ადგილის უკან გადაწევა, ე. ი. სათანადო შიშინა სპირანტ-აფრიკატებში გადასვლა. ზანურში აგრეთვე ე და ა ხმოვნები გადასულა ა და ო || → უ ხმოვნებში.

სპირანტ-აფრიკატებში უფრო ადრე უნდა მომხდარიყო უკან გადაწევა, ვინემ ხმოვნებში: კაც → \*კაჩ → კოჩ. გარდამავალი საფეხური თანხმოვნებში მომხდარი გარკვეული ცვლილებებით შემონახული აქვს სვანურს — კაშ («ქმარი») ← \*კაჩ (არნ. ჩიქობავა).

ამავე დროს ცნობილია ამ შესატყვისობათა დარღვევის ბევრი ფაქტი ქართველურ ენებში. შენიშნულია, რომ უდავოდ ერთიანი წარმოშობის ფუძეებში გვაქვს კანონზომიერი შესატყვისობა ხმოვნებში, თანხმოვნებში კი მოსალოდნელ შესატყვისობას არა აქვს ადგილი — ქართ. ხამ-ი: ზან. ხუმ-ი (ჩვეულებრივ ზანურისა და სვანურის მონაცემები ემთხვევა ქართულისას). პირიქით, შესაძლებელია შესატყვისობას ადგილი ჰქონდეს თანხმოვნებში, ხოლო ხმოვნებში დასტურდებოდეს შესატყვისობის დარღვევა: ქართ. ცხელ-ი: ზან. ჩხე და სხვ. . .

მეორე მხრივ, არის ფაქტები, როცა მოსალოდნელი ბგერათ-  
დამთხვევა დარღვეული ჩანს — ქართ. რ (წერს): ზან. რ (ქარუნს),  
მაგრამ — ქართ. რ (ხარი): ზან. ჯ (ხოჯი) და სხვ., ქართ. ლ (და-  
ცაღა): ზან. ლ (დოჩოღუ), მაგრამ ქართ. ლ (ძაღლი): ზან. რ.  
(ჯოღორი) და სხვ. ...

ამგვარად, ქართველურ ენებში დასტურდება ბგერათმიმარ-  
თებთან რთული სურათი.

ბოლო ხანებში გამოითქვა აზრი, რომ ქართველურ ენებში  
ბგერათფარდობათა ასეთი მრავალსახეობა უნდა აიხსნებოდეს  
იმიტ, თითქოს თითოეული ეს მიმართება ამოსავალში იყოს მიღე-  
ბული განსხვავებული ფონემებისაგან, ე. ი. ქართველურ ენათა  
ფუძე ენაში თითქოს უნდა გვექონოდა ორი რიგის სისინა სპირან-  
ტი ხ, ორი რიგის შიშინა შ, ორი ლ და სხვ., სადაც ერთ მათ-  
განს მოუცია განსხვავებული რეფლექსები — ქართ. ხ: ზან. შ, ხო-  
ლო მეორე — იმავე სახით შემონახულა — ქართ. ს: ზან. ს<sup>1</sup>...

არ იქნებოდა მეთოდოლოგიურად გამართლებული ბგერათ-  
ფარდობათა ყოველი სახეობა ჩაგვეთვალა განსხვავებული ამოსა-  
ვალი ფონემებისაგან მიღებულად. საკითხის ასეთი ახსნის ცდა  
რთული ვითარების გასარკვევად მეტად ადვილი გზის არჩევაა. იგი,  
ცხადია, სქემატურობის ხასიათს ატარებს. ენაში ასეთი სწორხა-  
ზოვანი განვითარება არ ხდება, როგორცაე ესა და მსგავსი სქე-  
მები გულისხმობს<sup>2</sup>.

ნამდვილად კი ქართველურ ენებში ბგერათშესატყვისობათა  
და ბგერათდამთხვევათა დარღვევის მთელი რიგი ფაქტები უნდა  
იყოს შედეგი ამ ენათა დიფერენციაციის შემდეგ მომხდარი რთუ-  
ლი ფონეტიკური პროცესებისა არსებითად ზანურსა და სვანურში.  
ერთი მხრით, ეს პროცესები უნდა იყოს როგორც კომბინატორუ-

<sup>1</sup> V. Polák. Contributions à la grammaire historique des  
langues kartvéliennes, Archiv Orientalni, 1955, XXIII, № 1—2.

<sup>2</sup> შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში ბგერათფარდობათა ნაირსახეობანი  
ქართველურ ენებში მართლაც იყოს შედეგი ამოსავალში განსხვავებული ფონე-  
შების არსებობისა. ასეთი ვარაუდის დაშვება შესაძლებელი ხდება, პირველ რიგ-  
ში, ლარინგალებისა და ფარინგალების მიმართ, რამდენადაც, როგორც ეს სათა-  
ნადო ფაქტებით მტკიცდება, ქართველურ ენებში (ისევე, როგორც სხვა იბერი-  
ულ-კავკასიურ ენებში) ფარინგალ-ლარინგალთა სისტემა ისტორიულად უფრო  
რთულია ყოფილა.



ლი ხასიათისა, ისე ზოგჯერ პოზიციურად განსაზღვრული სპონ-  
ტანური ხასიათისაც, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ეს ნ. მარს  
აქონდა შენიშნული, მიღებული უნდა იყოს ენობრივი გავლენების  
შედგად (ივარაუდება ქართულის გავლენა ზანურსა და სვანურზე).

ცნობილია აგრეთვე ქართველურ ენებში შესატყვისობათა  
ცვლის შემთხვევები ხმოვნებშიც: ქართ. ა — ცვარ-ი: ზან. უ || ო  
— ცუნჯ-ი, მაგრამ — ქართ- ა — მქად-ი: ზან.(ვიწ. არქ.) უ || ო —  
ქკუდ-ი: ხოფ. და სენაკ. ი — ქკიდ-ი და სხვ. ...

ი ხოფურსა და სენაკურში ასეთ შემთხვევაში მართებულად  
მეორეულ მოვლენად არის მიჩნეული.

სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე მოხერხდა, ერთი  
მხრივ, გარკვევა იმ პოზიციისა, რომელშიც ასეთ ცვლილებას აქვს  
ადგილი და, მეორე მხრივ, დადგენა იმისა, თუ რა გზით მივიღეთ  
უ (აგრეთვე ო) ხმოვნისაგან ი ხმოვანი (უ || ო → გ → ი).

ჩვენი ძიების საგანს ამეამად წარმოადგენს ხსენებულ კანონ-  
ზომიერ ბგერათშესატყვისობათა დარღვევის შემთხვევათა ახსნა.

წინამდებარე ნაშრომში ვეხებით შესატყვისობათა დარღვევის  
ფაქტებს ხ მ ო ვ ნ ე ბ შ ი.

შემდეგს მონაკვეთებში განზრახული გვაქვს გავაშუქოთ საკით-  
ხები თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა კანონზომიერ შესატყვისობათა დარღვე-  
ვისა ქართველურ ენებში.

## ნაწილი პირველი

### უ და ი სმოკანთა რეფლექსები სანსურის კილოკაჰებში

§ 1. როგორც ცნობილია, ზანურის კილოკაჰებში რიგ შემთხვევაში შეინიშნება უ-სა და ი-ს შესატყვისობა:

ვიწ. - არქ. დაჩხურ-ი, ათინ. დაჩხურ-ი, ხოფ. დაჩხი-ი, სენაქ. დაჩხი-ი „ცეცხლი“.

ვიწ. - არქ. კეჟდ-ი, ათინ. კეჟდ-ი, ხოფ. კეიდ-ი, მეგრ. კეიდ-ი „მქადი“.

ვიწ. - არქ. ეჟურ-ი, ათინ. ეჟურ-ი, ხოფ. ეჟურ-ი, მეგრ. ეირ-ი „რორი“.

ვიწ. - არქ. დოზუმუ, ათინ. დოზუმუ, ხოფ. დოზიმუ, მეგრ. დოზიმუ „გაზომა“ და სხვ. ...

§ 2. ასევე ცნობილია ამავე კილოკაჰებში ო-სა და ი-ს შესატყვისობა:

ვიწ. - არქ. კორზა, ათინ. კორზა, ხოფ. კირზა, მეგრ. კირზა „სუთი“.

ვიწ. - არქ. ოქკორუ, ათინ. ოშკორუ, ხოფ. ოქკირუ, მეგრ. ოქკირუ „ქრა“ და სხვ. ...

§ 3. ზანურის კილოკაჰებში უ : ი და ო : ი შესატყვისობანი პირველად შენიშნა ნ. მარმა. ამავე დროს მას აღნიშნული აქვს ამ შემთხვევაში ი-ს მეორეულობა : უ → ი || ო → ი<sup>2</sup>.

ეს მოსაზრება გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „ხოფურისათვის დამახასიათებელია ქანური უ || ო-ს შენაცვლება ი-თ : ქ ო მ ო ლ ი ვ ა ფ ა ც ი →

<sup>2</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, 1910, гл. XX.

ქიმოლი... ნუსა რძალი, ... → ნისა... ტუბუ თბილი → ტი-  
 ბუ... ჩქუ, ჩქუნი ჩვენ. ჩვენი → ჩქინ, ჩქინი... დოფსკუდ  
 დავრჩი → დოფსკიდი... დობოსკურინი დავაშრე, გავაქრე →  
 მე(ე)ოსკირინი... ტიბუ, ჩქი, ჩქინი, დოფსქიდი, დოვოს-  
 ქირე... მეგრულშიც ი-თ არის წარმოდგენილი: უ → ი ზანურის  
 ენის სინამდვილეში არა მარტო ჰანურის ხოფურს კილოკავს ახასია-  
 თებს, არამედ მეგრულს მთლიანად, მის ორივე კილოკავს; მართა-  
 ლია, ყველგან, სადაც ხოფურს აქვს, მეგრულში ი არ არის:  
 მეგრულში გვაქვს ნოსა, ქომოლი, მიჩქუნ და არა: ნისა,  
 ქიმოლი, მიჩქინ, მაგრამ არა ერთია ისეთი მაგალითი, როცა  
 ხოფურს უ შეუნარჩუნებია, მეგრულში კი ამ უ-ს ადგილას ი-ა:  
 ჯიმა ძმა — ჰან. ჯუმა (ყველა კილოკავში)... ქური ქორი →  
 ქირი (მეგრ.)... მეგრულში უ → ი ფართო გასაქანი უნდა ქონოდა  
 ტეხირი ← ტეხური, ღირი (შდრ. ჰან. ეური), ჯიმა (შდრ.  
 ჰან. ჯუმა), გირინი (შდრ. ჰან. გურუნი) ამას მოწმობენ<sup>4</sup>:  
 სხვა გამოკვლევებშიც არნ. ჩიქობავას ნაჩვენები აქვს ი-ს წარ-  
 მომავლობა უ || ი ხმოვნებისაგან.

§ 4. უ: ი მიმართებაში. რომ უ არის ამოსავალი ზანურის  
 კილოკავებში, ამის საფუძველს წარმოადგენს ქართულის მონაცე-  
 მები: ამ რიგის შემთხვევებში ზანურის უ || ი-ს შესატყვისად ქარ-  
 თულში გვაქვს ან ა || უ ანდა ა ხმოვანი:

ხოფ. და სენაკ,	ვიწ.-არქ. და ათინ.	ქართ,
ოზიმუ	ოზუმუ	გაზომვა
ქილ-ი	ქკულ-ი	(მ)ქალ-ი
		და სხვ. <sup>5</sup>

§ 5. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ზანუ-  
 რისათვის ამოსავალი უ ხმოვნის შესატყვისი ი-ს ნაცვლად კანონ-  
 ზომიერად გვხვდება გ, ირაციონალური ხმოვანი:

ვიწ.-არქ. დაჩხურ-ი, ათინ. დაჩხურ-ი, ხოფ. დაჩხირ-ი,  
 ზუგდ.-სამ. დაჩხგრ-ი „ციცხლი“. ვიწ.-არქ. ქკულ-ი, ათინ. ქკულ-ი,

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 24—25.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 174...

ბიფ. ჰქიდ-ი, სენაკ. ჰქიდ-ი, ზუგდ.-სამ. ჰქვდ-ი, ქართ. მქადი-  
ვიწ.-არქ. კუზ-ი, ათინ. კუზ-ი, ხოფ. კიზ-ი, სენაკ. კიზ-ი, ზუგდ.;  
სამ. კვზ-ი, ქართ. კოვზ-ი. ვიწ.-არქ. ყურ-ი, ათინ. ყურ-ი, ხოფ.  
ყურ-ი, სენაკ. ყირ-ი, ზუგდ.-სამ. ყვრ-ი, ქართ. ყრი... და სხვა...

ასევე, ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ზანურისათვის  
ამოსავალი ო ხმოვნის შესატყვისი ი-ს ნაცვლად გვხვდება იგივე  
გ ირაციონალური ხმოვანი:

ვიწ.-არქ. კოლა, ათინ. კოლა, ხოფ. კილა, სენაკ. კილა, ზუგდ.-  
სამ. კვლა „გასაღები“; ვიწ.-არქ. დოქკორუ, ათინ. დოშკორუ,  
ხოფ. დოქკორუ, სენაკ. დოქკორუ, ზუგდ.-სამ. დოქკვრჯ „დაქრა“ და  
სხვ. ...

§ 6. დაისმის კითხვა: რა მიმართებაშია ამ შემთხვევაში  
ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის გ სხვა კილოკავეებში მის  
შესატყვის ხმოვნებთან? რა წარმოშობისაა საერთოდ გ ხმოვანი  
ზანურში?

ამ საკითხების შესახებ გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმუ-  
ლი სპეციალურ ლიტერატურაში.

ირაციონალური ხმოვანი გ, როგორც ცნობილია, ქართველურ  
ენათაგან გვხვდება სვანურში (მის ყველა კილოში) და ზანურის  
ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში. ეს ხმოვანი იხმარება სენა-  
კურ კილოკავშიც, თუმცა აქ იგი შედარებით იშვიათადაა გამო-  
ყენებული და ისიც არასისტემურად.

ზანურის გ ირაციონალურ ბგერის საკითხს პირველად შეეხო  
ალ. ცაგარელი. მას მოცემული აქვს ამ ბგერის არტიკულაციის  
ფიზიოლოგიური აღწერა და მისი მიმართება სხვა ბგერებთან.

ა. ცაგარელს სწორად აქვს შენიშნული, რომ გ ხმოვანი მეგ-  
რულში დამახასიათებელია არსებითად სამურზაყანოსა და ზუგდი-  
დის მაზრის მცხოვრებთა მეტყველებისათვის, ხოლო სენაკის მაზ-  
რაში იგი უფრო იშვიათად იხმარებაო. ეს ხმოვანი მას მეგრულის  
ძირითად ბგერად აქვს გაგებული. ა. ცაგარლის დაკვირვებით გ  
იძლევა უ, ი, ა, ო რეფლექსებს:

გ → უ : გიმიილგ	→ გიმიილუ	გამოვიდა
ბტუ(?)	→ ხუტუ	(მამაკაცის სახელია)
გ → ი : ცგრა	→ ცირა	ქალიშვილი

გ → ა დოჰვილგ → დოჰვილა მოკლა  
გ → თ ქემორთუ → ქომორთუ მოვიდა<sup>6</sup>

ო. ყიფშიძე, ისევე როგორც ალ. ცაგარელი, გ ხმოვანს თელის ნახევარხმოვნად. მასაც ეს ხმოვანი ძირითად ბგერად აქვს მიჩნეული<sup>7</sup>, ოღონდ იგი არაფერს ამბობს ამ ბგერის პირველადობის თუ მეორეულობის შესახებ.

ქართველურ ენათა გ ირაციონალური ხმოვნის შესახებ სხვაგვარი მოსაზრებაა გამოთქმული შემდეგდროინდელ ლიტერატურაში.

ირაციონალური ხმოვანი გ ქართველურ ენებში, ისე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, მეორეულ ბგერადაა მიჩნეული. სენაურის გ ა. შანიძეს შეტანილი აქვს თითქოს ძირითად ხმოვანთა რიგში (ა ე ი თ უ ჯ), მაგრამ იქვე სქოლიოში შენიშნავს: „გ ხმოვნის ძირითადად მიჩნევა შეიძლება საცილობელიც იყოს. როგორც გვიჩვენებს დაკვირვება ზოგიერთ ენებზე, რომელთაც იგი მოეპოვებათ (აფხაზური, სომხური, თვით სენური), იგი მრავალ შემთხვევაში სხვა ხმოვანთა რედუქციის შედეგია და ხშირად აგრეთვე ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა გამოთქმის გასაადვილებლად განვითარებული სეკუნდარი ხმოვანი“<sup>8</sup>.

მეორეულად აქვს მიჩნეული გ ხმოვანი ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში არნ. ჩიქობავას. „ქანურისაგან განსხვავებით, — წერს იგი, — მეგრულს გააჩნია გ ნახევარხმოვანი, მიღებული ი და უ-ს (ზოგჯერ თ-ს) დასუსტებით: გგრუნი ← გირინი ეირი, კენტური ← კინტირი კიტრი, თური ← თირი თოელი, ქემორთუ ← ქომორთუ მოვიდა, „ქვემოვიდა“ (შდრ. ქან. ქომოხთუ), დოქარუ ← დოქარუ დაწერა და სხვა. ეს ბგერა საერთოდ მეგრულის დამახასიათებელი არაა, ის ზუგდიდურ-სამურზაყანულში გვაქვს; სენაკურ კილოკავთან შედარება და ქანურის ჩვენება ცხადყოფს, რომ ეს გ მეორეული მოვლენაა, სრულ ხმოვანთა დასუსტებით მიღებული“<sup>9</sup>.

<sup>6</sup> Ал. Цагарели, Мингрельские этюды, 1880, гл. 17—18.

<sup>7</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, 1914, гл. 012.

<sup>8</sup> ა. შანიძე, უძველესი სენურში, არილი, გვ. 173.

<sup>9</sup> არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 20.

ქართველური ენების **ჯ** ირაციონალური ხმოვნის მეორეულობას ასაბუთებს აგრეთვე გ. ახვლედიანი. მისი დაკვირვებით **ჯ** ხმოვანი ხასიათდება „არტიკულაციის სისუსტით, ენისა და ტუჩების არა-აქტიური მოქმედებით: მისი წარმოთქმის დროს ენა არც წინ იწევა და არც უკან, აგრეთვე ტუჩები ღია ინდიფერენტულ მდგომარეობაშია... **ჯ** ხმოვნის არტიკულაციური სისუსტე და ნეიტრალობა კარგად ჩანს იმ შესატყვისობიდან, რომელიც არსებობს **გ**-ს მიმართ, მაგ., მეგრულში, ერთი მხრივ, თვით მეგრულის კილოთა შორის და, მეორე მხრივ, მეგრულსა და ქართულს შორის: ზუგდ.-სამ. ქერი, ტე, თერ-ი, კეზირი || სენაკ. ქირი, ტუ, თირი, კიბირი || ქართ. ქორი, ტუა, თოვლი, კბილი. როგორც აქიდან ჩანს, **ჯ** ხმოვანი, როგორც მეორეული მოვლენა (ა. ჩიქობავა) წარმოადგენს სხვადასხვა რიგის ხმოვანთა დასუსტების შედეგს<sup>10</sup>.

ამრიგად, ბოლოდროინდელი ლიტერატურის მიხედვით ზანურის დიალექტებში ადგილობრივი **ჰქონია** სამი სახის ფონეტიკურ პროცესს:

1. უ (ა) → ი (ხოფურსა და სენაკურში)
2. უ (ა) → ჯ (ზუგდიდურ-სამურზაყანულში)
- 3: ი → ჯ (ზუგდიდურ-სამურზაყანულში).

ამ მოსაზრებათა მიხედვით ზანურის კილოკავებში, ხმოვანთა შესატყვისობებში, ერთი მხრით, ვიწ.-არქ. უ : ათინ. უ : ხოფ. ი : სენაკ. ი : ზუგდ.-სამ. ჯ და, მეორე მხრით, ვიწ.-არქ. ა : ათინ. ა : ხოფ. ი : სენაკ. ი : ზუგდ.-სამ. ჯ ამოსავალია უ და ა, დაცული ქანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში, ხოლო ხოფურში, სენაკურსა და ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავებში ეს უკანაენისმიერი ხმოვნები (უ და ა) გადასულა ი ხმოვანში, რომელსაც ზუგდიდურ-სამურზაყანულში შემდეგ მოუცია **ჯ** ხმოვანი: უ || ა → ი → ჯ.

რამდენადაც აქ არ არის ნაჩვენები მიზეზები ასეთი გადასვლებისა, ივარაუდება, რომ ეს პროცესები სპონტანურ ხასიათისად მიიჩნევა.

§ 7. საქმის ნამდვილი ვითარება ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: დასახელებულ შემთხვევაში შესატყვისობა ზანურის კილოკავებში

<sup>10</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1938, გვ. 159; ს. ელენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, § 17.

ვიწ.-არქ. უ:ათინ. უ:ხოფ. ო:სენაკ. ო:ზუგდ.-სამ. გ შედგეგიჰ  
 ზანურის ხოფურ, სენაკურ და ზუგდიდურ-სამურზა-  
 ყანულ კილოკავებში გარკვეულ პოზიციებში უკა-  
 ნაენისმიერ უ ხმოვნის ირაციონალურ გ ხმოვანში  
 გადასვლისა. ხოფურსა და სენაკურ კილოკავებში  
 გ ხმოვანს შენაცვლებია ძირითადი ხმოვანი ო:უ →  
 გ → ო.

ასევე, შესატყვისობა — ვიწ.-არქ. ო:ათინ. ო:ხოფ. ო:სენაკ.  
 ო:ზუგდ.-სამ. გ უნდა აიხსნას ამოსავალი ო ხმოვნის  
 ჯერ გ ირაციონალურ ხმოვანში გადასვლით გარ-  
 კვეულ პოზიციებში და შემდეგ ამ შემთხვევაშიც.  
 ხოფურსა და სენაკურში ამ გ-ს ო ხმოვნის შენაცვლე-  
 ბით: ო → გ → ო.

მაშასადამე, ზუგდ.-სამ. დაჩხურ ← დაჩხურ; სენაკ. და ხოფ.  
 დაჩხირ ← დაჩხურ ← დაჩხურ „ცეცხლი“. ასევე, ზუგდ.-სამ. კგლა ←  
 კჟლა; სენაკ. და ხოფ. კჟლა ← კგლა ← კჟლა „გასაღები“.

როგორც ირკვევა, ირაციონალური გ ხმოვანი ერთ დროს  
 საერთო მოვლენა ყოფილა როგორც ზუგდიდურ-სამურზაყანულში,  
 ისე ხოფურსა და სენაკურ კილოკავებშიც. ამ გ ხმოვნის შენაც-  
 ვლება საერთო-ქართველური ძირითადი ო ხმოვნით ხოფურსა და  
 სენაკურში უნდა მიეწერებოდეს ქართულის ვოკალიზმის გავლენას.

§ 8. ფონეტიკური პროცესი უ || ო → გ ზანურის დასახელებულ  
 კილოკავებში გარკვეულ პოზიციაში ხდება და იგი  
 სისტემურ ხასიათს ატარებს. ამავე დროს მეტად ხში-  
 რია შემთხვევები უ-ს გადასვლისა გ-ში და შედარებით შეზღუ-  
 დულია ო → გ.

უ || ო-ს შეცვლა ირაციონალურ გ ხმოვნით ზანურის გარ-  
 კვეულ კილოკავებში ზოგადი ხასიათის ფონეტიკური პროცესია.  
 იგი გამოწვეულია უ || ო-ს წარმოებისათვის საჭირო ბაგეებისა და  
 ენის აქტიურობის მოდუნებით.

შესაძლებელი ხდება მიკვლევა იმისა, თუ რა პირობებში შეი-  
 ძლებოდა ზანურის კილოკავებში უ || ო გადასულიყო გ-ში.

§ 9. ირკვევა, რომ როგორც ზოგადი (სპონტანური) ხასია-  
 თის პროცესი უ (აგრეთვე ო-ც) ზუგდიდურ-სამურზაყანულის  
 მსგავსად სენაკურსა და ხოფურში ფუნქციულ მასალაში გადასულა

-ში, როცა მას (უ || თ-ს) წინ უძღოდა რომელიმე არალაბიალური თანხმოვანი — გ, ქ, კ, ლ, ზ, ზ, ხ და სხვ... და ამავე დროს, როცა მას ეკავა ინტერკონსონანტური პოზიცია. მაგალითები:

გურუნ-ი → გგრუნ-ი „ვირი“  
 კკუდ-ი → კკგდ-ი „მქადი“  
 დაჩხურ-ი → დაჩხგრ-ი „ცეცხლი“  
 ოზუმუ → ოზგმუ „ზომეა“  
 კოლა → კგლა „გასაღები“  
 ოქკორუ → ოქკგრუ „ქრა“ დ ხვ. ...

§ 10. ხოფურისა და სენაკურისაგან განსხვავებით ზუგდიდურ-სამურზაყანულში ეს პროცესი კიდევ უფრო შორს წასულა: არალაბიალური თანხმოვნის მომდევნო უ-ს აქ მოუცია გ აფიქსი-სეულ მასალაშიც და აგრეთვე ღია პოზიციაშიც: მაგალითები:

ზუგდ.-სამ. რგ-გნ-ც ← რგ-უნ-ს „რგავს“  
 „ რჩხ-გნ-ც ← რჩხ-უნ-ს „რეცხავს“  
 „ დორგ-გ ← დორგ-უ „დარგო“  
 „ გორჩხ-გ ← გორჩხ-უ „გარეცხა“  
 „ ტგ ← ტუ „ტური“ (შდრ. გურ. ტუ „ტური“)  
 „ ბალ-გ ← ბალ-უ „ბელელი“ ...

§ 11. სხვაგვარ პოზიციაში უ || თ ხმოვანი უცვლელი რჩება ზანურ კილოკავებში, მათ შორის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშიც. ეს შემთხვევებია:

ა) სიტყვის დასაწყისში:

უჩა „შაე“ უკული „შემდეგ“  
 უღუ „უღელი“ უჩაში „უფროსი“  
 ურო „ურო“ უკულაში „უმცროსი“  
 უკუმელა „სიბნელი“ უხენოთ „ფეხმძიმედ“  
 უჯგუში „უკეთესი“ ურთა მთის სახელია და სხვ.

აღ. ცაგარელს აქვს აღნიშნული, რომ გ არ შეიძლება გვხვდეს. ბოდეს სიტყვის დასაწყისში<sup>11</sup>.

<sup>11</sup> აღ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.



ბ) ხმოვნის წინ:

ჯუა	„ძუ“	ქუა	„ქვა“
ფსუა	„ფრთა“	ონჯუა	„სალამო“
რუო	„რვა“	სქუა	„ზეილი“ და სხვ.

შენიშვნა: ზმნის ფორმაში ხმოვანი ჯ (← ო) შესაძლებელია გექონდეს ი-ს წინ ისეთ შენთხვევაში, როცა მათშორის ფონეტიკური ნიადაგზე ამოვარდნილი ჩანს პრევერბისეული ჯ თანხმოვანი. ასე, მაგალითად, ამოსავალი \*ქჷ-გი-თო-ი-ლა-ყაფუ → ქჷ-გი-თი-ი-ლაყაფუ → ქჷ-თი-ი-ლაყაფუ „ქვეშ თამაშობს“. ჯ-ს მომდევნო ი ამ მდგომარეობაში კარგავს მარცვლიანობას, ე. ი. გადადის ა-ში — ქჷ-ა-თი-(ი)-ლაყაფუ.

ზუგდ.-სამ.: ნდემქჷ მაანქჷ კარიშა დო ოკო დედღბი ქჷიტიყინტიუასი ფერი თამცჷ ე ბოშიქჷ გოშქვილუუ საგანი (ყიფშ., მ. ტ., 58,16) „დევი მიუახლოვდა კარს და როცა დედაბერი უნდა. გადაყლაპოს, იმ დროს ეაგმა მომართა ისარი“.

ართი ქანდარი გედგჷ ათე შარას მინდორსია, ეთი ჯას ქჷათინჯირია (ზუბ., მ. ტ., 71, 17) „ერთი ქანდარი დგას ამ გზაზე მინდორშიო, იმ ხის ქვეშ დაწეკიო“.

აღ. ცაგარლის აზრით, ჯ ხმოვანი უშუალოდ მომდევნო სხვა ხმოვანთან განიცდის ასიმილაციას (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 17). ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მისი საერთო შეხედულებიდან, რომლის მიხედვითაც ჯ არის მეგრულის ერთ-ერთი ძირითადი ბგერათაგანი.

სინამდვილეში, ხმოვნის წინ ჯ არ შეიძლება ოდესმე ყოფილიყო.

რომ ჯ არ შეიძლება მოექცეს სხვა ხმოვნის მეზობლად, ეს დასტურდება შემდეგით: ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში სიტყვის ბოლოკიდური ჯ, მიღებული უ-საგან, თუ მას დაერთვის რომელიმე ხმოვანით დაწყებული სუფიქსი, ისევ შეიცვლება ამოსავალი უ-თი: ზუგდ.-სამ. ჩქჷჩქჷ „ბავშვი“: ჩქჷჩქჷ-ეფ-ი „ბავშვები“; კღღჷ „ქოდალა“: კღღჷ-ეფ-ი „ქოდალები“ და სხვ.

გ) ბ, ფ, პ, მ წყვილბაგისმიერი ხმულების შემდეგ:

მეგრ. ბული	ბალი	მეგრ. ბურთი	ბურთი
ბურკულ-ი	წალდი	ყებური	კერა
ბურბუ	ლაშურა	ფუჯი	ფური
ბურკი	ბერწი	ღუთქური	ხაესი
ობუჯი	სოფელია	ფურცელი	ფურცელი
ფურინუა	ფრენა	ფუტქინი	ჩურჩული
ფურჩა	ნაქურჩალი	პუხა	კუზიანი
ფუჩი	ფიცი	პუტორუა	გაპუტვა
ფუჩხა	ნამცეცი	(მ)აჟლა	ორთქლი
ღულუა	დამალვა	მუხურ-ი	კუთხე
თაფური	თაული	მუცი	ნარწყვი
მუ	რა	ნუნტური	მატლი
მუნა	მანა	მუნაჟა	ღრუბელი
მუმული	მამალი	მუდა	რამდენი
მუნჩქვი	მაჩვი	ყუნური	ტყემალი
მურიციხი	ვარსკვლავი	ქჟუმუნც	ქამს და სხვ....
მუხვი	თხუნელა		

დ) უ ხმოვანი არ გადადის გ-ში არც ზუგდიდურ-სამურხაყანულ კილოკავში, როცა მას წინ უძღვის რონელიმე ლაბიალიზებული კომპლექსი: თანხმოვანი + ვ (უ): გვ — ქვ — კვ, ღვ — ხვ, ჯვ — ჩვ — ქვ, ძვ — ცვ — წვ, შვ — შვ, ღვ — ღვ — ტვ... ძველ ქართულში ასეთი კომპლექსების ლაბიალური მომენტი აღინიშნებოდა ჩვეულებრივ უ ასოთი (უმარცვლო უ): გუ — ქუ — კუ, ღუ — ხუ, ჯუ — ჩუ — ქუ, ძუ — ცუ — წუ, შუ — შუ, ღუ — თუ — ტუ...

არსებითი მნიშვნელობა აქვს უ-ს ისტორიის თვალსაზრისით ამ უკანასკნელ შემთხვევებს.

უ ხმოვანი ზანური დაერთვის ზნის ფუძეს შემდეგი სახით:

ა) უ როგორც -უნ თემის სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი — უ-არ-უნ-ს წერს.

ბ) უ მესამე სუბიექტური პირის აფიქსია — დოქარ-უ „და-წერა“

გ) უ ძველი მასდარის სუფიქსია — ო-ქარ-უ „წერა“,

დ) უ უარყოფითი მიმღობის სუფიქსია — უ-ქარ-უ „დაუ-წერელი“.

მეგრულის ზუგდიდურ-სანურზაყანულ კილოკავშიც, ისე როგორც ზანურის სხვა კილოკავებში, როცა ასეთი აფიქსისეული უდაერთვის ლაბიალიზებული კომალექსებისაგან (ძვ. ცვ. წვ, გვ, ქვ, კვ...) შემდგარ ზმნის ძირისეულ ნაწილს, ლაბიალური ელემენტი (ვ) გააჩინარდება, ხოლო სუფიქსისეული უ უცვლელი რჩება; იგი არ შეიძლება გადავიდეს გ-ში.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით რამდენიმე ზმნური ფუძე:

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
ქუნს	ქუნც	წვეს
ლოქუ	ლოჭუ	დაწვა
ოქუ	ოჭუ	წვა.
უქუ	უჭუ	ძეუწვაევი

ზუგდ.-სამ.: და აქუ ხექ ჩქუკუნნი, დიდაქ რკიაუი დააქყუ (ყიფშ., მ. ტ., 53, 22). „ბაეწეს რომ ხელი [დაეწვა, დედამ დაიწყო კივილი“.

გამკოკვათუ თი ჩხონსუ ხორცი, დოქუ დო ოქკომუ (ყიფშ., მ. ტ., 48, 6), „ზოჭრა იმ თევს ხორცი, წეწვა და ძეჭამა“.

წვადის ქოქუნს ბეგო (ხეზ., მ. ტ. 103, 11) „მწვადს (ქე)წვავს ბეგო“.

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
ქუნს		ქ-უნ-ც ← *ქვ-უნ-ს
ლოქუ		ლოჭ-უ ← *ლო-ქვ-უ
ოქუ		ოჭ-უ ← *ო-ქვ-უ
უქუ		უჭ-უ ← *უ-ქვ-უ

შდრ. ზან. დო-ქვ-ი „დაწვი“, ძვ. ქართ. დაწუავს.

... და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუა (ოთხ., მ. 22, 7).

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
რხუნს	რხუნც	ხვრეტს
დორხუ	დორხუ	გახვრეტა
ორხუ	ორხუ	გახვრეტა
ურხუ	ურხუ	გაუსვრეტაევი

სენაკ. ზუგდ.-სამ.

რხ-უნ-ს		რხ-უნ-ც	←	*რხვ-უნ-ს
დორხ-უ		დორხ-უ	←	*დო-რხვ-უ
ორხ-უ		ორხ-უ	←	*ო-რხვ-უ
ურხ-უ		ურხ-უ	←	*უ-რხვ-უ

შდრ. ზან. დო-რხვ-ი „გახვრიტე“, ძვ. ქართ. ჳურ: ჳურეცხ, ჳურ-რელო:

ჰხედავთა ებრაელთა მათ, ვითარ მოვლენ ჳურელებით მათით, სადა-იგი დამალულ იყვნენ ჩუენგან (მეფ, I, 14, 11).

სენაკ. ზუგდ.სამ.

სქუნს	სქუნც	სკენის.
გოსქუ	დოსქუ	გასკენა
ოსქუ	ოსქუ	შესკენა
უსქუ	უსქუ	შეუსკენელი

ზუგდ.-სამ.: ქოჯღუნათუ ნდო მუკი-მუკი გოუსქუ თიამამინ-დორია (ყიფშ., მ. ტ., 62,23) „გასძლოლია და ირგელივ შეუქრავს (შეუსკენია) ის მინდორი“.

გაკოშაყარულუ მუთი თოკეფი ქოძღღ ი ქეყანასუ, ართი-მაცი-რასუ ქიმუსქულუ... (ყიფშ., მ. ტ., 65,4) „შეკრიბა რაც თოკი იყო იმ ქეყანაში, ერთი-მეორეს მიაბა (მიასკენა)“.

სენაკ. ზუგდ. -სამ.

სქ-უნ-ს		სქ-უნ-ც	←	*სქვ-უნ-ს
დოსქ-უ		დოსქ-უ	←	*დო-სქვ-უ
ოსქ-უ		ოსქ-უ	←	*ო-სქვ-უ
უსქ-უ		უსქ-უ	←	*უ-სქვ-უ

შდრ. ზან. დო-სქვ-ი „გასკენი“, ქართ. სკენის:

სენაკ. ზუგდ.-სამ.

შუნს	შუნც	სვამს
გეძუ	გეშუ	დალია

ზუგდ.-სამ.: ძღაბიქუ გეგწულულუ დო გეშუ (ყიფშ., მ. ტ. 102,30) „გოგომ გამოართვა და დალია“.

შუმილც ეკოჯიკადა ვააკო (ყიფშ., მ. ტ., 177,16) „წეგრალს არ უნდა წაუჯიკავო“.

სენაკ. ზუგდ.-სამ.

შ-უნ-ს || შ-უნ-ც ← \*მგ-უნ-ს

გეშ-უ || გეშ-უ ← \*გე-შე-უ

შდრ. ზან. გე-შე-ი „დალიე“, ძვ. ქართ. ხუ-ამ-ს.

ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღუნოჲ ქიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა (მარტ. შუშ., VI, 10).

რაჲსათჳს შეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰშჳამთ და ჰსუამთ (ოთხ., მრ. 2,16).

მეგრ. თქუ || თქუუ „თქვა“

ზუგდ.-სამ.: ბრელი იჩისუ შხვა დო შხვა, მარა ართიქ თქუ (ყიფშ., მ. ტ., 94,2) „ბევრი სხვადასხვა ილაპარაკეს, მაგრამ ერთმა თქვა“.

ქიმიისვანჯეს, ქედლიქყეს ჩიეზა. ბელთაგანქ თქუუ (ყიფშ., მ. ტ., 87,18) „დაისვენეს, დაიწყეს ლაპარაკი. ბელთაგანმა თქვა“.

მეგრ. თქ-უ ← \*თქვ-უ ← \*თქვ-ევ-უ

შდრ. თქვ-ი „თქვი“, ძვ. ქართ. თქუ-ა.

მაშინლა იწყო სიტყუად და თქუა (მარტ. შუშ., IV, 16);

სადა მე და მან სწორი სიტყუად ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა (მარტ. შუშ., XVI, 31).

სენაკ. ზუგდ.-სამ.

რჩუნს რჩუნც ძარცვავს

გორჩუ გორჩუ გაძარცვა

ორჩუ ორჩუ ძარცვა

ურჩუ ურჩუ გაუძარცვა

სენაკ. ზუგდ.-სამ.

რჩ-უნ-ს || რჩ-უნ-ც ← \*რჩვ-უნ-ს

გორჩ-უ || გორჩ-უ ← \*გო-რჩვ-უ

ორჩ-უ || ორჩ-უ ← \*ო-რჩვ-უ

ურჩ-უ || ურჩ-უ ← \*უ-რჩვ-უ

შდრ: მეგრ. გო-რჩვ-ო „გადარცვე“, ძვ. ქართ. გან-ძარცუ-ა.

განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შექმოსეს მას (ოთხ., მ. 27, 28).

... და ავაზაკნი დაესხნეს და განძარცუეს იგი (ოთხ., ლ. 11, 30).

სენაკ. ზუგდ.-სამ.

ნწყუნს	ნწყუნც	ჩაძირავს; აქცევს
ღონწყუ	ღონწყუ	ჩაძირა; დააქცია
ონწყუ	ონწყუ	ჩაძირვა; დაქცევა
უნწყუ	უნწყუ	ჩაუძირავი; დაუქცეველი

ზუგდ.-სამ.: მუღა კუჩხის მედგნანი, დიხას მენწყუნა ალა-ბის (ყიფშ., მ. ტ., 147, 9) „რამდენ ფეხსაც გადადგამენ, ერთ არშინ მიწას ჩაანგრევენ“.

ქუჩუტუ ნდემი დო დიხა-უჩასუ ქეგონწყუნცი (ყიფშ., მ. ტ., 58, 16) „მოღის დევი და ქვეყანას აქცევს (მაგ მიწას ანგრევს)“.

სენაკ. ზუგდ.-სამ.

ნწყუნ-ს		ნწყუნ-ც	←	*ნწყვ-უნ-ს
ღონწყუ		ღონწყუ	←	*ღონწყვ-უ
ონწყუ		ონწყუ	←	*ონწყვ-უ
უნწყუ		უნწყუ	←	*უნწყვ-უ

შდრ. მეგრ. დღ-ნ-წყ-გ-ა „ჩაძირე“, (ნ)წყ-გ-ილ-ი „ჩაძირული“.

შენიშვნა: ი. ყიფშიძის<sup>1</sup> მეგრულ ლექსიკონში ეს ზმნა წარმოდგენილია ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის მიხედვით შემდეგი სახით: ბ/ვწყუნქ || მ(ნ)წყუნქ ან პწყუნქ „рѣзѣхъ“ (გვ. 383). დასახელებულ კილოკავში ასეთი ვარიანტი (ე. ი. გ ხმოვნინი) არ იხმარება ამ შინაარსით. ბ/ვწყუნქ აღნიშნავს — ვხსნი, ვხდი (იგი სხვა ფუძეა).

მეგრ. მიდაჩქუ გაავზაენა

ზუგდ.-სამ.: ათე დროს ქოჩორაქ ხენწიფეში ჩილცე კოჩი ქიმეუჩქუ (ყიფშ., მ. ტ., 97, 15) „ამ დროს ქოჩორამ მეფისკოლს კაცი ზიუგზაენა“.

ოსურიმ მუმაქ მუში ვეზირი მიდაჩქუ დო-უწუუ (ყიფშ., მ. ტ., 49, 16) „ქალის მამამ თავიჩი ვეზირი გაავზაენა და უთხრა“.

მეგრ. მიდააჩქ-უ ← \*მიდა-ო-ჩქვ-უ

ზანურში ძირია ჩქვ — მიდაა-ჩქვ-ი „(შენ) ვაგზავნე“. ო-ჩქვ-ან-ს „ავზავნის“. ზანური ჩქვ ძირის შესატყვისია სვან. ციქჷ და ქართ. ციქვ, ძვ. ქართ. ციქუ, რაც შემონახულია მიმღეობაში — მოციქულ-ი<sup>12</sup>.

მეგრ. გამუნააშქუ შემოუშვა

ზუგდ.-სამ.: იქუ ხათეე კარი გუუნჯღ დო გამუნააშქუ მათა (ყიფშ., მ. ტ., 49,28) „იმან მაშინეე კარი გაულო და შემოუშვა მეფე“.

გკრუნქ დო უშქუ ცუჯი ფირა (ყიფშ., მ. ტ., 170,27) „ვირმა ჩამოუშვა ფართო ყური“.

გამუნააშქ-უ ← \*გო-მუნო-ო-შქვ-უ. ძირია შქვ, შდრ. გამუნაა-შქვ-ი (შემოუშვი) ← \*გო-მუნო-ო-შქვ-ი, შდრ. ქართ. შვ — გამვ-ება<sup>13</sup>, ძვ. ქართ. შუ — მიშუება.

მაშინ მიუშუა მას იოვანე (ოთხ., მ. 3,15).

უკუეთუ მიუშუათ ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს იგი (ოთხ., ი. 11, 48).

სენაკ. ქოგინაარლუ, ზუგდ.-სამ. ქიგ(უ)ნაარლუ — გადააყარა

ზუგდ.-სამ.: მუჟამცუთი ბოშიქ დუდეფი გეგზოქკკრუნი, ეი ქიგჯნაარლუ ნდემც (ყიფშ., მ. ტ., 58,20) „როცა ვაჟმა თავები წააცალა (გადაქრა), ზედ გადააყარა დევს“.

ქიგ(უ)ნაარლუ ← \*ქო-გინო-ო-რღვ-უ, შდრ. ქიგნაარღვ-ი („გადააყარე“) ← \*ქო-გინო-ო-რღვ-ი

§ 12. ისეთ შემთხვევაში, სადაც ფუძისეული (ძირისეული) ბოლო თანხმოვანი არ წარმოადგენს ლაბიალურ კომალექსს, განხილული აკტიქსისეული უხმოვანი მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (§ 11), გადადის გ-ში:

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
რჩხ-უნ-ს	რჩხ-გნ-ც	რეცხავს
გორჩხ-უ	გორჩხ-გ	გარეცხა

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 379.

<sup>13</sup> იკვე, გვ. 367.

ორჩხ-უ	ორჩხ-ჯ	გარეცხვა
ურჩხ-უ	ურჩხ-ჯ	გაურეცხავი

ფუძეა რჩხ, შდრ. მეგრ. გო-რჩხ-ო „გარეცხე“, ქართ. რეცხ—  
გარეცხ-ა<sup>14</sup>.

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
ქარ-უნ-ს	ქარ-გნ-ც	წერს
დოქარ-უ	დოქარ-ჯ	დაწერა
ოქარ-უ	ოქარ-ჯ	წერა
უქარ-უ	უქარ-ჯ	დაუწერელი

ფუძეა ქარ, შდრ. ზან. დო-ქარ-ი დაწერე, შდრ. ქართ. წერ —  
დაწერა<sup>15</sup>.

ლორონთი მარდო დო გიქარჯნს ადამიანიში მოხვარას.  
(ყიფშ., მ. ტ., 164,8) „ღმერთი ზაღლად დაგიწერს ადამიანის შვე-  
ლას“.

ეშელენა, დოქარჯნა, გიშელენა, დოსოფუნა (ყიფშ., მ. ტ.,  
153, 13) „ავლენ, დაწერენ, ჩამოვლენ, დახვევენ“.

დოხოდჯ თე კუბეციქ დო დოქარჯ ზუშ ცუდეშა იშო, ჩილ  
დო სქუას მექარჯ (ხუბ., მ. ტ., 197, 36) „დაჯდა ეს ვაქარი და  
მისწერა თავის სახლში, ცოლ-შვილს მისწერა“.

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
კირ-უნ-ს	კჯრ-გნ-ც	შეკრავს
დოკირ-უ	დოკჯრ-ჯ	შეკრა
ოკირ-უ	ოკჯრ-ჯ	შეკვრა
უკირ-უ	უკჯრ-ჯ	შეუკრავი

ზუგდ.-სამ.: ხე დო კუჩხის თეში ბკჯრჯნა, კოჩი. მუთუნს ვა  
ბკითხენს (ყიფშ., მ. ტ., 153,5) „ხელსა და ფეხს ისე შემიკრავენ,  
რომ კაცი არაფერს მეკითხება“.

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
ქკირ-უნ-ს	ქკჯრ-გნ-ც	ჭრის
დოქკირ-უ	დოქკჯრ-ჯ	დაჭრა

<sup>14</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 310.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 310.



ოქკირ-უ	ოქკერ-გ	კრა
უქკირ-უ	უქკერ-გ	დაუქრელი

ფუცია ჰკირ || ჰკერ, შდრ. მეგრ. დო-ჰკირ-ი „დაქერი“, შდრ-ქართ. ჰერ — დაქერი.

ზუგდ.-სამ.: ართი ლეჯქ ჩქვა ილოურქეუ დო ჯაჰვიში მუკო-ქუნალი გოქკერ (ყიფშ., მ. ტ., 105,19) „ერთმა ღორმა ეში ჰკრა და ჯაჰვის ტანსაცმელი გაქრა“.

სალდათობაქ ქკმგმოქკირჲ ათე დრო დო ხანობას (ყიფშ., მ. ტ., 157,7) „ჯარში წასელა მომიწია ამ დრო-ხანებში“.

სენაქ.	ზუგდ.-სამ.	
ტახ-უნ-ს	ტახ-უნ-ც	ტებს
დოტახ-უ	დოტახ-გ	გატეხა
ოტახ-უ	ოტახ-გ	გატეხა (გატეხვა)
უტახ-უ	უტახ-გ	გაუტეხავი

ფუცია ტახ, შდრ. მეგრ. გო-ტახ-ი „გატეხე“, შდრ. ქართ. ტეხ — გატეხა<sup>16</sup>.

ზუგდ.-სამ.: ზარალი გაფუ, კალამს ტახჲ, მელანი დონსქ-რუაფუ (ყიფშ., მ. ტ., 165,21) „ზარალია შენთვის, კალამს ტეხ, მელანი დაგიშვრია“.

გორდევუც ლაზუტი დუტახჯნა, ქათუხენა კალათის (ყიფშ., მ. ტ., 149,14) „ბაყაყებს სიმინდი მოუტეხიათ და მიაქვთ კალათე-ბი (კალათს ქვეშ უსხედან)“.

სენაქ.	ზუგდ.-სამ.	
ცვილ-უნ-ს	ცვილ-უნ-ც	კლავს
დოცვილ-უ	დოცვილ-გ	მოკლა
ოცვილ-უ	ოცვილ-გ	მოკვლა
უცვილ-უ	უცვილ-გ	მოუკვლელი

ზუგდ.-სამ.: ბოში ოცვილჲ შა მიდეცუნესი (ყიფშ., მ. ტ., 106,7) „ვაეი მოსაკლავად წაიყვანეს“.

გოლჲ თოფიქჲ დო ინა დოცვილგ (ყიფშ., მ. ტ., 68, 3) „გავარდა თოფი და ის მოკლა“.

<sup>16</sup> არნ. ჩიქობავა, შედ. ლექს., გვ. 322.

სქანი ყოროდა ქობილჯნს, გურიშა მუმაკათუუ რძაფა (ყიფშ., მ. ტ., 164,13) „შენი სიყვარული მკლავს, გულწი ზომდის ზაფრა“.

სენაკ.	ზუგდ.-სამ.	
ქოძირ-უნ-ს	ქოძირ-გნ-ც	ნახავს
ქოძირ-უ	ქოძირ-გ	ნახა

ზუგდ.-სამ.: ცირაში დიდაქ ქოძირჯ სქუანი, გეხარჯ... ყიფშ., მ. ტ., 67,10) „ქალიწვილის დეღამ რომ დაინახა შვილი, გაიხარა“. გააჯინე თეს, თეში ხენწუდექ ქოძირჯ მუში თოლით (ხუბ., 291,2) „რომ ათვალეირებს ამას, მეფემ თავისი თვალით დაინახა“.

§ 13. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნის რიგ ფორმებში, სადაც ფუძისეული თანხზოვანი არ წარმოადგენს ლაბიალურ კონპლექსს, აფიქსისეული უ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშიც უცვლელი რჩება.

ამ რიგის შემთხვევები საქიროებს საგანგებო განხილვას, მათ თავის მხრივ სათანადო ახსნა მოეპოვება.

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში აორისტიის ფორმაში მესამე სუბიექტური პირის - უ სუფიქსი უცვლელი რჩება, როცა ზმნას (I და II პ.) ახასიათებს -ე II -მ (ეე) და -ი (იი) სუფიქსები.

### 1. აორისტიისეული ე II მ სუფიქსი

მეგრ. ოგურ-უ ასწავლა, შღრ. ვოგურ-ე ვასწავლე, ოგურ-ე ასწავლე.

ზუგდ.-სამ.: ქოჩორა ქოყუნდუ პოვარც ართი თუთასჯ დო ირფელითი კეთება ქი დი ი გურუ (ყიფშ., მ. ტ., 90,32) „ქოჩორა ჰყავდა მზარეულს ერთ თვეს და ყველაფრის დამხადება შეისწავლა“.

... ქჯდა გურუ დლას კოს ვა მაგინენ ფერი (ხუბ., მ. ტ., 195,32) „ასწავლა, თავის დღეში ვერავინ რომ ვერ მოუგებს, ისეთი“.

მეგრ. გააკურცხინ-უ „გაალვიდა“, შღრ. გვეკურცხინ-ე „გაალვიდი“, გააკურცხინ-ე „გაალვიდი“.

... გოკურცხუ თიწკემა თე ცირაქ დო ბოში გჯკურცხინჷ (ხუბ., მ. ტ., 207,35) „გაიღვიცა მაშინ ამ ქალიშვილმა და ვაჟი გააღვიცა“.

მეგრ. ქიგიორინ-უ, შდრ. ქიგვორინ-ე „დაეყენე“, ქიგიორინ-ე „დაეყენე“.

ზუგდ.-სამ.: ქიგიორინჷ ცლაბი დო ბოში ართო (ხუბ., მ. ტ., 224,17) „დაეყენა გოგო და ბიჭი ერთად“.

მეგრ. გაკოშაყარ-უ „შეკრიბა“, შდრ. გაკოფშაყარ-ე „შევეკრიფე“, გაკოშაყარ-ე „შეკრიფე“.

ზუგდ.-სამ.: გაკოშაყარ უუ არძო ნდემეფი დო არძოსე ყუჯი ქიძიოკვათჷ (ყიდშ., მ.ტ., 67,8) „შეკრიბა ყველა მღვეი და ყველას ყური მოსკრა“.

დოშაყარჷ დო ბიშაჯინჷ მარა, აქ ვა რენია ჩქიმი მუშაჷ, თქჷ ბალანაქ (ხუბ., მ. ტ., 234,19) „შეკრიბა და შეხედა, მაგრამ აქ არ არისო ჩემი მამა, თქვა ბავშვმა“.

აორისტის ფორმაში -ე სუფიქსი ქართველურ ენათაგან გვხვდება ქართულში, სვანურსა და ზანურის. მეგრულ დიალექტში იგი უცხოა ზანურის ქანური დიალექტისათვის<sup>17</sup>.

ქართველურ ენათა კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მიხედვით ზანურში მოსალოდნელი იყო ქართლის აორისტის -ე-ს შესატყვისად გგქონოდა ა. ანდენადვე, საფიქრებელია, ეს სუფიქსი მეგრულში ქართულიდან იყოს შეთვისებული.

ქართულში აორისტისეული ე ინმარება როგორც მარტივ ფუძესთან — ვ-წერ-ე, ისე კაუზატივით ნაწარმოებ ფუძესთან — ვ-აწერ-ინ-ე. მეგრულში კი ე გვხვდება ჩვეულებრივ კაუზატივით ნაწარმოებ ზმნებში — ვოკარადჷანქ „ვანგრინებ“, ვოკარ-აფ-ე „ვაწერინე“.

გამონაკლისს წარმოადგენს რანდენინე ზნა: ბ-რაგად-ე „ვილაპარაკე“, ფ-შაყარ-ე „შევეკრიბე“, ბ-ლაქალ-ე „ვიქაქყანე“, ბ-ღვარ-ე „ვიყვირე“ და სხვ. ...

ცნობილია, რომ ქართლის აორისტისეული ე სუფიქსი ევ-ისაგან მომდინარეობს (ნ. მარი). მეგრულსაც ეს სუფიქსი ევ-ის სახით უნდა ჰქონდეს შეთვისებული ვ-ოგურ-ე ← \*ვ-ოგურ-ევ „ვას-

<sup>17</sup> ვ. თოფურიცა, სვან. ენა, გვ. 143; არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანაღ. გვ. 136.

წავლენ, ოგურ-ე ← \*ოგურ-ევ „ასწავლენ“, მესამე პირშიც უნდა გვექონოდა -ევ სუფიქსი, რომელსაც დაერთოდა მესამე სუბიექტუ: რი პირის -უ სუფიქსი — \*ოგურ-ევ-უ. ამ პოზიციადში ევ → ო: \*ოგურ-ევ-უ → ოგურ-ო-უ. ეს გარდამავალი საფეხური დაცულია ამ ტიპის ზმნებში მეგრულის ჯვარულ თქმაში<sup>18</sup>.

ოკალმახეზა ქიმერთუ ნი, ჯვარული ხატეფქ ქეზაპიშოუ (ყიფშ., მ. ტ., 160,3) „საკალმახეში რომ მივიდა, ჯვარული ხატები წამოეწია“.

დალიაქ ... ქიქან ოუ დო კითხუ (ყიფშ., მ. ტ., 160,12). „დალიანმა დაიბარა და ჰკითხა“.

ართი ლეჯქ ჩქვა ილოურქეუ დო ჯაქვიში მუკოქუნალი გოქკრუ (ყიფშ., მ. ტ., 105,19) „ერთმა ღორმა ეშვი ჰკრა და ჯაქვის ტანსაცმელი გაჭრა“.

აორისტის ე სუფიქსიან ზმნებთან მესამე სუბიექტური პირის უ სუფიქსი ისმის გაგრძელებულად, რამდენადაც იგი მოღებულია ორი ხმოვნის შეერთებით: ევ — უ → ო — უ → უ — უ → უ. ი. ყიფ-შიძის ტექსტებში ასეთი უ ხშირად ორი უ-თია გადმოცემული, მ. ხუბუა კი იყენებს მათთვის გაგრძელების ნიშანს (ჟ).

რაც შეეხება აორისტისეულ -წ აფიქსს (I და II პირებში), ძგი ისმის რამდენიმედ გაგრძელებულად — ვოგურ-წ || ვოგურ-ფ „წასწავლენ“, ოგურ-წ || ოგურ-ე „ასწავლენ“... ამ ე-ს სიგრძე იხსნება ე-სთან აორისტისეული -ი ხმოვნის შერწყმით. ვოგურ-წ ← ვოგურ-ფ-ი. ასეთი ფორმა კი ცნობილია მეგრულის ჯვარულ თქმაში, ამის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „საინტერესოა, რომ მეგრულ-შხტ არის შემთხვევები, როცა ე-თი წარმოებული აორისტი -ი-ს დაძრთავს; მხედველობაში გვაქვს ჯვარული: გ იწოლ ეი გითხარი; სხვაგან გაგრცელებული გ იწიი გითხარი აქედან უნდა იყოს მოღებული“<sup>19</sup>.

ასეთი ე + ი სუფიქსიანი აორისტის ფორმები შემონახულია ველ ლექსში „ვო ბურლა დო ბურლა-ვოლაში“:

მინით იბრულია-ოდა, გინოთი ვორულეი,

სქანი ურმაშია-ოდა გე მიწკაფინეი,

ვა დო გასუ გივოსხაპი დო გინი ფჩილითეი,

<sup>18</sup> ბ. რ. ჯავა, ევ სუფიქსი, გვ. 651.

<sup>19</sup> არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალ., გვ. 136.

სქანი ლატყვაჟია-ოდა გემი ტყვაჟინეი,  
ქიდიფებრცხელია-ოდა, გინი ფჩილითეი  
(ყიფშ., მ. ტ., 141).

თქვანი რახტის ვითოჟირი ფუთით უზნონდასი, ფერი დომი-  
ქკადაფეთია (ყიფშ., მ. ტ., 105,15) „თქვენ ლახტზე თორ-  
მეტი ფუთით უფრო დიდი რომ იყოს, ისეთი დამიქედვინეთო“.

აორისტისეული -ე (← ეგ) სუფიქსი ისტორიულად არ უნდა  
ყოფილიყო აორისტის მაწარმოებელი. ქართულსა და მეგრულში  
ეს სუფიქსი დასტურდება აორისტის გარდა კავშირებითი მეორის  
ფორმაში, კერძოდ, მეგრულში დრო-კილოთა პირველ ჯგუფში<sup>20</sup>.

თავისებური ჩანს ე სუფიქსიანი მარტივი ფუციის მქონე ზნე-  
ბი მეგრ. დოზუ (დაზილა): I პ. დობზ-ჲ, II პ. დოზ-ჲ, III პ.  
დო-ზ-ჲ ტიპისა.

ამ ზნებშიც მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავ-  
ში მესამე სუბიექტური პირის აფიქსი უ უცვლელი რჩება.

ქართულის. მიხედვით — ზ-ელ-ს : ზ-ილ-ა — ზანურში უნდა  
ყოფილიყო ზ-ალ-, რაც ანიანი მასდარის ფორმაში დასტურდება<sup>21</sup>.  
ზანურის ცველ მასდარში ეს -ალ არ ჩანს: მეგრ. ოზჲ „ზელა“.

გასარკვევია, თუ რა ბედი ეწია ქართული -ელ ხმოვანდრე-  
კადი სუფიქსის (ზ-ელ-ს) შესატყვის -ალ სუფიქსს მეგრულში ზნის  
ფორმაში — დოზ-ჲ (დაზილა), ზანს (ზელს) და ძველი მასდარის  
ფორმაში — ოზჲ (ზელა). ხომ არ არის აქ ლ რომელიღაც ბგერაში  
გადასული და შემდეგ დაკარგული. მეგრ. ზანს (ზელს) ← \*ზალ-ამ-ს  
← \*ზალ-აფ-ს, არა, ამ ზნაში უნდა გვექონდეს ქართულიდან მე-  
თვისებული -ეგ სუფიქსი.

დო-ბ-ზ-ჲ ← \*დო-ვ-ზ-ეგ-ი (დავზილე), დო-ზ-ჲ ← \*დო-ზ-ეგ-უ  
(დაზილა) მეგრულში არის დოზ-ჲ ტიპის სხვა ზნებშიც, ოლონდ  
ზოგი ოღნავ განსხვავებული. ასეთებია:

ა) დოჲ-ჲ „იეკერა“, შდრ. I, პ. დო-პ-ჲ-ჲ, II პ. დო-ჲ-ჲ, ძვ.  
მასდარი — ოჲ-ჲ „შეკერვა“.

ანიან მასდარს ახლავს -ალ სუფიქსი — ჰ-ალ-ა „შეკერვა“.

ქართულსა და სვანურში არ ჩანს ამის შესატყვისი ფუძე. არც  
ქანურშია დადასტურებული ჰ ალ ა ზნა.

<sup>20</sup> გ. რ. თ. გ. ა. ვ. -ეგ სუფიქსი, გვ. 65:.

<sup>21</sup> არნ. ჩიქობავა, შდარ. ლექს., გვ. 274.

ბ) დოჰყ-ჟ „დაწყევლა“, შდრ. II პ. დო-ჰყ-ჟ, ცვ. მასდარი —  
ოჰყ-ჟ, ანიანი მასდარი — ჰყ-ალ-ა (დოჰჟ და დო.ზუ-საგან გან-  
სხვედღება აწმყოს წარმოებით — ჰყ-ენ-ს „წყველის, შდრ. ჰენ-ს  
„ქერავს“, ზან-ს „ზელს“)-

ქართულში ამ ზმნის ფუძეა წყ-ევ.

აჰა ლელჟ იგი, რომელი ჰსწყევდე, განჰმა (ოთხ., შრ. 11,21).

ხოლო მან იწყო წყევად და ფიცად (ოთხ., შრ. 14,71).

ქართ. წყ-ევ ფუძის შესატყვისია ზანურში ჰყ-ალ. მეგრ.  
ჰყ-ალ-ენ-ს (წყველის) ← \*ჰყ-ალ-ემ-ს ← \*ჰყ-ალ-ეფ-ს, მეგრ. ჰყ-ენ-ს-  
(წყველის) ← \*ჰყ-ევ-ენ-ს ← \*ჰყ-ევ-ემ-ს ← \*ჰყ-ევ-ებ-ს.

\*ჰყ-ევ-ებ-ს ფორმაში -ევ და-ებ ქართულიდან შეთვისებული  
სუფიქსებია.

ქართ. -ევ ← ელ, რომლის ზანური ფონეტიკურ-მორფოლოგი-  
ური ეკვივალენტია ალ — ქართ. წყ-ევ ← \*წყ-ელ: ზან. ჰყ-ალ. მეგრ.  
ყოროფასჟ ირო ბჰყალღე, გური შემეწუხებუნი (ყიფშ., მ. ტ.,  
143,20) „სიყვარულს სულ ვწყველი, როცა გული შემეწუხდება“.

დო-ა-ჰყ-ჟ (დაწყევლე) ← \*დო-ვ-ჰყ-ევ-ი

დო-ჰყ-ჟ (დაწყევლა) ← \*დო-ჰყ-ევ-უ.

გ) ჰოხ-ჟ „დაბადა“, „შვა“, შდრ. II პ. ჰო-ხ-ჟ, ძველი მას-  
დარი — ო-ხ-ჟ, ანიანი მასდარი — ხ-ალ-ა, აწმყო — ხან-ს.

სხვა ქართველურ ენაში ეს ფუძე არ დასტურდება. არც ჰა-  
ნურ დიალექტშია იგი ცნობილი. ამდენადვე, ცნელია ამ ფუძის  
ისტორიის გათვალისწინება.

ხან-ს (ბადებს) უნდა მომდინარეობდეს \*ხ-ევ-ამ-ს ← \*ხ-ევ-აფ-ს,  
შდრ. მეგრ. ზან-ს ← \*ხ-ევ-აფ-ს (ზელს). ჰო-ხ-ჟ (დაბადე)\* ← \*ჰო-  
ხ-ევ-ი, ჰო-ხ-ჟ (დაბადა) ← \*ჰო-ხ-ევ-უ.

დ) ჰოდიტ-ჟ „დატოვა“, შდრ. II პ. ჰოდიტ-ჟ. ამ ზმნისაგან  
არ იწარმოება ძველი მასდარი.

სანარტიაჰ მუში მაჰალღე დო ცირა ყუდღეს ჰჟდ ი ი ტ უ უ  
(ყიფშ., მ. ტ., 50,17) „სანარტიამ თავისი მეგობარი და ქალი-  
შვილი შინ დატოვა“.

ჰაშაყუნუ ჰოჩორაჰ ჯარცჟ, კოჩი ვეგ ი ი ტ უ ცხორცხალო  
(ყიფშ., მ. ტ., 98,19) „შევიდა ჰოჩორა ჯარში, კაცი არ დატოვა-  
ცოცხალი“.

ჰოდირჟ ეირხოლო ტარელღეფი, გარა ჰიმიოტ უ (ყიფშ.,  
მ. ტ., 104,2) „ნახა ორივე გმირი, ტირილი მიატოვა“.

ქოდიტ-ჰ (დატოვა) ← \*ქო-დო-ი-ტ-ევ-უ. ქოდიტ-ჰ (დატოვე)  
← \*ქო-დო-ი-ტ-ევ-ი, შდრ. ცვ. ქართ. დაუტევა.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვის და ღმრთის მოში-  
შებით ეკლესიად შევიდა (მარტ. შუშ., II, 19).

ახალ ქართულში ამ ზმნაში ევ შეიცვალა ჟვ-ით. ევ-ის შეცვლა  
ჟვ-ით ფონეტიკური პროცესი უნდა იყოს. ე ზომდენო ვ-სთან  
ასიმილაციით იქცა ჟ-დ. ტ-ევ ← ტ-ოვ<sup>23</sup>.

მეგრულში \*ქო-დო-ი-ტ-ევ-უ → ქოდიტ-ჰ. გარდაწვეალი საფე-  
ხური — ქოდიტოუ შემონახულია მეგრულის თქმებში.

ზუგდ.-სამ.: გამკიტოუ ხვალე აკათი ვეზური (ყიფშ., მ. ტ.,  
106,34) „დატოვა მხოლოდ ის ერთი ვეზირი“.

აწმყოს წყებაში ამ ზმნას მეგრულში ალ სუფიქსი ახლავს —  
ი-პ-ტ-ალ-ენქ || ი-პ-ტ-ე-ნქ „ვტოვებ“. ქანურში მხოლოდ ალ სუ-  
ფიქსი დაერთვის მას. ქოდ-უ-ტ-ალ-ეს — „დაუტოვეს“<sup>23</sup>. ზანურში  
ქართული ტ-ევ ფუცის კანონზომიერი შესატყვისია ტ-ალ. ქართ.  
ტ-ევ ← \*ტ-ელ. -ევ სუფიქსი ამ შემთხვევაშიც მეგრულში ქართუ-  
ლიდან უნდა იყოს შესული.

## 2. აორისტიკული ნ სუფიქსი

მეგრ. დოშ-ჰ „მოქსოვა“, შდრ. II პ. დო-შ-ნ, ცვ. მასდარი  
ოშ-ჰ, ანიანი მასდარი, შუალა.

მეგრ. შუნ-ს, კან. შუ-კ-ს (ქსოვს) წარმოადგენს ქართ. ქს-ოვ-ს  
ზმნის შესატყვისს<sup>24</sup>. ზან. შუნ-ს || შ-უფ-ს ← \*შუმ-ს ← \*შ-უფ-ს ←  
\*შ-ოვ-ს.

\*შ-ოვ-ს ამოსავალ ვარიანტში -ოვ ქართულიდან უნდა იყოს  
შესული. ქართ. ქსოვ ეტყვის აქვს ქს-ელ ვარიანტიც<sup>25</sup>. ქს-ოვ უნდა  
იყოს მიღებული ქს-ელ-ისაგან: ქს-ელ → ქს-ევ → ქს-ოვ, შდრ. ცვ.  
ქართ. ტ-ევ (დაუტევა) და ახ. ქართ. ტ-ოვ (დატოვა).

მეგრ. დოშ-ჰ (მოქსოვა) ← დო-შ-უ-უ ← დო-შ-ო-უ ← \*დო-შ-ევ-უ.  
კან. დოშ-უ ← დოშ-ჰ ← დო-შ-უუ ← დო-შ-ო-უ ← \*დო-შ-ევ-უ, ზუგდ.-  
სამ. შუნ-ც (მეგრ. ლექს., გვ. 358) ← შუნ-ს (ქსოვს).

დოშ-ჰ რიგის ზმნებია:

<sup>23</sup> შდრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისა-  
თვის ძველ ქართულში, გვ. 146.

<sup>24</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 320.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 361.

<sup>26</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძ. აგებ., გვ. 30.

ა) დოხ-ჲ (დაარღვია), შდრ. II პ. დო-ხ-ნ, ძვ. მასდარი —  
ოხ-ჲ, ახ. მასდარი — ხუალა. ქანურში ეს ფუძე არ დასტურდება.

მეგრ. ხუნ-ს (არღვევს) უნდა იყოს ქართული ხ-ევ-ს || და-ხ-ი-ა  
ფუძედრეკადი ზმნის შესატყვისი. შესაძლებელია იგი ქართულიდან  
იყოს შესული.

მეგრ. ხ-უნ-ს ← ხ-უმ-ს ← ხ-უგ-ს ← \*ხ-ოგ-ს.\*ხ-ოგ შეიძლება  
\*ხ-ევ-ისაგან იყოს მიღებული.

დოხ-ჲ (დაარღვია) ← დო-ხ-ო-უ → \*დო-ხ-ევ-უ. დოხ-ნ (დაარ-  
ღვია) ← \*დო-ხ-ევ-ი.

ხუნ-ს ზმნის აფიქსისეული უ ზუგდიდურ-სამურზაყანულში  
გადასულია გ-ში: ხუნ-ც „არღვევს“.

ბ) ქოსქ-ჲ „კვერცი დაღვა“, შდრ. II პ. ქო-სქ-ნ, ძვ. მას-  
დარი — ოსქ-ჲ, ანიანი მასდარი — სქუალა.

ზან. სქუნ-ს || სქუფ-ს წარმოადგენს ქართ. შ-ევ (შეა) ზმნის  
ზანურ შესატყვისს<sup>26</sup>. ქართული შევ-ის ევ აქაც ზანურში შეიძლე-  
ბა ყოფილიყო გადასული: სქუნ-ს || სქუმ-ს ← \*სქ-ოგ-ს ← \*სქ-ევ-ს  
ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში სქ-უნ-ს → სქ-უნ-ც.

ქო-სქ-ჲ (კვერცი დაღო) ← ქო-სქ-უ-უ ← ქო-სქ-ოგ-უ ← \*ქო-  
სქ-ევ-უ.

გ) გეწჲ „მოწოვა“, შდრ. II პ. გე-წ-ნ, ძვ. მასდარი — ოწჲ,  
ანიანი მასდარი — წუალა.

წუნ-ს ← წუმ-ს ← \*წ-უგ-ს ← \*წ-ოგ-ს. შდრ. ქართ. წოგ-ს,  
ფიქრობთ, მიღებული \*წ-ევ ს-ისაგან, ზუგდ.-სამ. წ-უნ-ც ← წ-უნ-ს.

ეს ზმნა მეგრულში შეიძლება ქართულიდან იყოს შესული.  
შესაძლებელია იმ დროს, როცა წ-ოგ იყო წარმოდგენილი ქარ-  
თულში \*წ-ევ-ის სახით<sup>27</sup>.

მეგრ. გეწ-ჲ (მოწოვა) ← გე-წ-უ-უ ← გე-წ-ო-უ ← \*გე-წ-ევ-უ, გე-  
წ-ი (მოწოვია) ← \*გე-წ-ევ-ი.

დ) თხ-ჲ (თხოვა), შდრ. II პ. თხ-ნ, ძვ. მასდარი — თხ-ჲ,  
ანიანი მასდარი — თხუალა.

ზუგდ.-სამ.: მეკრჯინე თაურენ, თხჲ მეფეს (ხუბ., მ. ტ.,  
158, 17) „როცა აქეთ გამოიხედა, სთხოვა მეფეს“.

<sup>26</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 315.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 392.



შქა კოჩანაშა ქიმერთუ დო უკული ოსური ქი თხუ (ხუბ., მ. ტ., 135,13) „შუა ხანს რომ მიადწია, შემდეგ ქალი შეირთო“. თი ჩილიში ოთხუ უშა მიიშუ (ყიფშ., მ. ტ., 48,19) „იმ ცოლის სათხოვრად მიდიოდა“.

ზმნა თხ-ჟ || თხ-უ შესაძლებელია იყოს ქართულიდან შესული თხ-ოვ ზანურში. ყოველ შემთხვევაში -ოვ სუფიქსი ქართულია. ქართ. თხ-ოვ შეიძლება იყოს \*თხ-ევ-ისაგან მიღებული.

მეგრ. თხ-ჟ (თხოვა) ← თხ-უ-უ ← თხ-ოვ-უ ← \*თხ-ევ-უ; თხ-ი (სთხოვე) ← \*თხ-ევ-ი.

გარდამავალი ფორმები შემონახულია მეგრულის ჯვარულ თქმაში:

მარიგებელემქ ჩხუბი დოულასეს, მარა იშენი ქი ოთხოუ ბეანქ (ყიფშ., მ. ტ., 107,6) „შემარიგებლებმა ჩხუბი უშალეს, მაგრამ ბეანმა მაინც ითხოვა“.

... გურგენც მოთხოუ ბეანქ პასუხი (ყიფშ., მ. ტ., 107,4) „გურგენს მოსთხოვა ბეანმა პასუხი“.

ღრა, დემეთხეი, ვარა ქომიწონებუ სქანი ნაჯირა (ყიფშ., მ. ტ., 159,17) „ქალიშვილო, დამეთხოვე, თორემ მე მეგულება შენი ნაწოლი (ადგილი)“.

ხენწუფეში დუდი-კათაქ ქიმერთესუ დო ქოთხეის (ყიფშ., მ. ტ., 106,3) „მეფის თავკაცები მივიდნენ და სთხოვეს“.

ათე ძლაბი ოსქელიდუანდუ ბოშის ნათხეირი ოჭკუმალით (ყიფშ., მ. ტ., 106, 13) „ეს ქალიშვილი არჩენდა ვაჟს ნათხოვარი საქმლით“.

ვ) მეგრ. უწ-ჟ (უთხრა), შდრ. II პ. უწ-ი. მასდარის ფორმები ამ ზმნას არა აქვს.

ზუგდ.-სამ.: მარა დემქე კინი შეეხვეწუ დო... უწუუ (ყიფშ., მ. ტ., 51,14) „მაგრამ დევი ისევ შეეხვეწა და უთხრა“.

ქანურის მონაცემის მიხედვით ცირად ითვლება წგ—ქან. გ-წგ-ი „გიოთხარი“<sup>28</sup>.

მეგრ. უწ-უ (უთხრა) უნდა მომდინარეობდეს უ-წ-ო-უ-საგან. უ-წ-უ-ს ამოსავალი ფორმა შეიძლება იყოს \*უ-წ-ევ-უ, უწ-ი (უთხარი) ← \*უ-წ-ევ-ი. გარდამავალი საფესური შემონახულია მეგრულის ჯვარულ თქმაში:

<sup>28</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსი, გვ, 393.

ათე ღო თერიგი კათაქ მორთესია, — უწოუ ცირაქ (ყიფშ., მ. ტ., 106, 26) „ამგვარი კაცები მოვიდნენო, — უთხრა ქალიშვილმა“. ხენწუფეშა იარალამო ვე მირთენია, — უწეის (ყიფშ., მ. ტ. 106,5) „მეფესთან იარალიანად არ მიისვლებათ, უთხრეს“.

\*უ-წ-ე-ე-უ ზმნის სუფიქსი ევ თითქოს ზანური არ ჩანს. იგი ქართულიდან შეიძლება იყოს შესული ზანურში. ოლონდ თვით ქართულში უწუ ზმნა არ გვაქვს (ქართ. უ-წ-ოდ-ებ-ს?)

ამ ზმნის უძველესი (ზანური) სუფიქსი ოლ ← ვ-ალ გვაქვს ჯვარულ გიწოლეი („გითხარი“) და ათინ. ვუწოლეი („ვეუბნები“). ფორმებში.

ზ) მეგრული: ქიშ-ჟ (იშოვა), შდრ. II პ. ქი-შ-წ.

ეს ზმნა ქართულიდანაა შესული — ქართ. შოვ (იშოვა). შესაძლებელია შოვ იქნა შეთვისებული მაშინ, როცა ვას \*შ-ე-ის სახე ჰქონდა. ქიშ-ჟ (იშოვა) ← \*ქო-ი-შ-ოვ-უ ← \*ქო-ი-შ-ე-ე-უ; ქიშ-წ (იშოვე) ← \*ქო-ი-შ-ე-ე-ი.

§ 14. ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ფიონე-ტიკური პროცესი უ → ჯ არ შეხებია სიტყვაწარმოებითი ურ → || -ულ სუფიქსის უ ხმოვანს მაშინაც კი, როცა იგი მოსდევს არალაბიალურ თანამოვანს. ზუგდ.-სამ. ქუთეშ-ურ-ი „ქუთაისელი“, „ქუთაისური“, სენაკ-ურ-ი „სენაკელი“, „სენაკური“, რუხ-ულ-ი „რუხელი“, „რუხული“ და სხვ.

ზუგდ.-სამ.: ხეთური გორდი ხორგასუ ღო ხორგული გორდი ქალადიდცუ (ყიფშ., მ. ტ., 149,16) „ხეთური ბაყაყი ხორგაჰი და ხორგული ბაყაყი ქალადიჰი“.

ეს აიხსნება იმით, რომ -ურ || -ულ სუფიქსი მეგრულში გვიანდელი შეთვისებული უნდა იყოს ქართულიდან.

თვით ქართულში, როგორც ცნობილია, ეს სადაურობისათუ თვისების მაწარმოებელი სუფიქსი. შედარებით გვიანდელი ჩანს ძველ ქართულში თითო-ოროლა შემთხვევა ამ სუფიქსის ხმარება. სა ცნობილი (ველ-ურ-ი, ქართ-ულ-ი, ბერძ-ულ-ი, არაბ-ულ-ი-ასურ-ულ-ი)<sup>29</sup>. ამ სუფიქსმა განსაკუთრებით ახალ ქართულში გაიკაფა გზა.

§ 15. უ ხმოვანი ზანურის ყველა კილოკავში (ზუგდიდურ-სამურზაყანულის ჩათვლით) უცვლელი რჩება, როცა

<sup>29</sup> ა. მანჯგალაძე-ურ სუფიქსი ძველ ქართულში, იყვ. 1953 ტ V, გვ. 472—515.

ის მეტათეზისის (თუ ასიმილაციის) საფუძველზეა მიღებული. ასეთი უ დასტურდება რამდენსამე სიტყვაში:

ა) ქან. მ-თუთ-ი || თუთ-ი, მეგრ. თუნთ-ი „დათვი“.

ზან. თუნთ ← თუთ ← \*დუთ ← \*დო-თვ, შდრ. ქართ. და-თვ, სვ. და-შდჷ<sup>30</sup>. მაშასადამე, ზანურის ამოსავალი ვარიანტის — \*დო-თვ-ის გ-ს გავლენით წინაშეაღალი ო შეიცვალა უ-თი, ხოლო თვით ვ გაუჩინარდა.

ასეთი გზით მიღებული უ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილო-კავშირ უცვლელია: ზუგდ.-სამ. თუნთ-ი.

ბ) ქან. თუთა, მეგრ. თუთა „მთვარე“.

ზანური თუთა ← \*დუთა<sup>31</sup>. \*დუთა შეიძლება იყოს მიღებული \*დო-თვ-ა-საგან, შდრ. ძვ. ქართ. თთუე ← \*და-თუ-ე „მთვარე“. სვან. დოშდულ მოსალოდნელია \*და-შდვ-ილ-საგან მომდინარეობდეს. ზანური ამოსავალი \*დო-თვ-ა → \*დუ-თ-ა → თუ-თ-ა. ო → უ აქ უნდა მიეწერებოდეს მომდევნო გ-ს მეტათეზისს (ასიმილაციას): \*დო-თვ-ა → \*დუ-თ-ა. ასეთნ უ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცვლელია ზანურის კილოებში.

ზუგდიდ.-სამ.: მა ოკო დიიბრგუე ჩქიმი ქომონჯი სუმი წანა, სუმი თუთა, სუმი მარა... (ყიფშ., მ. ტ., 103,8) „მე უნდა ვიგლოვო ჩემი ქმარი სამი წელი, სამი თვე, სამი კვირა“...

გ) ქან. ლულ-ი, მეგრ. ლულ-ი „ლეღვი“<sup>32</sup>.

ზანური ლულ ← \*ლალვ, შდრ. ქართ. ლელე-ი (ძვ. ქართ. ლელვ); ზანურ \*ლალვ ფუძის ა-ს უ-თი შეცვლა მიეწერება ბოლო-კიდურ გ-ს \*ლალ-ვ → \*ლულ-ვ → ლულ.

ამ სიტყვის ზანურ არქეტიპი ლალ(ვ) შემონახულია მეგრულ სიტყვაში მალაღურ-ი, ქან. მალაღურ-ე || მალაღურ-ე, ქართ. მალაღურ-ი. მალაღურ-ი ზანურია, ნაწარმოები ლალვ სახელისაგან — მა-ლალ(ვ)ურ-ი || მა-ლალ(ვ)-უღ-ე, ე. ი. მე ლ ე ღ ვ ი ე (ჩიტი)<sup>33</sup>, შდრ. ქანური მალულე  $\mu\alpha\lambda\lambda\upsilon\mu\alpha\lambda$ , მეგრ., მალულია, მელეღვე (ქან. ლექს. გვ. 164).

<sup>30</sup> ვ. თოფურიძე, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, თსუ შიამბე, ტ. X 1930, გვ. 247; არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 89.

<sup>31</sup> ვ. თოფურიძე, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, შიმომხილველი, გვ. 216—219; არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 204.

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 122.

<sup>33</sup> გ. როგავა, ნაადიქსაოი დს ფონეტიკური სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აკრებულების საკითხი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1924, გვ. 58.

სხვაგვარად ესმის გ. მაქავარიანს ქართ. ლედგ-ის ზან. ლულ-თან ურთიერთობის საკითხი. მისი აზრით, ზან. ლულ მიღებულია \*ლოლგ-ისაგან. აქ ქართ. ლედგ-ის ე-ს იგი თვლის მის მიერ ნავარაუდები ზან. ლოდგ-ის ო-ს კანონზომიერ შესატყვისად<sup>34</sup>.

დ) ჰან. თუგ-ი || მ-თუგ-ი, ქართ. თ ა გ ვ-ი, (ძვ. ქართ. თ ა გ ვ)-ქართ. თ ა გ ვ-ის კანონზომიერ ზანურ შესატყვისად მოსალოდნელი იყო \*თოგვ. ჰან. თუგ ← \*თოგვ. ო → უ ბოლოკიდურ გ-ს გავლენით მოხდა: \*თოგვ → თუგ(ვ) → თუგ<sup>35</sup>.

ჰანურის ხოფურის კილოკავში დასახელებული თუგ ფუძის უ უცვლელი რჩება — ხოფური მ თ უ გ ი.

ქართ. თაგვ, ჰან. თუგ ფუძის სვანური შესატყვისია შ დ უ გ ვ (თაგვი)<sup>36</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფუძისეული უ აქაც მეორეულია, ა-საგან მიღებული ბოლოკიდურ გ-სთან ასიმილაციით-შდუგვ ← \*შდაგვ, შდრ. ქართ. თაგვ.

ე) ჰან. ტ უ ტ ა || მ-ტ უ ტ ა, მეგრ. ტ უ ტ ა, სვან. დ ჯ ტ „ნა-ცარი“, ქართ. ტ უ ტ-ი საბას განმარტებით — ნაცრის წვენი კუმპასათვს (შედარ. ლექს., გვ. 160).

ზან. ტუტა შეიძლება იყოს მიღებული \*დუტა-საგან. \*დუტა-ში-სავარაუდოა ძირისეული იყოს ტ ← ტვ, რაც მ-ტვ-ერ ფუძეს შეიძლება უკავშირდებოდეს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჰანურის ხოფურ კილოკავში მტვერ-ი იხმარება ნაცრის მნიშვნელობით. თუ ტუტა-ს ტ ← ტვ მართლაც იგივე ძირია, რაც მტვერ ფუძეში გვაქვს, მაშინ ტუ ← დუ იქნება ნაათქსარი ელემენტი. ტუ-ში უ სავარაუდოა სხვა ხმოვნისაგან (ო) მომდინარეობდეს და ძირისეულ გ-სთან შერწყმით იყოს მიღებული: ტუ-ტ-ა ← \*დუ-ტ-ა ← \*ლო-ტვ-ა.

სვან. დ ჯ ტ ზანურიდან შეთვისებული უნდა იყოს. აქ უ → გ-ზანურის კილოკავებში ტუტ-ის უ უცვლელია.

ვ) მეგრ. ქ უ ც-ი, ქართ. ქ ა ც ვ-ი  
ზანური ქუც-ი იგივეა, რაც ქართ. ქ ა ც ვ-ი — ხის ეკალი (საბა). ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა მრავალ ადგილას გვხვდება დ. გურამიშვილთან:

<sup>34</sup> გ. მაქავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 267.

<sup>35</sup> შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა გ ა, შედარ. ლექს., გვ. 91.

<sup>36</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვ. I, გვ. 201.

არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილა,  
სიტყვა მისი მას გულს ეცა, თვალთა ქაცვი, ვით ასკილა<sup>37</sup>.

ქართ. ქაცვი-ის მიხედვით მეგრულში უნდა გვექონოდეს \*ქოცვი. ბოლოკიდურ ვ-ს გავლენით ო გადასული ჩანს უ-ში, თვით ვ ნაუჩინარებულია. \*ქოცვი → ქუცი. ეს დღემ სხვა ჯგუფის იბერიულ-ქავკასიურ ენებშიც გვხვდება. ამ ნაზივ ყურადღებას იქცევს ადიღური ენის შაფსულურ კილოში შემონახული სიტყვა ჰეცხე „მქალი“-<sup>38</sup>.

ზ) ქართ. ი-დაყვი-ის შესატყვისია ზანურში — მეგრ. დუყ-ი, ქან. დურყუ || დუყუ (შედარ. ლექს., გვ. 59).

მეგრ. დუყ-ი ← \*დუყვი ← \*დოყვი ← \*დოყვი-ი. გარდამავალი საფეხური დაუცავს ქანურს — დურყუ || დუყუ. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოქავეში დუყ-ის უ არ გადასულა გ-ში. ზემოდასახელებულ შემთხვევებში მეტათეზისით (თუ ასამილაციით) უ-ს გაჩენის ფაქტები — ზან. თუთ-ი ← \*დო-თვი, ლულ ← \*ლალე და სხვა ზოგჯერ ქართულშიც დასტურდება: ქართ. ტუჩი-ი ← \*დი-ჩვი-ი<sup>39</sup>.

§ 16. მეგრულის თქმებში ქართული ა (ზა-გჯერ ე) ხმოვნის შესატყვისი ო ხმოვანი ბაგისმიერი თანხმოვნის წინ ზოგჯერ გადადის უ-ში. ზანურის სხვა თქმებშიც კი შემონახულია ო ხმოვანი. ასეთი უ ხმოვანი ზუგდიდურ-სამურზაყანულში, როგორც გვიანდელი წარმონაქმნი, არ გადადის გ-ში არც ერთ პოზიციაში:

ა) ზუგდ.-სამ. ოჭკუმეუ ← || ოჭკომეუ, შდრ. ქან. ოჭკომეუ, ქართ. შექამა.

ზუგდ.-სამ.: მუშენიე ირო ქოპჭკუმეუ, მარა ჩქიმი რძაფაქე დლასუ ვე ეყუუ დო ირო ფშქირენციე (ყიფშ., მ. ტ., 69,18) „რატომაა, რომ მულამ ვჭამ, მაგრამ ჩემი გაძღობა არ იქნაო“.

ბ) ზუგდ.-სამ. თუმამა ← || თომამა, შდრ. ქან. თომამა, ქართ. თამამა ← \*თამამა<sup>40</sup>.

ზუგდ.-სამ.: ათე ძღაბის გოჩანდუ თუმამა ორქოში (ყიფშ., მ. ტ., 101,5) „ამ ქალიშვილს ესხა ოქროს თამა“.

<sup>37</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 99.

<sup>38</sup> З. И. Керашева, Особенности шапсугского диалекта адыгского языка, Майкоп, 1957, стр. 107.

<sup>39</sup> გ. როგავა, ნაფიქსარი დ-ს ფონეტიკური სახეცელი, გვ. 58.

<sup>40</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 71.

გ) ზუგდ.-სამ. თხ უ მ უ რ - ი ← || თ ხ ო მ უ რ - ი, შდრ. კან. თხ ო მ უ რ - ი, ქართ. თხ რამლ-ი.

დ) ზუგდ.-სამ. დ ო ხ უ მ უ ← || დ ო ხ ო მ უ, კან. დ ო ხ ო მ უ, შდრ. ძვ. ქართ. გა ნ გ მ ა ← \* გა ნ - ქ ე მ - ა და სხვ...

ერთ შემთხვევაში ქართული ა-ს შესატყვისი ო მომდევნო მ-სთან ქანურში გადასულა უ-ში, ხოლო მეგრულის კილოკავებში ეს ო შემონახულია. ასეთი უ ქანურის ხოფურ კილოკავებში უცვლელი დარჩენილა: კან. ქ ო თ უ მ ე ← ქ ო თ ო მ ე, შდრ. მეგრ. ქ ო თ - ო მ ი, ქართ. ქ ა თ ა მ - ი<sup>41</sup>.

§ 17. განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ზან. ჯ უ მ ა (ძმა) ფუძესთან. აქაც ფუძისეული უ მიღებულია ო-საგან, რაც წარმოადგენს ქართული ა-ს კანონზომიერ შესატყვისს — ქართ. ძ მ ა ← ძ ა მ ა<sup>42</sup>. შესაძლებელია აქაც ო → უ მიეწერებოდეს მ თან-ხმოვანს. ნაგრამ პროცეაი ო → უ ძველი ჩანს, ანით უნდა აიხსნას ზანურის მეგრულ კილოკავებში ფუძისეული უ → გ → ი: მეგრ. ჯ ი მ ა, კან. ჯ უ მ ა, ქართ. ძ ა მ - ა, სვან. ჯ გ მ ილ „ძმა“.

ეს ფუძე ზუგდიდურ-სამურზაყანულშიც იხმარება ჯ ი მ ა - ს სა-ხით. ჯ ი მ ა - ს ამოსავალი ჯ გ მ ა ვარიანტი იშვიათად იხმის. საყურად-ღებოა, რომ ქანურის ხოფურ კილოკავებშიც არ შეცვლილა უ ხმო-ვანი ამ ფუძეში. შესაძლებელია ინიტომ, რომ, როცა ქანურში მიმდინარეობდა პროცესი უ → გ, ამ ფუძის ხმოვანი ელემენტი ო ჯერ არ იყო გადასული უ-ში.

სვანურში ქართველურ ენათა კანონზომიერი ბგერათშესატყვი-სობის მიხედვით ქართ. ძ ა მ - ა: ზან. ჯ უ მ - ა ფუძის შესატყვისად უნდა გვეჩონოდა თითქოს \* უ ა მ. ეს ვარიანტი არ ჩანს. საფიქრ-ბელია იგი გამოდენა სიტყვამ მ უ ხ ლ ბ ე — (ძმა ძმისათვის), ჯ 2 მ - ი ლ სვანურში მეგრულიდან შეთვისებული უნდა იყოს. ეს სესხება მოწხ-დარა მას შემდეგ, რაც მეგრულში ჯ უ მ - ა უკვე გადასული იყო ჯ ი მ - ა (← ჯ გ მ - ა)-ში. ჯ გ მ - ილ ფუძეში - ილ სვანურში კნინობითო-ბის სუფიქსი შეიძლება იყოს.

§ 18. როგორც ლიტერატურაში ცნობილია და შემოთავ-იყო ნაჩვენები (§ 5), ზანურის ხოფურსა და სენაკურ კილოკავებში უ → ო - ს გარდა აღგილი აქვს ო → ი. აქაც, ჩვენი ვარაუდით,

<sup>41</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შდარ. ლექს. გვ. 96.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 25.

ა → გ → ი. ა-ს არტიკულაციის მოღუენების საფუძველზე ჩნდება გ ირაციონალური ხმოვანი.

ამ პროცესსაც (ა → გ || ა → გ → ი) ზანურის ზემოთ ნაჩვენებ კილოკაეებში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ინტერკონსონანტურ პოზიციაში და აგრეთვე მაშინ, როცა ა-ს წინ უძლოდა რომელიმე არალაბიალური თანხმოვანი (გ, ქ, კ, დ, თ, ტ, ს, შ...).

კორზა → კგრზა → კიზზა „სუთი“, კოლა → კგლა → კილა „გასაღეი“, ოქკორუ → ოქკგრუ → ოქკირუ „ქრა“ და სავ... .

შემთხვევათა რაოდენობა ა → გ → ი ზანურის ფუძეებში შედარებით ნაკლებია, ვინემ უ → გ → ი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზანურის ხოფურ, სენაკურ და ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეებში პროცესი უ → გ განსხვავებული იყო გავრცელების არის მიხედვით. ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეეში უ → გ ღია მარცვალში და აგრეთვე აფიქსიულ მასალაშიც, რაც შეეხება ა → გ, ამ მხრივ დასახელებულ კილოკაეებს შორის სხვაობას არა აქვს ადგილი. ა → გ ყველა კილოკაეეში მხოლოდ ყუძისეული მასალის დახურულ მარცვალში.

ამგვარად, ზანურის კილოკაეებში უ → გ და ა → გ სპონტანური ხასიათის პროცესია. ნაშრომის მეორე ნაწილში იქნება შესაძლებლობის მიხედვით სრულად წარმოდგენილი ის ფუძეები, სადაც უ და ა ხმოვნები გადასული ჩანს გ-ში.

§ 19. ამ შედარებით საერთო ზანურ (ვიწურ-არქაბულისა და ათინური კილოკაეების გამორიცხვით) პროცესის გარდა (უ → გ → ი || ა → გ → ი - ხოფურსა და სენაკურ კილოკაეებში, უ → გ || ა — გ — ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეეში) ადგილი აქვს, კერძოდ, მეგრულის კილოკაეებში, განსაკუთრებით ზუგდიდურ-სამურზაყანულში უ → გ || ა → გ პოზიციურ-კომბინატორული გზით. ამავე კომბინატორული გზით მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეეში გ ხმოვანი მიღებულია ი ხმოვნისაგანაც. ეს საკითხებიც მოითხოვს სათანადო განხილვას.

1. უპირველესად ყოვლისა ამ რიგის მოვლენებს შორის ყურადღებას იქცევს მეგრულში პრევერბისეული თუ ნაწილაკისეული ა-ს გადასვლა გ-ში.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეეში შეიმჩნევა ქო დადასტურებითი ნაწილაკისა და დო „და“, გო „გა(ნ)“ პრევერბების ა-ს გადასვლა გ-ში გარკვეულ პოზიციაში:

### ქო

ქემორთუ ← ქო-მო-რთ-უ „(ქე)მოვიდა“

ქემოძირუ ← ქო-მო-ძირ-უ „(ქე)მიჩენა“

ქედოხოლდუ ← ქო-დო-ხოლ-უ „(ქე)დაჯდა“ და სხვ.

ზუგდ.-სამ.: ართიშა ჩაისშენიწი დოხოროშა ქემორთუ სუ-  
ზარო ვალენი ქანაში ხენწუფეკუ... (ყიფშ., მ. ტ., 73,1) „ერთხელ  
ჩაისშენის სასახლეში მოვიდა სტუმრად სხვა ქვეყნის ხელმწიფე“.

ქედოხოლდეს დო ქეუმუნა (ხუბ., მ. ტ., 101,34) „დასხდნენ.  
და ჭამენ“.

### ლო

დემოშქურიწუ ← დო-მ-ო-შქურიწ-უ „შემამინა“

დღალორუ ← დო-მ-ა-ლორ-უ „მომატყუა“

დენაჩინა ← დო-ნა-ჩინ-ა „დანაბარები“ და სხვ. ...

ზუგდ.-სამ.: ხაზნა გიბტახით დო ვაღშქურიწებუნა, ღურე-  
ლიშ შურქ მუჭო დემოშქურიწესია (ხუბ., მ. ტ., 73,15) „ხა-  
ზინა გავტეხეთ და არ შეგვწინებია, მკვდრის სულმა როგორ  
შეგვაშინაო“.

ბოლოს ათეს დენაჩინა აფუნია ჩქინდა (ხუბ., მ. ტ., 72,26)  
„ბოლოს ამას ჩვენთვის აქვს დანაბარებიო“.

### გო

გგგაქყორუ ← გო-გ-ა-ქყორ-უ „გაგიწყრა“

გგნატახა ← გო-ნა-ტახა „განატეხი“

გგმაკვათე ← გო-მ-ა-კვათე „შემიძლია გავჭრა“

ზუგდ.-სამ.: ირიფელი ძირით, მარა ვა გგგაქყორანი ლო-  
რონთქუ დო ჩქინი დოხოორეწკება ტყა რენი, ეთი ტყაშა ონადირუშა-  
ვე მთორთათ (ყიფშ., მ. ტ., 79,6). „ყველაფერი ნახეთ, მაგრამ  
ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩემს სასახლესთან ტყე რომ არის, იმ  
ტყეში სანადიროდ არ შეხვიდეთ“.

ხაზნა ცოფუნა აბრაგეფს გგნატახა (ხუბ., მ. ტ., 73,2).  
„ყაჩაღებს ხაზინა ჰქონიათ განატეხი“.

გელემწყუ ლეკურც დო ართი მორქიათ თე კუბოქ გგმა-  
კვათას ღურელამოვადა, მა ქომლუდას თე ქუდიშ ფარავა (ხუბ.,  
73,7) „ვიშიშვლებ ხმალს და ერთი მოქნევით თუკუბოს მკვდრი-  
თურთ გავჭრი, მი მქონდეს ამ ქულის საფე ფულო“.



დასახელებული პრევერბისა და ნაწილაკის ო-ს შეენაცვლება ჯ იმ შემთხვევაში, თუ მას მოსდევს ო ან ა ხმოვნიანი პრევერბი, ანდა სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი.

ზუგდ.-სამ.: ქედოდოხოოდ ← ქო-დო-დოხოოდ-უ.

ჯიმშიერი დო მუში ჩილქ ეშეელესუ დო ქედოდოხოოდეს (ყიფშ., მ. ტ., 78,12) „ჯიმშიერი და მისი ცოლი ავიდნენ და დასხდნენ“.

ზუგდ.-სამ.: ქედოდგუ ← ქო-დო-დგუ „(ქე)დადგა“; ქემო-რთუ ← ქო-მო-რთუ „(ქე)მოვიდა“.

ხენწუფეჭეთი ქემორთუ დო ქედოდგუ დუდიში ოკვათალი (ყიფშ., მ. ტ., 77,8) „ხელმწიფეც (ქე)მოვიდა და (ქე)დადგა თავის მოსაკვეთი“.

ზუგდ.-სამ.: ქემნაასხაპუ ← \*ქო-მუნო-ო-სხაპუ ← \*ქო-მო-ნო-ო-სხაპუ „(ქე)შეახტა“.

ჯიმშიერიქუ ვალიში მამალასუ ქემნაასხაპუ რაშისუ (ყიფშ., მ. ტ., 77,28) „ჯიმშიერი ელვის სისწრაფით (ქე)შეახტა რაშს“.

ზუგდ.-სამ.: ქემკობუ ← ქო-მუ-კობუ ← \*ქო-მო-კობუ „(ქე)კილია“.

ეი ქემკობუ ვითოერიდუღამი ნდენიში დუდი (ყიფშ., მ. ტ., 76,18) „ზევით (ქე)ჭილია თორმეტთავიანი დევის თავი“.

ზუგდ.-სამ.: ქედოსქედუ ← ქო-დო-სქედუ „(ქე)დარჩა“.

სუდეს ხვალე უკულამიქუ ქედოსქედუ (ყიფშ., მ. ტ., 79,20) „შინ მხოლოდ უმცროსი დარჩა“.

ზუგდ.-სამ.: გემასემუ ← გო-მ-ა-სემუ „(ხმა) გამივარდა“

გეუნწყენქია დო ქოთი ხათე დოაილენქია, რადგანუ ვა მოკო გემასემასიევე (ყიფშ., მ. ტ., 76,29) „აფუხსნიო და მაშინევი კიდეც მოვკლავო, რადგანაც არ მინდა, რომ შემიტყუანო“.

ზუგდ.-სამ.: დემოშქურიनु ← დო-მ-ო-შქურიनु „დამაშინა“; დემოხვამილუანუ ← დო-მ-ო-ხვამილუანს „დამახვედრებს“ და სხვ. ...

სხვა პირობებში უცვლელი რჩება პრევერბისა და ნაწილაკის ო:

ზუგდ.-სამ.: ქო-ძირუ ← ქო-ძირუ „(ქე)ნახა“

ეშეელუ ატაეაშა, ქოძირუ ხრისტაგანი ღურელო (ყიფშ., მ. ტ., 103,22) „ავიდა სასახლეში, (ქე)ნახა ხრისტაგანი მკვდარი“.

ზუგდ.-სამ. გო-ქყვილუ ← გო-ქყვილუ „გაწყვიტა“.

ქაშაკათუ ხენწჳფე დო მუში ჯარც, არძო ართო გოქყვიდუ (ყიფშ., მ. ტ., 106,34) „გაერია ხელმწიფესა და ზის ჯარს, ყველანი გაწყვიტა“.

ზუგდ.-სამ.: დო-კილუ ← დო-კილ-უ „დაკეტა“

ი.ნჯუასუ ხენწჳფეჲ უცებუ კარი ოზენი დო კილუ უ (ყიფშ., 76,17) „სალამის მცემ უცებ ეზოს კარი დაკეტა“.

ზუგდ.-სამ.: დო-ღურუ ← დო-ღურ-უ „მოკვდა“.

დოღურუ ონჯღარეს უნჩაში სინჯაჲ (ყიფშ., მ. ტ., 100,9) „მოკვდა სირცხვილით უფროსი სინჯ“.

როგორც ვხედავთ, მეგრულის კილოკავებში ო-ს შენაცვლება გირაციანალური ხმოვნით სცა წესს ენობრილება. ო-ს გ-თი შენაცვლების სტერო აქ ნეტად შენობარგულთა: როგორც წესი, აქ ნახილად პრევერბისა ან ნაწილაკის ა-ხმოვანი შეიცვლება გ-თი. ისიც, როგორც ვნახეთ, გარკვეულ პირობებში: თუ ასეთ ო ხმოვანს მოსდევს რომელიმე ო ხმოვანი პრევერბი, ანდა ა, ო სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი.

ენელია იმის გარკვევა, თუ რით არის ასეთ შემთხვევაში გამოწვეული ო-ს შენაცვლება გ-თი. შესაძლებელია აქ ო-ს დავიწროებასთან, ე. ი. უ-ში გადასვლასთან გვეინდეს საქმე მომდევნო ო ან ა ხმოვნის გავლენით, ხოლო შემდეგ შესაძლებელია ამ შევიწროებული უ ხმოვნის რეფლექსი იყოს გ ხმოვანი, ე. ი. ამოპავალი ქე-მო-რთ-უ გადავიდა ქუ-მო-რ-თ-უ-ში, ხოლო შემდეგ ზუგდიღურ-სამურზაყანულ კილოკავში ნაწილაკისეული უ გადავიდა გ-ში — ქე-მო-რ-თ-უ „(ქე)მოვიდა“. ამას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ სენაკურ კილოკავში ეს გარდამავლად ნაგარაუდები უ არის გაბატონებული: ქუმორთუ || ქომორთუ „(ქე)მოვიდა“.

სენაკ.: ყუდენა ქუმორთენი, მუმაქ კითხუ (ყიფშ., მ. ტ., 11,7) „შინ რომ მოვიდა. მამამ ჰკითხა“.

მუჟანსით ქუმორთუ მადეზანი, მეწამალექ გოლასირუ ლეკური (ყიფშ., მ. ტ., 11,21) „როცა მივიდა მეფესთან, მეწამალქ გალესა ხმალი“.

ეგვევ გარდამავლად ნაგარაუდები უ ← ო გვხვდება ზუგდიღურ-სამურზაყანულ კილოკავშიც:

ქუმლად ოხოდეს ← ქე-მუ-ლა-დო-ხოდეს „(ქე) დასხდნენ შიგ“.

მიდართეს ქოჩორა და მუში ჩილქ ფაცხაშა, თექე ქუმლა-  
დოხო დესე (ყიფშ., მ. ტ., 93,2) „წავიდნენ ქოჩორა და მისი ცო-  
ლი ფაცხაში, (შიგ) დასდნენ“.

როგორც ვნახეთ, ო-ს სისტემატურ შენაცვლებას გ-თი მეგ-  
რულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ადგილი აქვს პრე-  
ვერბების ფარგლებში. ნხოლოდ პრევერბის (ან ნაწილაკის) ო  
ხმოვანი შეიცვლება გ-თი, ისიც გარკვეულ პირობებში. ფუძისეული  
ო უცვლელი რჩება. ამავე დროს ფუძისეული ხმოვანი ვერ ახდენს  
გავლენას პრევერბისეულ ხმოვანზე (ზუგდ.-სამ. დოგორე „მოძებ-  
ნა“). ეს საკითხი გარკვევას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავისწავლოთ ის ფაქტი, რომ  
ქართულის დასავლურ კილოებში და აგრეთვე შანურში ხმოვანთა  
ასიმილაციას ადგილი აქვს განსაკუთრებით პრევერბისეულ მასა-  
ლაში. პრევერბისეული ხმოვანი აქ უფრო ექვემდებარება ასიმილა-  
ციის ძალას, ვინეც სხვა რიგის ხმოვნები, ვთქვათ სიტყვაწარმოე-  
ბითი აფიქსების ხმოვნები.

2. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ადგილი  
აქვს რეგრესული ასიმილაციის გზით ო ხმოვნის შეცვლას ირაციო-  
ნალური გ ხმოვნით.

ა) ზუგდ.-სამ. ჩხე („ბურვაკი“) ← ჩიხუ (ზღრ. სენაკ. ჩიხუ).  
ჩიხუ ფუძეში ბოლოკიდური უ სპონტანური გზით გადასულა  
გ-ში, ხოლო ამ გ-სთან ასიმილაციით წინამავალი ო → გ: ჩიხუ →  
ჩიხგ → ჩხგ.

ბ) ჭან. ნუკუ || ნუნკუ (ნიკაბი) უნდა იყოს მიღებული ნიკუ-  
საგან (ზღრ. ქართ. ნიკაბ-ი). ო გადასული ჩანს უ-ში ბოლოკიდურ  
უ-სთან ასიმილაციით: ნიკუ → ნუკუ. ამით აიხსნება, რომ ხოფურ  
კილოკავში არა გვაქვს ვიწურ-არქანულის და ათინური უ-ს შესატ-  
ყვისად ო: ვიწ.-არქ.-ათინ. ნუკუ, ხოფ. ნუნკუ.

ზუგდ.-სამ. ნეკე (ნეგრ. ლექს., გვ. 291) ← ნიკუ: ნეკე ← ნიკ  
← ნიკუ.

გ) ზუგდ.-სამ. რჩენე „მოხუცებული“.

ზუგდ.-სამ.: მა იშენი ანწი რჩენე ვორექე ... (ყიფშ., მ. ტ.,  
56,4) „მე მაინც აწი მოხუცებული ვარ“.

რჩენე ← რჩინე ← რჩინუ, ზღრ. მრავ. რ. რჩინუფე-ი „მოხუ-  
ცები“, ჭან. ქჩინ-ი || ხჩინ-ი „მოხუცებული“<sup>13</sup>.

<sup>13</sup> ი. ყიფშის ნაჩვენები აქვს ასეთი ვარიანტიც — რჩენი (მეგრ.  
ლექს., გვ. 311). ეს სახეობა არ უნდა გვეკონდეს მეგრულში.

დ) ზუგდ.-სამ. კყენტე „ჰელინტი“ (მეგრ. ლექს. გვ. 396).  
ჰყენტე ← ჰყინტე ← ჰყინტუ, შდრ. ქართ. ჰყინტლ-ი || ჰყლი-  
ნტ-ი. ვ. თოფურიას ქართული ჰყლინტ-ი დაკავშირებული  
აქვს ზმნასთან ჰყლეტ-ს<sup>44</sup>. ამის მიხედვით, ჰყინტლ-ი ← \*ჰყლინტი-  
მეტათეზისის საფუძველზე და სხვ. ...

§ 20. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში მრავალ შემთხვევაში აქვს ადგილი ზ ხმოვნის ჩართვასა და დართვას.

გ ჩანართი ბგერის შესახებ მსჯელობა ჰქონდა ჯერ კიდევ ა. ცაგარელს. ჩანართად ის თელის ასეთ შემთხვევებს: ოგორზა ← ოგორზა „სანახავად“, გაწუმოდირთუ ← გაწუმოდირთუ „წამოდგა“, ჯგჯგჯგნტია ← ჯგჯგნტია „ჭიანჭველა“, ქღღგოგურუანქი ← ქღღგოგურუანქი „შეგასწავლი“, თიწკემა ← თიწკემა „მაშინ“, მეზოჯგნქი ← მეზოჯგნქი „მიბრძანდები“, საწყყალი ← საწყყალი<sup>45</sup>.

ამ მაგალითებიდან საწყყალი-ი არ უნდა იყოს რეალური. წყ ღეტესიური კომპლექსის გახლეჩა და რომელიმე ხმოვნის ჩართვა საერთოდ არაა დამახასიათებელი. ქართველური ენებისათვის.

სხვა მაგალითებში კი ზ არ უნდა იყოს ჩანართი. იგი ყველგან სხვა ხმოვნის მონაცვლეა. ოგორზა ← ოგორუზა, მეზოჯგნქი ← მეზოჯგუნქი და სხვ. ...

ი. ყიფშიძეს ნაჩვენები აქვს გ-ს დეჰულტატიური ხმარების შემთხვევები 'ზმნისა და სახელის თანხმონით დაბოლოებულ აფიქსთან: თუთას || თუთასჯ „თევს“, იხარენტ || იხარენტჯ „იხარებს“ და სხვა. თუ მათ მოსდევს საგარემოებო ნაწილაკი ნი, ზ ხმოვნის ჩართვა ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში მუდამ სავალდებულოა: იხარენტჯ-ნი, თუთასჯ-ნი და სხვ.<sup>46</sup> ...

ასევე ირაციონალური ხმოვანი ზ ჩაერთვის -თი ნაწილაკად და მის წინამავალ თანხმოვანს შორის:

მიქჯ-თი „ვინც“

მიქჯ-თი სქანდა მეჩთასიე, დუდი დაანებია (ყიფშ., მ. ტ., 54,6) „ვინც შენთან მოვიდესო, თავი დაანებეო“.

მუტამცჯ-თი „როდესაც“

<sup>44</sup> ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თუშ. ტ. II, გვ. 232.

<sup>45</sup> აღ. ცაგარელი, დასახელ. ნაშრ., გვ. 18.

<sup>46</sup> И. Кипшидзе, Грам. мингр. яз., გვ. 012—013.

მუცამცტთი ქორორაქ დოღურუ ნი, ბელთაგანი-ტარიე-ლიში ჯაყვაში პიჯქე ზისხირო გინიირთუ (ყიფშ., მ. ტ., 103,17) „როდესაც ქორორა მოკვდა, ბელთაგან-გმირის ჯიბის-დანის პირი სისხლად იქცა“.

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ზ ჩართულია სიტყვის შიგნით თანხმოვანთგასაყარად ქართულიდან შეთვისებულ სიტყვებში:

ქართ.	ზუგდ-სამ.
ცმარი	ძემარი
წყნარი	წყუნარი
სვეტი	სემეტი
საქმე	საქმე
ხმა	ხმა
ქლიბი	ქელიბი
მოესმა	მაასგმუ და სხვ. ...

ზუგდ-სამ.: ხენწუდექე ქიმეხვადუ საქემესუ (ყიფშ., მ. ტ., 66,28) — „მეფე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე“.

მუ საქემე გილუ ღორონთიწკალა? (ყიფშ., მ. ტ., 69,29) — „რა საქმე გაქვს ღმერთთან“?

ირი სახენწუფოსუ გოლუ ხემაქე (ყიფშ., მ. ტ., 73,27) „ყველა სახელმწიფოში გავარდა ხმა“.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ მეგრულში ქართულის გზით შესული სიტყვა კიტრი. ეს სიტყვა სეხაკურ კილოკავში გვხვდება კინტირ-ის სახით, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში კენტჯრისა (მეგრ. ლექს., გვ. 258).

მეგრულის ორსავე კილოკავში კიტრ ფუძეში ტ-ს წინ ნ ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. სენაკურ კილოკავში თანხმოვანთგასაყარად ჩაერთო ი ხმოვანი კინტირ-ი, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში ირაციონალური ზ — კინტჯრი. შემდეგში ამ ჩართულ ზ-სთან ასიმილაციით წინამავალი ი შეიცვალა ზ ხმოვნით — კენტჯრ ← კინტჯრ ← კი(ნ)ტრ.

§ 21. ზ ირაციონალური ხმოვნის ჩართვის ერთ-ერთი გზა დაკავშირებულია მეგრულისათვის დამახასიათებელ ხმოვანთა რედუქციასთან.

როგორც ცნობილია, ქართველური ენებიდან ხმოვანთა რედუქცია ყველაზე ნაკლებად არის დამახასიათებელი ზანურისათვის. მაგრამ აქაც, რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონია ხმოვნის ამოვარდნას. მაგალითად, ზანურში ზოგჯერ ხმოვანი ამოვარდნილი ჩანს მაშინ, როდესაც ქართულს მისი შესატყვისი ხმოვანი შემოიუნახავს, მაგალითად, ჰან. ე-ზღ-უ: მეგრ. ე-ზინდ-უ : ქართ. ა-ზიდ-ა<sup>47</sup>.

ვ. თოფურიას შენიშნული აქვს ზანურში სხვადასხვა სახე ხმოვანთა რედუქციისა. მისი დაკვირვებით, თითქმის ყველა ხმოვანი შეიძლება დაქვემდებარებოდა რედუქციას: უ — უფრაში ← უფურაში „უარესი“, ი — მელტო ← მელიტონ და სხვა<sup>48</sup>.

ცნობილია უ-ს რედუქციის შემთხვევა ჰანურში: ჰუბრ-ი ← ჰუბურ-ი „წაბლი“, თოფრ-ი ← თოფურ-ი „თაფლი“ და სხვა<sup>49</sup>.

მ. ციკოლია ი-ს რედუქციას ადასტურებს მეგრულში ზმნის პრეფერებში, როცა მას წინ დაერთვის დადასტურებითი ნაწილაკი კი-ი ქვ — კი-მთანთხორანს ← კი-მითანთხორანს „(წიგ). შეთარის“. ხოლო უ-ს რედუქციას ხედავს ზმნის სუფიქსში — ნთხორნ-ა ← ნთხორუნ-ა „თხრიან“, აქ ზარედუქტირებელ ელემენტად მიიჩნევს -ან მრავლ. რიცხვის აფიქსს. ამ მოვლენას მ. ციკოლია მხოლოდ მეგრულის სამურზაყანული მეტყველების დამახასიათებლად თვლის<sup>50</sup>. ჩვენ კი ვიტყობით, რომ ეს აროცესი მეტნაკლებად საერთოდაა დამახასიათებელი მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავისათვის. ჩვენს ყურადღებას იქცევს ნაჩვენები მაგალითებიდან -- უფრაში ← უფურაში „უარესი“, თასნა ← თასუნა „თესენ“, მელტო ← მელიტონ ტიპისა. როგორც ჩანს, ამ მაგალითებში რედუქციას განიცდის ვიწრო ხმოვნები უ და ი, მაშინ როდესაც ამებამდ ქართულისათვის დამახასიათებელია ა, ე, თ უფრო ფართო ხმოვნების რედუქცია.

მეგრულის კილოკაეებში ამ ხმოვნების რედუქცია ხდება გარკვეულ აირობებში, სახელდობრ: ა) სიტყვა უნდა იყოს ო.რზე მეტი მარცვლის მქონე (სანმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი...); ბ) სარე-

<sup>47</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 275.

<sup>48</sup> ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართ. ენებში, გვ. 876.

<sup>49</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 115, 127; ტ. გუდავა, ზანური (მეგრულ-ქანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოაბე, ტ. XI, № 7, გვ. 465.

<sup>50</sup> მ. ციკოლია, რედუქციისათვის მეგრულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წ. V, 1950, გვ. 307, 308.

დუქციო ხმოვანი. **ი** || უ უნდა იყოს მოქცეული სიტყვის შიგა მარცვალში; **გ**) მარედუტირებელი მოზღვენო ხმოვანი უნდა იყოს ი-სა და უ-ზე უფრო ფართო **ა**, **ე**, **ო**.

**ა) ი-ს რედუქციის მაგალითები:**

კაზლა ← კაზილა	ღამარილებული ყველი
ხასლა ← ხასილა	გვერდი
წიწლა ← წიწილა	წიწილი
კვინჭხე ← კვინჭახე	ზარდაყი
ხენწფე ← ხენწიფე	ხელმწიფე
მაყრა ← მაყირა	მეორე
კირლე ← კირილე	მანაკაცის სახელი
ფილპე ← ფილიაე	" "
საირდო ← საირიდონ	" "
იპოლტე ← იპოლიტე	" "
იზდორე ← ისიდორე	" "
ერთმე ← ექვთიმე	" "
მელტია(ნ-ი) ← მელიტია(ნ-ი)	" "
მარნე ← მარინე	ქალის სახელი და სხვ. ...

**უ-ს რედუქციის მაგალითები:**

ხუმლა    ხომლა ← ხუმულა    ხომულა	ხმელი
ოჭმარე ← ოჭუმარე	დილა
ოჩამრე ← ოჩანურე	საცეხველი
ოშმეში ← ოაუმეში	ულვაი
ჩაფლა ← ჩაფულა	ქალამანი
მასმა ← მასუმა	მესამე
უკმელა ← უკუმელა	სინნელე
მანჩა ← მანუჩა(რ-ი)	მანაკაცის სახელი
ტყებჩა ← ტყებუჩა	გვაოი და სხვა <sup>51</sup> .

დასახელებულ მაგალითებში რიგ შემთხვევაში რედუქტირებული **ი** და **უ** ხმოვნის ნაცვლად თანხმოვანთგასაყარად ჩაერთვის **გ** ხმოვანი:

<sup>51</sup> თითო-ორთა შემთხვევაში რედუქტირებული უ კვალს ტოვებს ვ-ს სახით: მაჟთა → მახვთა „მეუთა“. **ა** არ ეწორილება რედუქციას, თუ მას წინ უძღვის **ვ**: მაშქეთა „ძეშვიდე“, მავეთა „მეთა“...

კაზილა → კაზლა || კაზგლა

წიწილა → წიწლა || წიწგლა (მეგრ. ლექს., გვ. 379).

კვინქიხე → კვინქხე || კვინქგხე

მაეირა → მაერა || მაეგრა

ხენწიფე → ხენწფე || ხენწგფე (მეგრ. ლექს. გვ. 400).

ამ გზითაა გ ხმოვანი ჩართული შემდეგ სიტყვებში:

ა) ამვდლა || ამდლა ← || ამჟ-დლა „დღეს“, სიტყვა-სიტყვით:  
„ამა დღეს“.

ზუგდ.-სამ.: ირო ლურელი რდი დო ამვდლა გვალე დომის ლურია (ყიფშ., მ. ტ., 93,26), „მუდამ მკედარი იყავი, მაგრამ დღესულ მომიკვლიო“.

ბ) ამვსერ-ი || ამსერ-ი ← ამჟ-სერ-ი „ამელამ“.

ქიგიაწყუნუ შარას, იღვ, იღვ ამვსერი, ქუმე... (ყიფშ., მ. ტ., 87,31) „გაუდგა გზას, იარა, იარა, ამელამ, ხვალ...“

გ) ნამვდა || ნამდა ← ნამჟ-და „რომ“

ათე კათა თირიგი ძლიერი რდეს, ნამვდა შხვა სახენწიფოწკემა ჩხუპის ირო გომორძგვილი რდეს (ყიფშ., მ. ტ., 104,30) „ეს კაცები ისეთი ღონიერები იყვნენ, რომ სხვა სახელმწიფოებთან ომში მუდამ გამარჯვებულები იყვნენ“ და სხვა...

ამავე გზითაა აგრეთვე ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში გ ხმოვანი გაჩენილი პრევერბისეული ე-ს ადგილზე: ქიმთანთხორანც ← ქი-მითო-ო-ნთხორანს „აიგ შეთხრის“. ამ შემთხვევაში ამოსავალი ქი-მითო-ო-ნთხორანს → ქი-მთაანთხორან-ც → ქემჯთა-ანთხორანც.

ზუგდ.-სამ.: თექი ხენწიფეში ოსურისქუა ქემჯლაანჯირეს თიმუ სერს (ყიფშ., მ. ტ., 54,2) „ქ მეფის ქალიშვილი შიგ დააწვინეს იმ ღამეს“.

§ 22. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში დასტურდება თითო-ოროლა ქერო შემთხვევა გ ბგერის გაჩენისა, რაც სხვაგვარ ახსნას მოითხოვს.

აღნიშნული გვაქვს, რომ ზანურის კილოკავებში ო ხმოვანი არ შეიძლება გადავიდეს სპონტანური გზით გ-ძი. მაგალითად, ბრუნვისეული ო არ შეიძლება შეიცვალოს გ ხმოვნით: კოჩ-ი || კოჩ-ეში || კოჩით, ოსურ-ი || ოსურ-ეში || ოსურ-ით და სხვ. ...

ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს მეგრულში შემთხვევა, სადაც სახელობითი ბრუნვის ო თითქოს ქ-ში იყოს გადასული,



ამის შესახებ იგი წერს: „Окончание именительного падежа в диалектически ослабевает в полугласный г, напр., бал-и сад, рядом с бал-გ<sup>52</sup>“.

თითქოს ასეთივე შემთხვევა გვაქვს მეგრულში ოთახ — „ოთახი“ სახელთანაც. ი. ყიფიძეს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში მხოლოდ ამ სახით აქვს შეტანილი<sup>53</sup>.

ორსავე შემთხვევაში ი-ს ადგილას აქ გ-ს გაჩენას სხვაგვარი ახსნა<sup>54</sup> უნდა ჰქონდეს. ეს სიტყვები ნასესხებია. ბაღ (ბალი) სახელი აქ ზანური ბაღ ← ბაღუ („ბღელი“) სახელის ომონიზად უნდა იყოს ქცეული. ოთახ კი ოთახუ-ს სახით არის გაგებული, სადაც ბოლოკიდური უ თავკიდურ ო-სთან ერთად სიტყვაწარმოებით აფიქსად არის კვალიფიცირებული ენობრივი აზროვნების მიერ. ასეთი უ კი მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეში გადადის გ-ში. რომ აქ ორსავე შემთხვევაში ფუძისეულ ბოლოზმონად უ ივარაუდება, დასტურდება შეზღვეით. როცა ამ გ-ს მოსდევს რომელიმე სმონით დაწყებული სუფიქსი, გ შეიცვლება უ-თი: ბაღ (ბალი): სა-ბა-ღ-უ-ო ადგილი (საბაღე ადგილი).

§ 23. აუხსნელი ჩანს აგრეთვე ჭანურის ხოფურ კილოკაეში ერთი შემთხვევა ო-ს გადასვლისა ო-ში.

ზან. ქომოლ („ვაჟაკი“) || ქომოგ („ქმარი“) სახელის ძირისეული ქომ-ის ო ხმონი ითვლება ქართული ქმარ ფუძეში რედუცირებული ა ხმონის შესატყვისად — ქართ. ქმ-არ ← \*ქამ-არ<sup>55</sup>. ჭანურის ხოფურს კილოკაეში ეს ფუძისეული ო გადასული ჩანს ო-ში. გასარკვევია, თუ რა ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს აქ საქმე. აქ ო → გ → ი, თუ ო მ-სთან მეზობლად იქცა უ-დ და შემდეგ უ → გ → ი? ყოველ შემთხვევაში აქ ო → ი თავისებური პროცესი ჩანს.

§ 24. ინტერკონსონანტურ პოზიციაში უ || ო → გ → ი, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელი ყოფილა ძველიდანვე მეგრულის ორივე კილოკაეისათვის და ჭანურის ხოფური კილოკაეისათვის. ჭანურის ვიწურ-არქაბულისა და ათინური კილოკაეებისათვის ეს

<sup>52</sup> იხ. მისი Грам. мингр. яз., გვ. 018.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>54</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 34.

პროცესი თითქოს უცხოა. თითო-ორიოლა შემთხვევაში ამ კილო-  
კავებშიც, როგორც ირკვევა, თავს იჩენს ეს პროცესი:

ვიწ.-არქ. ლუმჯ-ი || ლუმჯ-უ, ათინ. ლიმჯ-ი, ხოფ. ლიმჯ-ი,  
მეგრ. მა-ლინჯ-ე „სალამო“ ვარიანტებში ამოსავალია ვიწურ-არქა-  
ბული ლუმჯ ← ლუმჯ (მ ფონეტიკური ჩანართია). ათინურში, ისე  
როგორც ხოფურსა და საერთოდ მეგრულში, უ-ს ნაცვლად გვაქვს  
o — ლიმჯ ← ლუმჯ. ლუმჯ || ლიმჯ || ლინჯ ფუძეში ცირისეულ ნა-  
წილად გამოიყოფა ჯ, რაც დაკავშირებულია ზნურ ფუძესთან  
ზან. ჯ-ან-უ „წევს“<sup>55</sup>.

მეგრულში ეს ფუძე ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ლ  
ელემენტითურთ — მა-ლინჯ-ე „სალამო“ და ლ-ს გარეშე — ონჯუა  
„სალამო“. მეგრ. მა-ლინჯ-ე ← \*მა-ლუნჯ-ე ← \*მა-ლონჯ-ე. სენაკ.  
მაინჯე ← მალინჯე.

ქვემოთ იქნება ნაჩვენები ვიწურ-არქაბულა და ათინურ  
კილოკავებშიც უ || o ხმოვნების. o-თ შენაცვლენის სხვა შემთხვე-  
ვებიც.

§ 25 როგორც ზანურში, ისე სვანურშიც, ირაციონალური  
გ ( || ზ ) მეორეულ ბგერად არის ღიჩნეული. იგი აქაც წარმოდგენს  
რომელიმე ძირითადი ბგერის რეფლექსს.

ზანურის კილოკავებში უ || o ხმოვნის გადასვლა გ-ში ხდება  
გარკვეულ პოზიციაში და ატარებს სისტემურ ხასიათს. სვანურში  
ასეთი კანონზომიერება არ შეინჩნევა. აქ გ ხმოვანი შესაძლებელია  
იყოს თითქმის ყველა ხმოვნის მონაცვლე:

სვან. მღღრპჳ („მათრახი“): ქართ. მათრახ-ი

მღღრპჳ ჰაკვადლუგ ხოლაჯახ (სვ. პ., 164,47) „მათრახი კულ-  
ზე მიუბამთ“.

სვან. ჰზნგირ („უნაგირი“): ქართ. უნაგირი

ჰზნგირ უშგულ თი ქურ ხოგახ (სვ. პ., 164,46) „უნაგირი  
უკულმა დაუდგამთ“.

სვან. ლგც || ლიც „წყალი“

ლგცას შღდახ (სვ. პ. 62,10) „წყალში ყრიდნენ“.

ზანურისაგან განსხვავებით სვანურში უ ხმოვანი შეიძლება  
გადავიდეს გ-ში ბაგისმიერი თანზოვნების მეზობლადაც: სვან,  
ფგრე ← ფურე „გახურებული“ ← მეგრ. ფურე „გახურებული“.

<sup>55</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს. გვ. 197.

სვანურში ქართულიდან და ზანურიდან შეთვისებულ რიგ სიტყვაში უ ინტერკონსონანტურ პოზიციაში გადასული ჩანს გ-ში, მაშინ როდესაც ზანურის კილოკავებში ამავე სიტყვებში უ უცვლელად რჩება:

სვან. ტგტ || დგტ „ნაცარი“, შდრ. მეგრ. ტუტა „ნაცარი“  
ლახება მიშგუ ტტს ხასგვრენახ (სვ. პ., 138,21) „ჩემი ცნები  
ნაცარს მისხდომიან“.

დღტ ას ბაშუდახ ლენჯჳრჳრ (სვ. პ., 174,70) „ნაცარს მისხდო-  
მიან ლენჯერელები“.

სვან. ჯა-წგბ „გაწუხებს“, შდრ. ქართ. გა-წუხებს.

მშა ჯა წგბ? (სვ. რ., 83,6), „რა გაწუხებს?“

სვანურშიც ხშირია შემთხვევები გ ხმოვნის ჩართვისა თან-  
ხმოვანთგასაყარად:

სვან. ცხრილ („საცერი“) ← ქართ. ცხრილი.

ემხვი ცხრილ არცხელარე (სვ. პ., 196,37) „ერთი ცხრილი  
(საცერი) არცხელელები“...

### უ-ს შენაცვლება ი-თ ქართულშიც

§ 26. როგორც ირკვევა, უ || ი ზანურის კილოკავებში უჰუა-  
ლოდ ი-ი არ გადასჯლა: უ → გ → ი || ი → გ → ი. ე. ი. ზანურის  
იმ კილოკავებში, სადაც უ || ი შეცვლილია ი-თ (ხოფურსა და სე-  
ნაკურში), ივარაუდება გარდამავალ საფეხურად ოდესღაც გ-ს არ-  
სებობა.

ასეთი ხმოვანი (გ) არსებითად უცხოა ქართულისათვის. მაგ:  
რამ, მიუხედავად ამისა, ქართულში შეინჩნევა უ-ს შენაცვლება  
ფ-თ. ამისი მაგალითია ფიც სახელური და ზნური ფუძე — ფიც-ი  
|| ფიც-ავს, რომელიც მიღებულია ფუც-ისაგან. ფუც ფუძე გვაქვს  
ძველ ქართულში. ამაჲ გარდა ეგევე ფუძე ზანურის დიალექტებში  
წარმოდგენილია უ ხმოვნით. მეგრ. ფუჩ-ი, ქან. ფუჩ-ი (შედარ.  
ლექს., გვ. 331).

ქართულში ფუც ფუძის უ-ს ი ხმოვნით (ფიც) შენაცვლება  
უნდა იყოს ასიმილაციის ერთ-ერთი სახეობის შედეგი. სახელდობრ,  
სახელობითის, ნათესაობითისა და მოკმედებითი ბრუნვების ი-ს  
გავლენით უნდა მომხდარიყო უ-ს არტიკულაციის წინ გადაწევა  
(ერთგვარი უმლაუტიზაცია), რომელიც ქართველური ენებიდან

სვანურისთვისაა დამახასიათებელი. ქართ. ფუც სახელური ფუცის უ შეიძლებაოდა თითქოს დააღლილიყო — ჟი-თ და შემდეგ ლაბიალიზებული ელემენტი გაუჩინარებულიყო ფ-სთან. ანალოგიური ფაქტი დასტურდება სვანურში.

ასე რომ, ძველი ქართულის ფუც-ის შეცვლა ფიც-ით ჯერუნდა ნომინდარიყო სახელებში და შემდეგ სახელური ფუცის ანალოგიით აწინებშიც. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ძველი ქართულისავე ჩვენება. ძველი ქართულის ძველებში დასახელებული ფუძე ფუც-ის სახით გვხვდება, როგორც წესი, ზმნებში:

ხოლო წმიდაა შუანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად (მარტ. შუშ., II, 12).

რომელმან ფუცა ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა (ოთხ., მ. 23, 22);

რომელმან ფუცის საკურთხეველსა, ფუცის მას და ყოველსა, რომელ არს მას ზედა (ოთხ., მ. 23, 20).

რომელმან ფუცოს ტაძარსა მას, არარაა არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისას, ჯერ არს (ოთხ., მ. 23, 16).

რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაა არს, ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ არს (ოთხ., მ. 23, 18).

ეფუცა მას, ვითარმედ: რაჲცა მთხრო, შიგცე შენ ვიდრე ზოგადმდე სამეუფოჲსა ჩემისა (ოთხ., მრ, 6, 23).

ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუნსა, მოცემად ჩუნდა (ოთხ. ლ. 1, 73).

ფიცო, რომელ ეფუცა აბრაამსა, მამასა ჩუნსა, მოცემად ჩუნდა (ოთხ., ლ. C 1, 73).

გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუნ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ? (ოთხ., მ. 26, 63).

გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუნ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა (ოთხ., მ. C 26, 63).

გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე (ოთხ., მრ. 5, 7).

გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მგუემ მე (ოთხ., მრ. C 5, 7).

ფიცკი მხოლოდ სახელის ფუძეში იხმარება:

არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცო შენი (ოთხ., მ. 5, 23).

ფიცი, რომელ ფუტუცა აბრაამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა (ოთხ., ლ. 1,73 C).

მაშინ იწყო ფუტუცებად ჩუენდა და მეტყოდა (ლიმ., 69,11).

ფიციოთ, რომელ ფუტუცა აბრაამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა (ოთხ., ლ. 1,73).

არა ცილი ჰფუტო, არამედ მიეც უფალსა ფიციისა შენსათუს (ოთხ., მ. 5, 33).

არა ცილი ჰფუტო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი (ოთხ., მ. 5,33 C).

რომლისათუს ფიციოთ აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს (ოთხ., მ. 14,7).

რომლისაგან ფიციოთ აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა სთხოოს. (ოთხ., მ. 14,7 C).

მაშინ იწყო წყევად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე (ოთხ., მ. 26,74).

... ხოლო ფიციისათუს და ზეოხნეთა მათუს არა ეცრუა მას (ოთხ., მრ. 6,26).

(§ 27. ამგვარად, ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში დასტურდება სხვადასხვაგვარი წარმოშობის გირაციონალური ხმოვანი:

გ ← უ || ო: ჰკვდ-ი ← ჰკუდ-ი „მჰადი“, ჩქენი ← ჩქუნ-ი „ჩენი“, დო-კვრ-გ ← დო-კორ-უ „შეკრა“...

ეს გ მიღებულია უ || ო-საგან სპონტანური გზით გარკვეულ პირობებში. იგი საერთო კუთვნილება იყო როგორც ზუგდიდურ-სამურზაყანულისათვის, ისე სენაკურისა და ხოფურისთვისაც. სენაკურისა და ხოფურში ასეთი გ შენაცვლებულია ი ხმოვნით: ჰკიდ-ი ← ჰკვდ-ი ← ჰკუდ-ი „მჰადი“, ჩქინ-ი ← ჩქენ-ი ← ჩქუნ-ი „ჩენი“, კილა ← კვლა ← კოლა „გასაღები“ და სხვა...

ზანურის დასახელებულ კილოებში გირაციონალური ხმოვანი გ, მიღებული უ || ო-საგან, უძველესი ჩანს. მანამდე სხვაგვარი წარმოშობის გ ზანურისათვის უცხო უნდა ყოფილიყო.

უფრო გვიანდელი მოვლენაა ზეგრულის კილოკავეებში სხვა გზით გაჩენილი გ:

ა. ჰგ-მო-რთ-გ ← ჰგ-მო-რთ-უ „(ჰე) მოვიდა“, ბ. რჩენჯ ← რჩინჯ ← რჩინუ „მოხუცი“ (ასიმილაციით), გ. წყნარ-ი ← წყნარი

(ჩართვა), დ. ღიხასუ ← ღიხას „მიწას“, შუნსუ ← შუნს „სვამს“ (ემფატიკური დართვა).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქანურის ხოფურ კილოკავსა და მეგრულის სენაკურ კილოკავში ჯ ირაციონალური ხმოვანი შენაცვლებულია ქართველური ენების ძირითადი ბგერით—ი ხმოვნით და ეს პროცესი მიეწერება ქართული ვოკალიზმის გავლენას. ქანურის ხოფურ კილოკავში უ || ა-საგან მიღებული ჯ ხმოვნის შენაცვლება ი-თ და ამით საერთოდ ჯ ხმოვნის დაქარგვა ადრე უნდა მომხდარიყო, სანამ ხოფური მეტყველება (და საერთოდ ქანური კილო) მოექცეოდა თურქული ენის გავლენის სფეროში. ხოფურ მეტყველებაში რომ არ ყოფილიყო დაქარგული ჯ ხმოვანი იმ ხანებში, როცა მოხდა საქართველოს ამ ნაწილის მიტაცება თურქების მიერ, შესაძლებელია ხოფურ კილოკავში ჯ ხმოვანი აქამდისაც შემონახულიყო, რამდენადაც თვით თურქულ ენას, როგორც ცნობილია, მოეპოება ამ რიგის ხმოვანი, რაც შეეხება სენაკურ მეტყველებას, ჯ ირაციონალური ხმოვანი. აქ მაინც არის შემონახული. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჯ ხმოვანი სენაკურში ი-ში ჩანს გადასული, თუ ასეთი ჯ არის მიღებული უ || ა-საგან. ჯ ხმოვანი აქ არსებითად გვხვდება, როგორც ემფატიკური დანართი, ანდა როგორც ჩანართი ხმოვანი. ამდენადვე ჯ ხმოვანი სენაკურ კილოკავში მოკლებულია ფონემატურობას, მაშინ როდესაც ჯ ხმოვანი ზუგდიდურ-სამურზაყანულში წარმოადგენს ფონემას: ზუგდ.-სამ. შუნა „სვამენ“, შუნა „ქსოვენ“, შდრ. სენაკ შუნა „სვამენ“, შუნა „ქსოვენ“...)

## ნაწილი მეორე

# ქართველურ ენათა სოგი ფუძის ანალიზი სანუჩის უ და ო სმოჯანთა რეულექსების გათვალისწინების საფუძველზე

§ 28. სათანადო მასალის მიხედვით ნათელი ხდება, თუ რა ვითარებაში მომხდარა ზანურის მეგრულ კილოსა და ჭანურის ხოფურ კილოკავში სპონტანური გზით უ || ო → გ.

როგორც აღინიშნა, აუცილებელი პირობაა, რომ უ || ო ხმოვანი გადავიდეს ირაციონალურ გ ხმოვანში, მას წინ უძლოდეს არალაბიალური თანხმოვანი.

ამ პოზიციაში დახურულ მარცვალში უძველესი წარმოშობის უ-ს გადასვლა გ-ში უგამონაკლისოდ უნდა იყოს ჩატარებული. იგი არ ითქმის ო-ს შესახებ. ქვემოთ წარმოდგენილი მასალიდან გაირკვევა, რომ მხოლოდ განსაზღვრული წარმომავლობის ო შეიძლება გადასულიყო გ-ში.

როგორც საერთოდ ზანურში, ისე მის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშიც უ-ს უცვლელად შემონახვის ფაქტი ლაბიალურ კომპლექსებთან (შუნც ← \*შე-უნ-ს, ქართ. სე-ამ-ს, ჭუნც ← \*ჭე-უნ-ს, ქართ. წე-ავ-ს...) პრინციპული მნიშვნელობისაა. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზანურისა და აგრეთვე რიგ შემთხვევაში სხვა ქართველური ენის ფუძეებში გაუჩინარებული ვ (ჟ) ბგერის აღდგენა. ისეთ შემთხვევებში, სადაც ზანურის კილოკავებში მოველოდით უ-ს გადასვლას გ-ში და ეს პროცესი აქ არ ჩატარებულა, უნდა

ვივარაუდოთ, რომ ამ უ ხმოვნის წინამავალ თანხმოვანს ისტორიულად ახლდა გ ლაბიალური ელემენტი. ეს გ აქ შერწყმული ჩანს უ ხმოვანთან, რამაც თავის მხრით განსაზღვრა ამ უკანასკნელი უ ხმოვნის შემონახვა (ზან. კუჩხ-ი ← \*კუჩხ-ი „დები“). პირიქით, ისეთ შემთხვევაში, სადაც უ შენაცვლებული ჩანს გ-თი, ამ უ-ს წინამავალ თანხმოვანს არ მოსდევდა გ ლაბიალური ბგერა (ხოფ. და სენაკ. ქვიდ-ი, ზუგდ.-სამ. ქკჯდ-ი ← ქკუდ-ი, შდრ-ვიწ.-არქ. ქკუდ-ი „მჭადი“).

ჩვენ შევეცდებით რამდენიმედ სრულად წარმოვადგინოთ ზანურის კილოკავთა ფუძეებში შემთხვევები, როცა, ერთი მხრით, არალაბიალური თანხმოვნების მომდევნო უ და ო გადასულა გ-ში, ხოლო, მეორე მხრით, ლაბიალურ კომპლექსებთან (გვ, ქვ, ძვ...) უ შემონახულა.

§ 29. ხოფურსა და სენაკურ კილოკავებში ინტერკონსონანტურ პოზიციაში სახელისა და ზმნის ფუძეებში უ → გ → ი, ზუგდიდურ-სამურზაყანულში უ → გ.

#### სახელურ ფუძეებში:

ა. ვიწ.-არქ. და ათინ. დაჩხურ-ი, ხოფ. და სენაკ. დაჩხირ-ი, ზუგდ.-სამ. დაჩხრ-ი || დანჩხრ-ი „ცეცხლი“ (ჰან. ლექს., გვ. 138; მეგრ. ლექს., გვ. 222; შედარ. ლექს., გვ. 158).

ზუგდ.-სამ.: ქდაარზუ ქვერსემი დაჩხური დო დოქუ (ყიფშ., მ. ტ., 61, 23) „დაანთო უზარმაზარი ცეცხლი და დაწვა“.

უნელო ქმუნტებაფუაფუ სანთელიზე ჰაშა დაჩხური (ყიფშ., მ. ტ., 62, 24) „უნებურად მოაკიდებინა თურმე სანთლიდან ჩალას ცეცხლი“.

ზუგდ.-სამ. დაჩხრ ← დაჩხურ; სენაკ.-ხოფ. დაჩხირ ← დაჩხრ ← დაჩხურ.

ამ ფუძესთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ჰან. ნოკანჩხულე „ნაკვერცხალი“ (ჰან. ლექს., გვ. 152), სენაკ. ნაკვაჩხირ-ი, ზუგდ.-სამ. ნაკვაჩხრ-ი, ლაკვაჩხრ-ი „მუგუზალი“, „ნაკვერცხალი“.

ზუგდ.-სამ.: ლაკვაჩხრს ხე ქოქანჩე, დახე დობჰვეს დაჩხრითუ „მუგუზალს ხელი სტაცა, კინალამ დაგვწვა ცეცხლითა“<sup>55</sup>.

<sup>55</sup> მ. ციკოლია, მეგრულის სანურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური დახასიათება, აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXV, 1954, გვ. 323.



ამ ფუძის არქაული სახე დაუცავს ქანურს — ნოკანჩხულე ← \*ნო-კვა(ნ)ჩხულ-ე, რაც ქართ. ნაკვერცხალ-ის კანონზომიერი შესატყვისია. საყურადღებოა, რომ ქართულში ნაკვერცხალ-ის პარალელურად იხმარება ნაკვერჩხალ-ი<sup>67</sup>, რომელშიც ფუძისეული თანხმოვანი წარმოდგენილია ზანური ნორმით (ჩხ).

ზუგდ.-სამ. ნაკვაჩხურ ← \*ნაკვაჩხურ ← \*ნოკვაჩხულ; სენაკ. ნაკვაჩხირ ← ნაკვაჩხურ ← \*ნაკვაჩხურ ← \*ნოკვაჩხულ<sup>68</sup>.

მეგრ. ნაკვაჩხურ || ნაკვაჩხირ ფუძეში ნაპრეფიქსალი ნა ← ნო მომდევნო მარცვლის ა-სთან ასინილატიით, შდრ. ჭან. ნოკანჩხულე (თუ აქ ქართული ნაკვერცხალის ნა ელემენტის მიხედვით არ არის ნო → ნა).

ქართ. ნაკვერცხალ || ნაკვერჩხალ და ზან. ნოკანჩხულე || ნაკვაჩხურ ფუძის ცხალ || ჩხულ ნაწილი უნდა უკავშირდებოდეს ქართ. ცე-ცხლ, ზან. და-ჩხურ ფუძეს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართულ ნაკვერცხალ-ში შემონახულა დეტერმინანტისეული ა ხმოვანი — ნაკვერცხალ-ი, მაშინ როდესაც ეგვევ ა რედუცირებულია ფუძეში ცეცხლ.

ბ. ვიწ.-არქ. და ათინ. კუზ-ი, ხოფ. და სენაკ. კიზი, ზუგდ.-სამ. კვზ-ი (კოვზი), ქართ. კოვზი (ჭან. ლექს., გვ. 159; მეგრ. ლექს., გვ. 257; შედარ. ლექს., გვ. 170).

ზუგდ.-სამ.: კვზით ზღვა გეწერეს (ყიფშ., მ. ტ., 177, 15).

ზუგდ.-სამ. კვზ ← კუზ; ხოფ. და სენაკ. კიზ ← კვზ ← კუზ.

კოვზ || კუზ სიტყვის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „ამ სიტყვის აღნაგობა ეკვს ბადებს, რომ კოვზ-იყოს ჩვენი ენების კუთვნილება — მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულშიაც გვაქვს, მეგრულშიც და ქანურშიც“<sup>69</sup>.

შესაძლებელია ეს სიტყვა უკავშირდებოდეს ინდოევროპულ ფუძეს, შდრ. რუსული коуза, პოლონური kousz, ლიტაური kauszas „დიდი კოვზი“, ბერძნ. *κασχών* „თასი“<sup>70</sup>.

<sup>67</sup> ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V.

<sup>68</sup> ქანურში შემონახული ნოკვაჩხულე საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც: მასში დაცულია ამოკავალი დეტერმინანტისეული ლ სონორი. მეგრულ ვარიანტში — ნაკვაჩხირ-ში რ მიღებულია ლ-საგან ბრუნვისეულ ი-სთან პალატალიზაციის საფუძველზე. ქანურ ვარიანტში კი ლ შექონაბა ი-სთან სეზობლობამ. აქიან შესაბამის სხვაგან გვექნება მსჯელობა.

<sup>69</sup> იმ. მისი შედარ. ლექსიკა, გვ. 170.

<sup>70</sup> А. П р е и н р а ж е н с к и й, Этимологический словарь русского языка, ტ. I, გვ. 328.

გ. ვიწ. ქკუდ-ი, არქ. მქკუდ-ი, ხოფ. და სენაკ. ქკიდ-ი, ზუგდ.-სამ. ქკვდ-ი („მქადი“), ქართ. მ-ქად-ი (ქან. ლექს., გვ. 227; მეგრ. ლექს., გვ. 391; შედარ. ლექს., 173).

ზუგდ.-სამ. ქკვდ ← ქკუდ; ხოფ. და სენაკ. ქკიდ ← ქკვდ ← ქკუდ.

ეს ფუძე სვანურშიც გ ხმოვნით არის წარმოდგენილი: ქკვტ „ფეტვი“.

ქკვტ ავ მესტიალარ „ფეტვის ქამია მესტიელგბო“ (სვ. პ., 198, 3...).

ზან. ქკუდ (→ ქკვდ) წარმოდგენს, როგორც ცნობილია, ქართ. (მ)-ქად-ის კანონზომიერ შესატყვისს. ქართ. ა-ს შესატყვის-სია აქ უ, სვანურში ეს ფუძე უნდა ყოფილიყო \*ქკად-ის სახით, სინამდვილეში კი გვაქვს ქკვტ. ეს ფუძე სვანურში, უნდა ვიფიქროთ, მეგრულიდანაა შესული.

სვან, ქკვტ სახელის ბოლოკიდური ტ წარმოდგენს გამკვეთ-რებულ დ-ს: ქკვტ ← ქკვდ.

დ. ვიწ.-არქ. ქქურ-ი, ხოფ. მ-ქირ-ი, სენაკ. ქირ-ი, ზუგდ.-სამ. ქკრ-ი, ქართ. ქორ-ი (შედარ. ლექს., გვ. 103; მეგრ. ლექს., გვ. 344).

ზუგდ.-სამ.: ჩქეღი ქკრი დო მიმინო ვა ქიგეუხენო შხვასი (ყიფშ., მ. ტ., 141, 2) „ჩემი ქორი და მიმინო კი არ უზის სხვასი“.

ზუგდ.-სამ. ქკრ ← ქქურ; სენაკ. და ხოფ. ქირ || (მ)ქირ ← ქკრ ← ქქურ. ზანურისათვის ამოსავალი ქქურ-ი შემონახულია აგრეთვე გვარ-სახელში — ქქურიძე (დასავლეთ საქართველოში), იგევე ქართული ქორიძე (შდრ. სხვა გვარები, დაკავშირებული ცრინველების სახელებთან: წეროძე, ტორონჯაძე, მიმინო-შვილი, შევარდნაძე და სხვ...).

იგევე ქქურ ფუძე გვაქვს მეგრულ გვარში ქირია || ქკრია. ქირია ← ქკრია ← ქქურია. ქქურია შემონახულია XVI საუკუნის ქართულ ცეგლში: მართებს ქქურია ს მოინალესა ტკრთი და ერთი ხმელი თევზი<sup>61</sup>.

ე. ათინ. ჭუნუ, ხოფ- და სენაკ. ქინუ, ზუგდ.-სამ. ჭუნუ (წნე-ლი), ქართ. წნელ-ი (ქან. ლექს., გვ. 228; მეგრ. ლექს., გვ. 389).

<sup>61</sup> აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914, გვ. 30.

ზუგდ.-სამ.: დაქვ ზეკვათ ჰქნე (ყიფშ., მ. ტ., გვ. 57,2) „დამ მოქრა წნელი“.

ზუგდ.-სამ. ქენგ ← ჰუნუ; ხოფ. და სენაკ. ქინუ ← ქენგ ← ჰუნუ. ქართული წნ-ელ ზანურის ამოსავალი ჰუნ-უ-ს მიხედვით უნდა ყოფილიყო \*წან-ელ. ძირისეული ა შეკუმპულია. მომდევნო ელ სუფიქსის გავლენით: \*წან-ელ → წნ-ელ.

ახალ ქართულში წნელ ფუძეში ძირისეულ წ აფრიკატთან განვითარდა კ—წქნელ-ი. როგორც ცნობილია, წინა რიგის აფრიკატებთან დი სპირანტებთან უკანა რიგის ბგერების განვითარება. დამახასიათებელია ზანურისა და სვანურისათვის<sup>62</sup>. ჩანს, ეს პროცესი სპორადულად თავს იჩენს ქართულშიც, შდრ. ქართ. და ქნა || → დაქქნა და სხვ. ...

გ. ვიწ.-არქ. გურუნ-ი, ხოფ. და სენაკ. გირინ-ი, ზუგდ.-სამ. გგრუნ-ი „სახედარი“ (ჰან. ლექს., გვ. 137; მეგრ. ლექს., გვ. 218; შედარ. ლექს., გვ. 80).

ზუგდ.-სამ.: გგრუნე მეურს მარჩილეთ (ყიფშ., მ. ტ., გვ. 169,23) „ვირი მიდის ყურის მგდებლად“.

გგრუნქ დოუშქუ ყუჯი ფირა (ყიფშ., მ. ტ., 170,27) „ვირმა ჩამოუშვა ფართე ყური“.

ზუგდ.-სამ. გგრუნ ← გურუნ; ხოფ. და სენაკ. გირინ ← გგრუნ ← გურუნ.

ზანურის ამოსავალი სახეობა გურუნ სპეციალურ ლიტერატურაში დაკავშირებულია ქართულის ვირ ფუძესთან<sup>63</sup>.

ზ. ვიწ.-არქ. გუდელ-ი, ხოფ. და სენაკ. გიდელი, ზუგდ.-სამ. გგდელ-ი „გიდელი“, „ნოგრძო პირგანიერი გოდორი“ (ჰან. ლექს., გვ. 136; მეგრ. ლექს. გვ. 216).

ზუგდ.-სამ. გგდელ ← გუდელ; ხოფ. და სენაკ. ვიდელ ← გგდელ ← გუდელ.

ეს ფუძე გიდელ-ის სახით გვხვდება გურულსა და ქვემოიმერულში... (ბეჟანამ) ჩამოუშვა ხიდან ჩხავერის ყურძნით საესე... გიდელი (ე. ნინოშვილი). ამ სიტყვას საბა ასე განმარტავს: გიდელი—სკივრი დაწნული (ლექსიკონი). ეგვივე ფუძე გიდელა-ს სახით დადასტურებულია ქიზიყურშიც: გიდელა — პურეულის წებრის, ნამჯის კალათი, მრგვალია, უყურო<sup>64</sup>.

<sup>62</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 9.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>64</sup> სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 39.

თ. სენაკ. ნიჰ-ი, ზუგდ.-სამ. ნეშ-ი (მეგრ. ლექს., გვ. 290),  
ქართ. ნუშა — ნავთ უმცირესი (საბა).

ჭანურში ეს სიტყვა არ უნდა იყოს შემონახული. ქართულის  
დიალექტებშიც არ ჩანს იგი.

ზუგდ.-სამ.: ნეშ ← ნუშ; სენაკ. ნიშ ← ნეშ ← ნუშ.

გარკვევას მოითხოვს, თუ რა წყაროდან მომდინარეობს სა-  
ბას ლექსიკონში შესული ამოსავალი სახე ამ სიტყვისა — ნუ შ-ა.

ი. სენაკ. ბალირე, ზუგდ.-სამ. ბალგრე (ბელურა), ქართ. ბე-  
ლურა (მეგრ. ლექს., გვ. 201).

ზუგდ.-სამ.: ბალგრე ლუმუში მახირალც ლუმუ ქუულუნო  
ხაზრია (ყიფშ., მ. ტ., გვ. 147,9) „ბელურას, ლომის ქურდს, ლო-  
მი თუ აქვს დამზადებული“.

ეს ფუძე შეიძლება იყოს ნაწარმოები ქართ. ბელ (ბელ-ელ),  
მეგრ. ბალ-უ-საგან, -ურ-ა სუფიქსის საპუალეობით. მეგრულისა-  
თვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ბალურა.

ზუგდ.-სამ.: ბალგრ-ე ← ბალ-ურ-ე; სენაკ. ბალირ-ე ← ბალგრ-ე  
← ბალ-ურ-ე, შდრ. ქართ. ბელურა.

კ. ვიწ-არქ. (მ)კული || კულ-ი, ხოფ. კიდ-ი, სენაკ. კიდუ,  
ზუგდ.-სამ. კვღ „კოდალა“, ქართ. კოდალა (ჭან. ლექს. გვ. 158;  
მეგრ. ლექს., გვ. 263; შედარ. ლექს., გვ. 106).

ზუგდ.-სამ. კვღ ჯას მიკიკაკ, ხანგა, გინოლასირია (ყიფშ.,  
მ. ტ., გვ. 147,3) „კოდალა ხეს უკაქუნებს, გიჟი, გადარეული“.

მეგრულის კილოკავებისაგან განსხვავებით ჭანურში ამ ფუ-  
ძეს არ დაერთვის დეტერმინანტი, შდრ. მეგრ. კიდ-უ, ქართ.  
კოდ-ალ.

ამოსავალი სახეობა დაუცავს ვიწურ-არქაბულს — კულ.

ზუგდ.-სამ. კვღ-ღ ← \*კულ-უ ← \*კულ-ულ; სენაკ. კიდ-უ ←  
კვღ-უ ← კულ-უ ← \*კულ-ულ.

ლ. ქართ. თოვ-ს, ჭან, მთოფ-ს, მეგრ. თუნს, სვან. შლუვე  
„თოვს“ (ჭან. ლექს., გვ. 148; შედარ. ლექს., გვ. 278; ვ. თოფუ-  
რია, ბგერით მოვლენათა თანმ. ქართ. ენებში, „მიმოიხილველი“,  
გვ. 202; მეგრ. ლექს., გვ. 243).

მეგრულის ზუგდიდურ-საპურხაყანულ კილოკავში გვაქვს  
თჯნც: ქოთი ჭვინს, ქოთ კირცხანს, ქოთი თჯნს (ხუბ., მ. ტ.,  
გვ. 160,24). „კიდევაც წვიმს, კიდევაც სიტყვავს, კიდევაც თოვს“.

ქართ. თოვ ფუძეში -ოვ ნასუფიქსარი ელემენტია<sup>65</sup>. ზანურში თუფ-ს || თუნ-ს ← \*თ-უფ-ს ← თ-ოვ-ს, -ოვ სუფიქსი აქ შეიძლება ქართულიდან იყოს შეთვისებული: ეს ოვ → უფ ზანურში, იხე როგორც ქართულში, აორისტიშიც გადაპყვება<sup>66</sup>: ზან. დოთუ ← \*დო-თ-უფ-უ ← \*დო-თ-ოვ-უ „დათოვა“. ამიტომ მეგრულის ზუგდიდურ-სამურ-ზაყანულ კილოკავში აორისტის ფორმაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი უ არ გადადის გ-ში: ზუგდ.-სამ. დოთ-უ || დოთ-ჟ.

ქართ. თოვლ-ი სახელური ფუძე ნაწარმოებია თოვ-ს ზმნი-საგან<sup>67</sup>. ასევე ნაზმნარი სახელი იქნება ჭან. თვირ-ი || მ-თვირ-ი || მ-თვი-ი || მთურ-ი, სენაკ. თირ-ი, ზუგდ.-სამ. თჯრ-ი „თოვლი“.

ზუგდ.-სამ.: მუჟამც თჯრც კიმშაჰვემუ, წყარქ მიდართუ ზენიზა (ყიფშ., მ. ტ., 162, 25) „როცა თოვლს დაწვიმა, წყალი წავიდა დაბლობისაკენ“.

ზან. თურ || თვირ || თირ || თჯრ ფუძის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს თოვლ ← \*თოვ-(ი)ლ, თურ ← \*თუფ-რ ← \*თუფ-ლ ← თოვ-ლ. ზუგდ.-სამ. თჯრ ← \*თურ ← \*თუფრ, სენაკ. თირ ← თჯრ ← \*თურ ← \*თუფრ.

სვანურში შდუვე („თოვს“) ზმნის კორელატივი სახელი თოვლი სვანური (ქართველური) წარმოშობისა არ შემონააულა. იგი უთუოდ გამოდენა აღიღური ენებიდან შეთვისებულმა სიტყვამ — მუს („თოვლი“)<sup>68</sup>.

მ. ვიწ. ჩუჩქუ, ხოფ. ჩიჩქუ („ჩვილი“, „რბილი“), სენაკ. ჩქჩქუ, ზუგდ.-სამ. ჩქჩქუ („ჩვილი“, „ბავშვი“), ძვ. ქართ. ჩჩლ-ი (ჭან. ლექს., გვ. 212; შედარ. ლექს., გვ. 242; მეგრ. ლექს., გვ. 367).

ზუგდ.-სამ.: ისჯ ქღუტალებუ ჩქჩქუ ტყასუ დო მუსუ ურტინუ (ყიფშ., მ. ტ., 62, 15) „მას დაუტოვებია ბავშვი ტყეში და თვითონ გაქცეულა“.

ართისუ ჩქჩქუ მინოყვე ხეთუ (ყიფშ., მ. ტ., 62, 13) „ერას ბავშვი მიჰყავდა თურმე ხელით“.

<sup>65</sup> არნ. ჩიქობავა, შუღარ. ლქაი, გვ. 273.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები „ენიმი“-ს მოაზბე, ტ. XII, გვ. 269.

ზანურის ამოსავალ ფორმად ითვლება ჩუჩქუ<sup>69</sup>. ზუგდ.-სამ.  
ჩქჩქ ← ჩქუჩქ-უ ← ჩუჩქ-უ; სენაკ. ჩქიჩქუ ← ჩქჩქ-უ ← ჩქუჩქ-უ;  
ხოფ. ჩიჩქუ ← ჩჩქ-უ ← ჩუჩქ-უ.

ანის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ცვ. ქართ. ჩჩუღ ←  
ჩჩუღ ← \*ჩჩუ-ილ. გარდამავალი საფეხური ჩჩუღ შემონახულია  
ძველ ძველებში<sup>70</sup>.

ზანურში ამოსავალ ჩუჩქუ-ს არ უნდა ჰქონოდა ქართულის  
მსგავსი -ილ სუფიქსი.

ნ. ვიწ.-არქ. დუმჭკუ, ხოფ. დიმჭკუ, სენაკ. ჯგოჯგოტია || ჭკიჭ-  
კიტია, ზუგდ.-სამ. ჯგჯგჯტია || ჭკჭკჭტია („ჭიანჭველა“, ქართ.  
ჯინჭველ-ი (წედარ. ლექს., გვ. 114; მეგრ. ლექს., გვ. 391).

ზუგდ.-სამ.: ეი ჩიტის ვე გნიფურინუანდეს დო თუ დო  
ჭკჭკჭტია ს ვა ითახოხედღ (ყოფ., მ. ტ., 81,33) „ზევით ჩიტს  
არ გადააფრენინებდენ და ქვევით ჭიანჭველას არ შეეძლო დაჯ-  
ლონა“.

ჭანურის ვარიანტებიდან — დუმჭკუ || დიმჭკუ ამოსავლად მიჩ-  
ნეულია დიმჭკუ ← დი-ჭკუ. დუ-მჭკუ ითვლება დიმჭკუ-საგან მიღე ზუ-  
ლად ასიმილაციის გზით. ჭანური დიმჭკუ-ს პირველადობას მხარს  
უჭერს მისი ქართული შესატყვისი ჯინჭველ-ი ← \*დი-ჭველ-ი<sup>71</sup>.

ამ მოსაზრებას ახლავს ერთგვარი დაბრკოლება. თუ ზართ-  
ლაც ჭანურში დუმჭკუ მიღებულია დიმჭკუ-საგან ასიმილაციის  
საფუძველზე, მაშინ ხოფური დიმჭკუ ენსამეულ მოვლენად უნდა  
ჩავთვალოთ: ხოფ. დიმჭკუ ← დუმჭკუ ← \*დიმჭკუ. მაგრამ სხვა შემ-  
თხვევაში ი-საგან ასიმილაციით მიღებული უჭანურის ხოფური  
კილოკავში უცვლელი დარჩენილა, შდრ. ჭან. ნუნეკუ ← ნიკუ.

დუნჭკუ-ს შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ი ასიმი-  
ლაციით გადასულა უ-ში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჭანურის ხო-  
ფური კილოკავში მოქმედი იყო პროცესი — უ → გ → ი.

ქართ. ჯინჭველ ← \*დი-ჭველ უნდა იყოს ზიდებული \*დი-  
ჭავ-ელ. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ცნულ ქართულში  
გვაქვს არა ჯინჭველ-ი, არამედ ჯინჭველ-ი<sup>72</sup>.

<sup>69</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 242.

<sup>70</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 47.

<sup>71</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 114.

<sup>72</sup> ძვ. ქართულში ვ თანხმოვნის კომპლექსი ქვ, ხვ, ჭვ და სხვა სავრ-  
თოდ უნდა იყოს მიღებული ხმოვნის რედუქციით.

შეპრაცხე თავი შენი მსგავსად ჯინქელისა (მამ. სწავლ., 249).

სამი სახე არს ჯინქელისეჲ (სახისმეტყ., 19,1).

ძვ. ქართ. ჳინქველ ← \*დი-ქავ-ელ მიხედვით ზანური დი-ქკუ ← \*დი-ქკ-ულ. ქართ. ელ-ის ტოლფარდი სუფიქსი ზანურში ამ ფუნქციონირებს უნდა გვექნოდეს.

ზუგდ.-სამ. ჯგჯგჯტია ← \*ჯი-ქკტია ← \*დი-ქკტ-ია ← \*დი-ქკ-უ-ტია; ჳკჯკჯტია ← ჯი-ქკტ-ია ← \*დი-ქკტ-ია ← \*დი-ქკ-უ-ტია.

სენაკ. ჯგიჯგიტია ← ჯი-ქკი-ტია ← \*დი-ქკტია ← \*დი-ქკ-უ-ტია; ჳიქკიტ-ია ← ჳი-ქკი-ტია ← \*ჯი-ქკი-ტია ← \*დი-ქკტ-ია ← \*დი-ქკ-უ-ტია.

ჯ გ ი ჯ გ ი ტ ი ა ო კ კ ი ქ კ ი ტ ი ა -ში -ტია შეიძლება კინოზობითობის სუფიქსი იყოს, შდრ. მეგრ. ტიბუ „თბილი“ ტიბუ-ტია „თბილი“ (ბავშვის ენაზე), მეგრ. ბუტუტია „კოლა“, „მფრინავე ქიან-ჳველა“ და სხვ<sup>73</sup>.

ო. სენაკ. კილე, ზუგდ.-სამ. კლე (მკლავი), ქართ. მკლავი (მეგრ. ლექს., გვ. 264).

ზუგდ.-სამ. ცირა დო მუში ქომონჯი ართიჯ ონჯუას კკლე მუკოდვალირო გილდეშეს... (ყიფშ., მ. ტ., 64, 23) „ახალგაზრდა ქალი და მისი ქმარი ერთ საღამოს მკლავგაყრილი დადიოდნენ“.

ზუგდ.-სამ.: კკლე უნდა იყოს მიღებული კულე-საგან. სენაკ. კილე ← კკლე ← \*კულე. ეს ამისავალი სახეობა არაა შემონახული ჳანურის კილოკავებში. ზანური \*კულე-ს გათვალისწინებრთ ქართულ მკლავ უნდა იყოს მიღებული \*(მ)კალ-ავ-ისაგან. -ავ სუფიქსის გავლენით ფუნქციონირებს ანეკუმპული უნდა იყოს.

კკლე-ე ო კილე-ე ფუძის ე ელემენტი ქართული (მ)კალ-ავ-ის -ავ სუფიქსის მორფოლოგიური ტოლფარდია.

პ. ათინ. მაწულე ო მაწურღე, ხოფ. აწირღე, არქ: აწილ-ი „ზიკი“ (ჳან. ლექს., გვ. 128), ზუგდ.-სამ.: მაწურღია „ზიკი“.

ზუგდ.-სამ. მაწურღ(ია) ← \*მაწურღ(ია); ხოფ. აწირღე ← \*აწურღ-ღე ← \*აწურღე; არქაბ. აწილი ← \*აწღი ← \*აწული.

არქაული გახმოვნებით ეს ფუნქცი, როგორც ჩანს, შემოუნახავს ჳანურის ათინურ კილოკავს. — მაწურღე ო მაწულე.

<sup>73</sup> თუ \*დი-ქკტია არაა მიღებული \*დი-ქკტ-ია-საგან.

ჟ. სენაკ. ძიგირ-ი, ზუგდ.-სამ. ძკვკრ-ი „ეკალი“ (მეგრ. ლექს., გვ. 374).

ზუგდ.-სამ. ძკვკრ ← ძიგკრ ← ძაკურ; სენაკ. ძიგირ ← ძიგკრ ← ძიგურ.

ამ სიტყვის ამოსავალი ფონეტიკური სახეობა უნდა იყოს აბაშის რაიონში სოკლის სახელწოდება ძიგური (ადმ.-ტერ. დაყ. გვ. 254).

ეს ფუძე გვხვდება ძიგურა-ს სახით გურულ კილოშიც.

ამ ფუძეს შეიძლება უკავშირდებოდეს ჭან. ბაძგარ-ი || ბაძგარა *Ilex colchica* (ბოტ. ლექს., გვ. 7). ეს სიტყვა მეგრულში იხმარება ბაძგარიას სახით.

რ. სენაკ. ქილორ-ი, ზუგდ.-სამ. ქგლორი „ხოხობი“ (მეგრ. ლექს., გვ. 344).

ზუგდ.-სამ.: ქგლორი ინოსენისი, იში სუალევი დრუკუნს ჯას (ხუბ., 115,19) „ხოხობი შიგ რომ ზის, იმისი ფრთები ღუნავს ხეს“. სხვა ქართველურ ენებში ეს ფუძე არაა დადასტურებული.

ზუგდ.-სამ. ქგლორ ← \*ქულორ; სენაკ. ქილორ ← ქგლორ ← \*ქულორ.

ბ. სენაკ. ისირ-ი, ზუგდ.-სამ. იაგრ-ი || ლისგრ-ი (ისლი), ქართ. ისლ-ი (მეგრ. ლექს., გვ. 243).

თუ მეგრ. ისირ-ი || ისგრ-ი ქართულადან შეთვისებულ ისლის ფონეტიკური ვარიანტი არაა, მაშინ: ზუგდ.-სამ. ისგრ შეიძლება \*ისურ-ისაგან იყოს მიღებული.

სენაკ. ისირ ← ისგრ ← \*ისურ (\*ისურ-ის წინასახეობა კი იქნებოდა \*ისულ). ამის მიხედვით ქართ. ისლ ← \*ი-სალ.

მეგრული ისიროტა „ქასრა“ (ბოტ. ლექს., გვ. 118) ამავე ისირ-იდან არის ნაწარმოები. ზუგდიდურ-სამურზაყანულში ისიროტა გვხვდება ისგროტა-ს სახით.

გასარკვევია, მეგრ.: ლისგრ — ვარიანტში ლ ფონეტიკური დანართია თუ ძველი ნააფიქსარი ელემენტი.

ტ. ზუგდ.-სამ. ისგნდ-ი || ისგნჯ-ი, სენაკ. ისინდ-ი || ისინჯ-ი „სათამაშო ისარი“ (მეგრ. ლექს., გვ. 249).

ზუგდ.-სამ.: ისგნდ-ი შ მოლაყავე ცირა (ხუბ., მ. ტ., 267,1) „ისინდის მოთამაშე ქალიშვილი“.

აბაგა, მალო სი ისგნდ-ით ოკო ქიბლაყაფათია (ხუბ., მ. ტ., 268,36) „აბაო, შე და შენ ისინდით უნდა ვითამაშოთ“.



ზუგდ.-სამ. ისუნდ ← \*ისუნდ, შდრ. ქართ. ისარ-ი; სენაკ.-  
ისინდ ← ისუნდ ← \*ისუნდ.

ისუნდ || ისინდ-ის წინასახეობაა ისუნჯ || ისინჯ, სადაც ნ ფო-  
ნეტიკურადაა განვითარებული, ჯ-ს შენაცვლება კი დ-თი აქ ძირი-  
სეულ ს სპირანტს მიეწერება<sup>74</sup>.

უ. ვიწ.-არქ. ეურ-ი, ათინ. ჯური, ხოფ. ეურ-ი, სენაკ. ეირ-ი,  
ზუგდ.-სამ. ეგრ-ი „ორი“ (ჰან. ლექს., გვ. 180; მეგრ. ლექს., გვ.  
300; შედარ. ლექს., გვ. 210).

ზუგდ.-სამ.: ართი წუდესე კელასე მუკობულუ ეური გალია  
(ყიფშ., მ. ტ., 172,19), „ერთ სახლში კედელზე ეკიდა ორი გალია“.

ზუგდ.-სამ. ეგრ ← ეურ; სენაკ. ეირ ← ეგრ ← ეურ. თავისთა-  
ვად ეურ ← \*აურ ← \*აორ, შდრ. სვან. აორ-ი, ქართ. ორ-ი<sup>75</sup>.

ფ. ვიწ.-არქ. და ათინ. თუთხუ, ხოფ. თითხუ, სენაკ. თხე-  
თხუ, ზუგდ.-სამ. თხთხე („თხელი“), ქართ. თხელ-ი, სვან. დგთხელ  
„თხელი“ (ჰან. ლექს., გვ. 148; მეგრ. ლექს., გვ. 247; ფონეტიკ.  
დაკვირვ., I, გვ. 215; შედარ. ლექს., გვ. 239).

ზანურში ამოსავალა ვიწ.-არქ. და ათინ. თუთხუ ← \*დუთხუ<sup>76</sup>.  
ზუგდ.-სამ. თხთხე ← თგთხე ← თუთხუ ← \*დუთხუ; სენაკ. თხთხუ  
← თითხუ ← თგთხუ ← თუთხუ ← \*დუთხუ; ხოფ. თითხუ ← თგთხუ  
← თუთხუ ← \*დუთხუ<sup>77</sup>.

ხოფურისა და სენაკურისაგან განსხვავებით ზუგდიდურ-სამურ-  
ზაყანულში ამოსავალი; თუთხუ სახეობის ბოლოკიდური უ ხმო-  
ვანიც გადასული ჩანს გ-ში.

არაა გამორიცხული, რომ ზანურის ამოსავლად შინეული  
\*დუ-თხუ თავისთავად იყოს მიღებული \*დი-თხუ, ე. ი. ამ ფუძეში  
შეიძლება გვექონოდა კლასნიწანად არა დუ-, არამედ დი- (შდრ. ჰან.  
დი-მჭკუ, გვ. 57), მაშინ დუთხუ იქნებოდა მიღებული ხმოვანთა  
რეგრესული ასიმილაციით: \*დუთხუ ← \*დითხუ (შდრ. ჰან. ნუკუ←  
ნიკუ, გვ. 59), ხოლო ზუგდ.-სამ. თხთხე ← თხითხე ← თხი-თხუ ←  
თი-თხ-უ ← \*დი-თხ-უ, სვან. დგთხელ ← \*დითხელ.

<sup>74</sup> გ. რ თ გ ა ვ ა, დისინილატიური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა  
ზანურში, თსუ შრომები, XXX ხ, 19-17, გვ. 354.

<sup>75</sup> ა რ ნ. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 213.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 239.

<sup>77</sup> იქვე.

ქ. სენაკ. ჯგირ-ი, ზუგდ.-სამ. ჯგვრ-ი (მეგრ. ლექს., გვ. 412).  
ზუგდ.-სამ.: ბაბა, თე სქეამი ჩიტო რე, მუსუთი ჯგჯრო ლურ-  
ქულანს (ყიფშ., მ. ტ., 173,15) „მამა, ეს ლამაზი ჩიტია, რასაც  
კარგად მღერის“.

მუშენი რეკ თეჯგუა ჯგჯრო, ანგელოზიშ დასადაო? (ყიფშ.,  
მ. ტ., 146,1) „რატომ ხარ ასეთი კარგი, ანგელოზთან შესადარე-  
ბელი?“.

ჩქენი მოჯგჯრეფს ობარჯნა გვერდი ხანს ჩქენი ტერი  
(ყიფშ., მ. ტ., 162,18) „ჩვენს მოკეთებებს აბარია ნახევარ დროს  
ჩენი მტერი“.

ზუგდ.-სამ. ჯგვრ ← ჯგურ; სენაკ. ჯგირ ← ჯგვრ ← ჯგურ.  
ზანურისათვის ამოსავალი ჯგურ შემონახულია მეგრულ  
კომპოზიტებში — ათე-ჯგურა (← ათეშ-ჯგურა) „ასეთი“, სიტყვა-სიტ-  
ყვით: „ამისთანა კარგი“, თი-ჯგურა (← თიშ-ჯგურა) „ისეთი“, სიტ-  
ყვა-სიტყვით: „იმისთანა კარგი“, ჩქიმ-ჯგურა „ჩემისთანა“, სიტ-  
ყვა-სიტყვით: „ჩემისთანა კარგი“ ...

მეგრულის კილოკავებში ათე-ჯგურა, ჩქიმ-ჯგურა...  
კომპოზიტების პარალელურად გვხვდება ათე-ჯგურა, ჩქიმ-ჯგურა  
და სხვ., ე. ი. რამოვარდნილი ფორმებიც. ამით შეიძლება იყოს  
შეპირობებული უ-ს შემონახვა ამ სიტყვებში. როგორც ზემოთ  
გვქონდა აღნიშნული (გვ. 13), უ ხმოვანი ზანურის კილოკავებში  
ხმოვნის წინ უცვლელია (ქუა, სქუა..).

მეგრ. ათე-ჯგურა, თი-ჯგურა... კომპოზიტების მეორე კომ-  
პონენტის ჯგურ-ა-ს ბოლოკიდური ა-ს არსებობა გვაფარაუდე-  
ბინებს, რომ ჯგურ-ა წარმოადგენს ჯგურ ზედსართავის თანაბ-  
რობით ხარისხის ფორმას. ჯგურ-ა-ს არქეტიპი იქნებოდა \*სი-  
ჯგურ-ა (მღრ. მეგრ. მა-ჯგირ-ა ← \*მა-ჯგურ-ა „ისეთი კარგი“)<sup>78</sup>.  
ამგვარად, ათე-ჯგურა ← ათე-ჯგურა ← ათეშ-ჯგურა ← \*ათეშ-სი-  
ჯგურა.

ლ. ვიწ.-არქ. და ათინ. გუნძე, ხოფ. და სენაკ. გირძე ||  
გინძე || გიძე, ზუგდ.-სამ. გუნძე || გჯრძე („გრძელი“), ქართ.  
გრძელ-ი (ჭან. ლექს., გვ. 137; მეგრ. ლექს., გვ. 217; შედარ.  
ლექს., გვ. 229),

<sup>78</sup> გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი. ხარისხის გაქვევებული  
ფორმები ქართულში, იკვ, ტ. IX—X, 1958, გვ. 106.

ზანურში ამოსავალ სახეობად მიჩნეულია გუძე. გინძე ო  
გირძე-ში ნ და რ ფონეტიკურ ჩანართად არის გაგებული<sup>79</sup>.

ზუგდ.-სამ. გვძე | გვრძე ← გუძე; სენაკ. და ხოფ. გინძე ო  
გძე ← გვძე ← გუძე.

ეგვევი სიტყვა გვხვდება უბიხურ ენაში — უბიხ. გუძე „დიდი“. შესაძლებელია უბიხური გუძე იყოს შეთვისებული ქართველური ენებიდან.

ყ. ვიწ.-არქ. ტუბუ, ხოფ. ტიბუ, სენაკ. ტიბუ, სვან. ტებ-ილ (-თბილი“), ძვ. ქართ. ტფ-ილ-ი (ჰან. ლექს., გვ. 191; შედარ. ლექს., გვ. 237).

ზუგდიდურ.-სამურზაყანულში ეს სახელი იხმარება ტგუზ-ს სახით<sup>81</sup>.

ზანურისათვის ამოსავალი ვიწ.-არქ. ტუბუ უნდა მომდინარეობდეს \*ტებ-უ-საგან. (შდრ. სვან. ტებ). \*ტებ-უ → \*ტობ-უ → ტუბ-უ. ზანურის ეს არქაული ტუბუ სახეობა დაკულია წყალტუბოს ქართულ გამოთქმამი — წყალ-ტუბ-ო, შდრ. მეგრული გამოთქმა წყარ-ტიბუ ო წყარ-ტგბუ, სიტყვა-სიტყვით: წყალ-თბილი<sup>82</sup>.

ამგვარად, ზუგდ.-სამ. ტგბუ ← ტუბ-უ ← \*ტობუ ← \*ტებუ; სენაკ. და ხოფ. ტიბუ ← ტგბუ ← \*ტუბუ ← ტობუ ← \*ტებუ. ქართ. ტფ-ილ-ი ← \*ტებ-ილ-ი (ძვ. ქართ. გან-ტეფ! „გათბი!“).

ამ სიტყვას უკავშირებენ ინდოევროპულ ფუძეს — ლათ. tep-id-us, რუს. теп-а-и „თბილი“ და სხვ.<sup>83</sup>...

შ. ვიწ.-არქ. ჩქუ(ნ), ათინ. შქუ(ნ), ხოფ. ჩქი(ნ), სენაკ. ჩქი(ნ), ზუგდ.-სამ. ჩქგ(ნ) („ჩვენ“), ქართ. ჩვენ (ძვ. ქართ. ჩუნ).

ეგვევი ფუძეა გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი-სათვის:

ვიწ.-არქ. ჩქუნ-ი, ათინ. შქუნ-ი, ხოფ. ჩქინ-ი, სენაკ. ჩქინ-ი, ზუგდ.-სამ. ჩქგნ-ი, სვან. გჷი-შგჷი-ი ო ნი-შგჷი-ი (ჩვენი), ძვ. ქართ. ჩუნენ-ი (ჰან. ლექს., გვ. 212; მეგრ. ლექს., გვ. 367; შედარ. ლექს., გვ. 222).

<sup>79</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 229.

<sup>80</sup> J. Mészáros, Die Pálchy-Sprache, 1934, გვ. 363.

<sup>81</sup> ი. ყიფშიძის მეგრულ ლექსიკონში გვხვდება ტგბგ. გვ. 328.

<sup>82</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 237.

<sup>83</sup> იქვე.

ზუგდ.-სამ.: ნაია, თე ჩქ სოლე მიბრთითი, ქომიწიია (ყიფშ., მ. ტ., 58,1) „დედიკო, ჩენ საიდან ზოვედით, ზითხარო“.

ჩქნი ლალა მის აშაასქგღ ჩქნი უკული ნი, ვამიჩქნა-ნია (ყიფშ., მ. ტ., 73,7) „ჩენი ქონება თუ ვის დარჩება ჩენ შემდეგ, არ ვიციო“.

ანწი ჩქნი რინა მუთუნიშა ვა ღირჯია (ყიფშ., მ. ტ., გვ-105,10) „ამიერიდან ჩენი ყოფნა არაფრად არ ღირსო“.

ამოსავალ ვარიანტად ზანურში ნ. ზარი საძარტლიანად თვლის ქანურის დასავლურ კილოებში შემონახულ ფორმას — ჩქუნ<sup>84</sup>.

ზუგდ.-სამ. ჩქენ ← ჩქუნ; ხოფ.. და სენაკ. ჩქინ ← ჩქენ ← ჩქუნ.

იმის გამო, რომ ზან. ჩქუნ || ჩქუნ-ი ნაცვალსახელი უ ხმოვნის შესატყვისად ძველ ქართულში გვაქვს უმარცვლო უ ჩუენ, თითქოს არ იყო მოსალოდნელი ზანურში ამ შემთხვევაში უ-ს გადასვლა გ-ში.

მაგრამ აქ სხვაგვარ ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე. როგორც ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში, ძველ ქართულში უმარცვლო უ ყველა შემთხვევაში არ უნდა იყოს ერთი და იმავე წარმოშობისა. ზოგი უ (უმარცვლო) ამა თუ იმ თანხმოვნის თანხლები ელემენტი, რომელიც ქმნის უძველეს ლაბიალურ კომპლექსს. რიგ შემთხვევაში კი ასეთი უმარცვლო უ წარმოადგენს მარცვლიან უ-ს რედუცირებულ სახეობას მომდევნო ხმოვნის გავლენით<sup>85</sup>. ასეთი მეორეული უ უნდა გვექონდეს ძვ. ქართ. ჩუენ ნაცვალსახელში: ჩუენ ← ჩუ-ენ, ზან. ჩქუნ ← \*ჩქუ-ან, შდრ. ზან. თქვან ← თქვ-ან, ქართ. თქვ-ენ, ძვ. ქართ. თქუ-ენ<sup>86</sup>.

ასე რომ ძვ. ქართ. ჩუენ, ზან. ჩქუნ, სვან. გჷ ი-შ გჷ ფუძეებში ცირისეულ თანხმოვანს (ჩ || ჩქ || შგ) ისტორიულად მოსდევდა მარცვლიანი უ, რაც შემოუნახავს ქანურის დასავლურ კილოებს. ასეთი უ მეგრულსა და ქანურის ხოფურ კილოებაში გადასულა გ-ში და სხვ ..

<sup>84</sup> Н. М а р р, Грам. чанск. яз., გვ. 212.

<sup>85</sup> ვ. თ. თ. უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკმ, ტ. 1, 1946. გვ. 82.

<sup>86</sup> შდრ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილანტა შესატყვისობანი, გვ. 45.

ინტერკონსონანტურ პოზიციაში სენაკურ კილოკავში უ → ჯ → ი, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში უ → ჯ საკუთარ სახელებშიც (გეოგრაფიულ სახელებში, გვარებში...):

ა. სენაკ. ინგიო-ი, ზუგდ.-სამ. ინგო-ი, ქართ. ენგურ-ი (მდინარის სახელწოდება).

ზუგდ.-სამ.: ინგური გოუდაფუნა ჯო ქობოგენა მოროყაც (ყიფშ., მ. ტ., 159, 23) „ენგურზე ხიდი გაუდვიათ, ხიდს აკეთებენ მოროყაზე“.

ინგიო || ინგო გეოგრაფიული სახელის არქაული ფორმა უნდა პქონდეს შემონახული ქართულს — ენგურ-ი (ნ. ფონეტიკური ჩანართია).

მე-16 საუკუნის ქართულ წერილობით ძეგლში ნ არ ახლავს ამ სახელს.

... გკადრეთ და მოგაქსენეთ ჩუენ... ე გ უ რ ი ს პ ი რ ს ნ ა ე ა ნ ე ო სამოცის კუამლის კაცითა<sup>87</sup>.

ზუგდ.-სამ. ინგო ← ინგურ; სენაკ. ინგიო ← ინგო ← ინგურ.

ბ. სენაკ. ტეხიო-ი, ზუგდ.-სამ. ტეხო-ი, ქართ. ტეხურ-ი (მდინარის სახელწოდება).

ამოსავალი უ ხმოვნიათ სახე შემონახული აქვს ქართულს ტეხურ-ი.

ზუგდ.-სამ. ტეხო ← ტეხურ; სენაკ. ტეხიო ← ტეხო ← ტეხურ.

ტეხურ გეოგრაფიული სახელწოდების ტეხ ფუძე შეიძლება უკავშირდებოდეს სუანურ ზმნას ტეხ-ი „ბრუნდება“, მდრ. მდინარის ქართული სახელწოდება ქცია, დაკავშირებული მოქცევა, მობრუნებასთან.

გ. სენაკ. ცქოია, ზუგდ.-სამ. ცქურია (გვარი).

ზუგდ.-სამ. ცქურია (ცქურხე) ← ცქურია; სენაკ. ცქოია ← ცქურია ← ცქურია.

ცქურია დასტურდება XVI ქართულ წერილობით ძეგლში: მართებს სორდის ცქურია სორი ქანდაქი ვმლი ბეგარაჲ<sup>88</sup>.

დ. სენაკ. ქირია, ზუგდ.-სამ. ქურია (გვარი).

ზუგდ.-სამ. ქურია ← ქურია; სენაკ. ქირია ← ქურია ← ქურია (გვ. 53) და სხვ....

<sup>87</sup> აფხაზეთის დიდი იადგარი, გვ. 182.

<sup>88</sup> აფხაზეთის დიდი დავთარი, გვ. 34.

## ზმნურ ფუძეებში

ა. ათინ. ზუმ — ოზუმუ, ხოფ. ზიმ — ოზიმუ, სენაკ. ზიმ — ზიმუა, ზუგდ.-სამ. ზემ — ზემუა („ზომეა“), ქართ. ზომ — ზომეა (ქან. ლექს., გვ. 145; მეგრ. ლექს., გვ. 238; შედარ. ლექს., გვ. 276).

ქართული ზომ-ის ზანური შესატყვისია ზუმ<sup>80</sup>. ეს ამოსავალი სახე შემონახულია ქანურის დასავლურ კილოკავებში.

ზუგდ.-სამ. ზემ ← ზუმ; ხოფ. და სენაკ. ზიმ ← ზემ ← ზუმ.

მეგრ. ზომა (ზომა გეუჭოფი „ზომა აულე“) ქართულიდანაა შესული.

ბ. ათინ. სქუდ — დოსქულუ, არქ. სქიდ — დოსქიდუ, ზუგდ.-სამ. სქგდ — დოსქგდგ („დარჩა“), ცვ. ქართ. შთ — დაშთა, სევან. სედ — სედ-ნ-ი „რჩება“ (ქან. ლექს., გვ. 185; მეგრ. ლექს., გვ. 322; შედარ. ლექს., გვ. 316).

ზუგდ.-სამ.: ...ართი დლას ოტყალღმა მიდართესღ დო თიმუ სერს ტყას ქოდ ოსქგდესღ (ყიფშ., მ. ტ., 50, 13). „ერთ დღეს სანადიროდ წავიდნენ და იმ დამეს ტყეში დარჩნენ“.

...უქულაშიქ თაქი ქგდ ოსქგდღ (ყიფშ., მ. ტ., 81, 29) „უმცროსი აქ დარჩა“.

...ოზუმუანდეს დო თით სქგდღდეს (ყიფშ., მ. ტ., გვ. 56, 15) „ახმობდნენ და მით ირჩენდნენ თავს“.

ზანურის კილოკავებში ამ ფუძის არქაულ სახედ მიჩნეულია სქუდ, რაც დაცული აქვს ქანურის ათინურ კილოკავს<sup>81</sup>.

ზუგდ.-სამ. სქგდ ← სქულ; სენაკ. და ხოფ. სქიდ ← სქგდ ← სქულ.

საყურადღებოა, რომ ამ ფუძეში პროცესს — უ → გ → ი არქაბულშიც ჰქონია ადგილი: არქაბული სქიდ ← სქგდ ← სქულ.

ზან. სქუდ-ის შესატყვისი ქართულ ფუძეში შთ (ცვ. ქართ. დაშთა) ვ. თოფურია აღადგენს რედუცირებულ ე ხმოვანს: \*შეთ ← \*შედ, შდრ. სევან. სედ<sup>81</sup>. ეს მოსაზრება არ უნდა იწვევდეს ექვს. რა მიმართებაშია ზანურის სქუდ ფუძის უ ხმოვანი ქართულის \*შეთ ← \*შედ და სევანურის სედ ფუძის ე ხმოვანთან?

სპეციალურ ლიტერატურაში სქულ-ის წინასახეობად მიჩნეული \*სქოდ-ის თვლიან ქართ. \*შეთ-ის ე ხმოვნის შესატყვისად<sup>82</sup>.

<sup>80</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 276.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 317.

<sup>82</sup> ვ. თოფურია, ფონეტ. დაკვირვ. II, გვ. 14.

<sup>83</sup> გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართვ. ენებში, თუმ, ტ. 69, 1958, გვ. 266.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში განხილული ზანური უ ხმოვანი (სქულ) და ქართულ-სევანური ე ხმოვანი (\*შედ, სედ) სულ სხვადასხვაგვარი მონაცემებია. ზანური ს ქ უ ლ მიღებულია სქულ-ად-ისაგან. უკანასკნელი შემორჩენილია მეგრულში მასდარისა და მიმღობის ფორმებში: (დო)სქილ-ად-ა ← (დო)სქელ-ად-ა ← \*(დო)სქულ-ად-ა „დარჩენა“, (დო)სქილ-ად-ირ-ი ← (დო)სქელ-ად-ირ-ი ← \*(დო)სქულ-ად-ირ-ი „დარჩენილი“. ამ ფუძის ად სუფიქსის ა ხმოვანს შეენაცვლება ი ხმოვანი — ად || იდ. იდ ვარიანტი გვხვდება კაუზატივის ფორმაში — ო-სქილ-იდ-უანს „არჩენს“. ზანური სქელ-ად ფუძის ად სუფიქსი წარმოადგენს ქართული \*შ-ედ და სევანური ს-ედ ფუძის -ედ სუფიქსის კანონზომიერ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ შესატყვისს. რაც შეეხება ს ქ უ ლ ფუძის უ ხმოვანს, იგი ამოსავალი \*ს ქ უ ლ-ად ვარიანტის ულ დეტერმინანტის ხმოვნითი ელემენტიცაა. ს ქ უ ლ მიღებულია \*ს ქ უ ლ-ად-ისაგან.

ს ქ უ ლ ა დ ფუძისაგან გარდაუვალი ზმნა იწარმოება უ სუფიქსის დართვით — \*სქულ-ად-უ-ნ, რის გამო ად სუფიქსის ა ხმოვანი ამოვარდება. \*სქულ-ად-უ-ნ → \*სქულ-დ-უ-ნ → \*სქურ-დ-უ-ნ. უკანასკნელ ვარიანტში რ ამოვარდნილი ჩანს — ს ქ უ ლ უ ნ „რჩება“. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ასეთივე რ შემონახულია, მაგალითად, მეგრ. ქუ-ოლ-ად ფუძისაგან ნაწარმოებია გარდაუვალი ზმნა გა ა ა ქ ყ ო რ ლ უ ნ „დაავიწყდენა“: \*გო-ო-ქყ-ოლ-ად-უ-ნ → \*გა-ა-ქყ-ოლ-დ-უ-ნ → გა-ა-ქყ-ო-რ-დ-უ-ნ და სხვ. ...

როგორც გაირკვა, ზან. ს ქ უ ლ ← ს ქ უ ლ-ად უფრო რთული აგებულებებისაა, ვინემ ქართული \*შ-ედ და სევანური ს-ედ. ჯერ ერთი, ზანურ ს ქ უ ლ-ად ფუძის -ად სუფიქსი ხმოვანმონაცვლეა -ად || -იდ, მაშინ, როდესაც ქართული \*შ-ედ ფუძის -ედ არაა ხმოვანმონაცვლე. მეორე მხრით, მეგრულის ძირისეულ მასალას ამ ზმნაში დართული აქვს -ულ სუფიქსი-დეტერმინანტი, ქართულსა და სევანურში სათანადო ძირს დეტერმინანტი არ ახლავს — ქართ. შთ ← \*შ-ეთ ← \*შ-ედ, სევან. ს-ედ.

რამდენადაც ზანურის ს ქ ძირისეულ ნაწილს არ მოსდევდა ლაბიალური ბგერა გ (ჭ)<sup>82</sup>, მისი მიმდევრო უ ხმოვანი გადასულა გ-ში: ს ქ უ ლ → ს ქ ე ლ → ს ქ ი ლ.

<sup>82</sup> შარ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილანტთა შესატყვისობანი, გვ. 67.

გ. ვიწ.-არქ. გუბ — დოგუბუ, ხოფ. გიბ — დოგიბუ, ათინ. ჯიბ — დოჯიბუ („მოხარშა“), სენაკ. გიბ — გიბუა, ზუგდ.-სამ. გგბ — გგბუა („ხარშვა აბრეშუმის ძაფისა, აბედის“), ქართ. \*გაბ — ძე. ქართ. შეიგბო („მოხარშა“), სენ. ჯაბ — ლიჯაბ „მოხარშვა“ (ქან. ლექს., გვ. 136; შედარ. ლექს., გვ. 265).

ზანურის ამოსავალ სახეობად ითვლება გუბ. ამის საფუძველზე ქართულ გბ (შეიგბო) ფუძეში აღადგენენ ა-ს — \*გაბ, რასაც ნხარს უქერს სენაურიც ჯაბ ← გაბ<sup>54</sup>.

ზუგდ.-სამ. გგბ ← გუბ; სენაკ. და ხოფ. გიბ ← გგბ ← გუბ.

საყურადღებოა, რომ ჭანურის ათინურ კილოკავშიც ჰქონია ადგილი პროცესს — გუბ → გგბ → გიბ. უკანასკნელში გ → ჯ: გიბ → ჯიბ.

დ. ვიწ.-არქ. ქთურ — უქთურუ, ხოფ. ქთირ — უქთირუ („უცვალა“), სენაკ. თირ — თირუა, ზუგდ.-სამ. თგრ — თგრუა „გაცვლა“ (შედარ. ლექს., გვ. 335; მეგრ. ლექს., გვ. 243; ჭან. ლექს., გვ. 197).

ზუგდ.-სამ.: ჯვეში კანი დი იფ თგრე, შური-გური მათუ წმინდა (ყიფშ., მ. ტ., 174,6) „ძველი კანი გამოვიცვალე, სული-გული მაქვს წმინდა“.

ზანურისათვის ამოსავალია ჭან. ქთურ.

ზუგდ.-სამ. თგრ ← ქთურ; სენაკ. თირ ← ქთგრ ← ქთურ<sup>55</sup>.

სხვა ქართველურ ენებში ეს ფუძე არ გვაქვს.

ე. სენაკ. გიმ — გიმუა, ზუგდ.-სამ. გგმ — გგმუა „ლომის (ფეტვის) მკა“. აქედანაა ვიწ.-არქ. გ უ მ ა-თ უ თ ა, ხოფ. გ ი მ ა თ უ თ ა, სენაკ. გ ი მ ა-თ უ თ ა, ზუგდ.-სამ. გ გ მ ა-თ უ თ ა „ოქტომბერი“, სიტყვა-სიტყვით: „მკის თვე“ (ჭან. ლექს., გვ. 148; შედარ. ლექს., გვ. 210; მეგრ. ლექს., გვ. 216).

ზუგდ.-სამ: დლასუ მისუ გაგონებუ შქა გ გ მ ა ს გ თ გ რ ა? (ყიფშ., მ. ტ., 142,6) „როდის გაგონილა შუა ოქტომბერში თოვლის მოსვლა?“

დლასუ მისუ გაგონებუ შქა გ გ მ ა ს გ თ გ რ ა? (იქვე, 141,12) „როდის გაგონილა შუა ოქტომბერში თოვლის მოსვლა?“

როგორც ცნობილია, ოქტომბერის ძველი ზანური სახელწოდება დაკავშირებული ყოფილა ლომის (ფეტვის) მკასთან.

<sup>54</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 266.

<sup>55</sup> შდრ. იქვე, გვ. 335.



ეს ფუძე მხოლოდ ზანურის კილოკავებშია ცნობილი. არქაულია უ ხმოვნიანი ვარიანტი — გ უ მ<sup>66</sup>.

ზუგდ.-სამ. გგმ ← გუმ; სენაკ. და ხოფ. გიმ ← გგმ ← გუმ.

ვ. ვიწ.-არქ. და ათინ. სქურ — მესქურუ, ხოფ. სქირ — მესქირუ („გაშრა, გაქრა“), სენაკ. სქირ — მესქირუ, ზუგდ.-სამ. სქერ — მესქერ ( „გაშრა“ ), ქართ. შრ — დაშრა.

ზანურში ამოსავალი სახეობაა სქურ, რაც შემონახულია ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში. ზანურის მიხედვით ქართულ შრ (გაშრა) ფუძეში ივარაუდება ისტორიულად ა ხმოვნის არსებობა: ზან. სქურ, ქართ. \*ძარ, ოლონდ ასეთი ურედლექციო ფორმა ქართულს არ შემოუნახავს<sup>67</sup>.

ზუგდ.-სამ. სქერ ← სქურ; სენაკ. და ხოფ. სქირ ← სქერ ← სქურ.

უ გადასულა გ (→ ი) -ში, რამდენადაც ძირისეულ სქ-ს არ ახლდა ლაბიალური თანხმოვანი ვ (ფ)<sup>68</sup>.

მეგრულში სქირ || სქერ ზნური ფუძის პარალელურად იხმარება ზედსართავი სახელი — სენაკ. სქირუ, ზუგდ.-სამ. სქერ ჯ „მშრალი“ (მეგრ. ლექს., გვ. 323)

ქართ. მ შ რ ა ლ - ი მიმღეობაა გარდაუვალი დინამიკური ზმნი-სა — შ რ ე ბ ა . მ შ რ ა ლ - ი ← \*მ-შრ-არ-ი (დისიმილაციის საფუძველზე), შდრ. მ-კვდ-არ-ი — კვება, გა-მ-თბ-არ-ი — თება, გა-მ-ქრ-ალ-ი ← \*გა-მ-ქრ-არ ი — ქრება და სხვ. ...

მეგრული სქირ-უ ← სქერ-უ ← სქურ-უ შეიძლება აგრეთვე მიმღეობურ წარმოებად მივიჩნიოთ. მიმღეობის მაწარმოებლად აქ შემორჩენილია უ სუფიქსი, ქართული მ-შრ-ალ ← \*მ-შრ-არ მიმღეობის -არ სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტი. სქირ-უ ნაწარმოებია გარდაუვალი დინამიკური ზმნისაგან — სქირ-უ-ნ — „ძრება“. ასეთივე წარმოება გვაქვს ზოგი სხვა ამ ტიპის ზმნისაგან. სახელდობრ, ტიბ-უ-ნ ← ტებ-უ-ნ ← ტუბ-უნ „თება“: ტიბ-უ ← ტებუ-← ტუბ-უ „თბილი“. ზედსართავი ტიბუ || ტუბუ, გარდა მეგრულისა, გვაქვს ჭანურშიც (შედარ. ლექს., გვ. 237).

სქირ-უ („მშრალი“) სახელის უ სუფიქსი ზუგდიდურ-სამურზაყანულში გადადის გ-ში — სქერგ.

<sup>66</sup> არნ, ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 210.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>68</sup> შდრ. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი, გვ. 64.

(ჩხომქ) წყარიზე გეშასხაბუ დო სქირჯს გიგიანთხ (ყიფშ., მ. ტ., 48,1) (თევზი) მდინარიდან ამოხტა და მპრალზე დაეცა“.

ზ. ჭან. ჩით — მუჩითუ („აცდა“), სენაკ. ჩირთ — მეჩირთუ, ზუგდ.-სამ. ჩგროთ — მეჩგროთ („შეცდა“), ქართ. ცეთ — შეცთა (ჭან. ლექს., გვ. 210; შედარ. ლექს., გვ. 374; მეგრ. ლექს., გვ. 364).

ზუგდ.-სამ.: სამშობლოს ვოჩგროთქქ, აწი მა მი მომიგორუ-ანს? (ყიფშ., მ. ტ., 155,32) „სამშობლოს გავცდები, ამიერიდან მე ვინ მოძიკითხავს?“.

ზან. ჩით || ჩირთ || ჩგროთ ← ჩილ-ათ ← ჩგლ-ათ ← \*ჩულ-ათ. ჩილ-ათ || ჩგლ-ათ შემონახულია მეგრულში ზასდარსა და მიმღეობაში: ჩილ-ათ-ა || ჩგლ-ათ-ა „შეცდენა“, ჩილ-ათ-ირ-ი || ჩგლ-ათ-ირ-ი „შემც-დარი“. ჩულ-ეთ-ის სახით ჩულ-ათ გვაქვს ჭანურში: ო ჩ უ ლ ე თ ი ნ უ „თავის დახსნა“, „აცთენა“ (ჭან. ლექს., გვ. 212).

\*ჩულ-ათ ფუძე ორსუფიქსიანია. ძირია ჩ, -ულ დეტერმინანტ-სუფიქსია და ათ ← აღ ხმოვანმონაცვლე სუფიქსი: ჩგლ-ათ-ირი „შემცდარი“, მაგრამ ოჩგლ-ით-უანც „აცთუნებს“. ზან. \*ჩ-ულ-ათ-ის ათ სუფიქსის ქართული შესატყვისი -ეთ (ც-ეთ) არაა ხმოვანმო-ნაცვლე, რამდენადაც ძირისეული მასალა ც ერთი თანხმოვნითაა წარმოადგენილი, შდრ. შთ ← \*შ-ეთ (დაშთა) და სხვ. ...

ამგვარად, ქართ. ც-ეთ (შეცთა) ფუძის გ ხმოვნის შესატყვისია ზანურში არა ი || ← უ, არამედ ჩილ-ათ-ის -ათ სუფიქსი. მეგრ. ჩირ-თ-უ-ნ-ის რ მიღებულია ლ-საგან თ-ს მეზობლად: ჩგრო-თ-უ ნ → \*ჩგლ-თ-უ-ნ ← \*ჩგლ-ათ-უ-ნ ← \*ჩულ-ათ-უ-ნ<sup>99</sup>.

თ. ჭან. შირ — დოშირი „გაცვითე“, სენაკ. შირ — დოშირუ, ზუგდ.-სამ. შგრო — დოშგრო „დაცვითა“, „გაწყვითა“, ქართ. სრ (← \*სარ) — მოსრა (ჭან. ლექს., გვ. 206; შედარ. ლექს., გვ. 365; მეგრ. ლექს., გვ. 357).

ზუგდ.-სამ.: რაშიქ გეიოლუ დო ოკოლუ ცასუ ქიმქაშგროჯ-კონი გიმახვენჯი (ყიფშ., მ. ტ., 61,33) „რაში ახტა და უნდოდა ცაზე მიესრისა მხედარი“.

ზან. შირ ითვლება \*შურ ← \*შორ-ისაგან მიღებულად. ქართ. სრ (მო-სრ-ა)-ში ამის მიხედვით ა აღდგა, ქართ. სრ ← \*სარ<sup>100</sup>.

ზუგდ.-სამ. შგრო ← შურ; ჭან. და სენაკ. შირ ← შგრო ← შურ.

<sup>99</sup> შდრ. არხ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 374,

<sup>100</sup> არხ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 366.

როგორც ჩანს, შირ ფუძის მიხედვითაც ივარაუდება, რომ ქანურის დასავლურ კილოკავებშიც სპორადულად თავს იჩენდა პროტესი: უ || თ → გ → ი.

ი. კან. შუ || შე-ელ || შოლ („დასველება“), მეგრ. შოლ — შო-ლუა („დასველება“), ქართ. სველ-ი, ძვ. ქართ. სუელ-ი (შედარ. ლექს., გვ. 362).

ზან. შოლ ფუძის ძირად გამოყოფენ შვ (← შუ)-ს, რამდენადაც ასეთ შუ სველის მნიშვნელობით იხმარება მეგრულში. ასევე ძვ. ქართ. სუელ ← სუ-ელ, სადაც სუ-ს უ ისტორიულად მარცვლიანი უნდა ყოფილიყო<sup>101</sup>.

რამდენადაც მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში გვაქვს შვ ← შუ, შ ძირისეულ თანხმოვანს აქ მართლაც ისტორიულად ლაბიალური ფ არ უნდა ხლებოდა.

ამის საფუძველზე ძველი ქართულის სუ (სუ-ელ-ი) და ხუ (სუზა) სხვადასხვა ძირი ჩანს<sup>102</sup>: სუ-ელ-ში ს წმინდა თანხმოვანია, ხოლო სუ შა-ში ს ← სფ და სხვ. ...

§ 30. რამდენსამე შემთხვევაში ინტერკონსონანტური უ → გ → ი ქანურის ხოფურ კილოკავში, ხოლო მეგრულის კილოკავებში (ისევე, როგორც ქანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში) უ უცვლელად არის შემონახული:

ა. ვიწ.-არქ. ოშქურ-ი, ხოფ. უშქირ-ი, მეგრ. უშქურ-ი (ვაშ-ლი), ქართ. ვაშლ-ი, სვან. ჟისგ-უ „ვაშლი“ (კან. ლექს., გვ. 192; შედარ. ლექს., გვ. 121; მეგრ. ლექს., გვ. 333).

ზუგდ. სამ.: ართი ნდენიში ცუდეში ხოლოს ართი გოქარ-კანეელი უშქური ქიგედგნი, ქოძირესუ (ყიფშ., მ. ტ., 63,20) „ერთი მდევის სახლის ახლოს ერთი დახუნძლული ვაშლი რომ დგას, დანახეს“.

იდგ თე ძღაბიქ დო ართი ბოზის ხესუ ქღდააკინუ უშქური (ყიფშ., მ. ტ., გვ. 92,14) „იარა ამ ქალიშვილმა და ერთ ვაჟს ხელში მისცა ვაშლი“.

ხოფური უშქირ ← უშქერ ← უშქურ. ასახსნელია, თურით არის შეპირობებული მეგრულის კილოკავში ამ ფუძეში უ-ს შემონახვა.

<sup>101</sup> არ ნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 362; ვ. თოფურია, რედუქც. ქართვ. ენებში, გვ. 78.

<sup>102</sup> შდრ. იქვე.

ზან. უშქ-ურ ← \*ოშქ-ორ ← \*ოშქ-ოლ, შდრ. ქართ. ვაშ-ლ ← \*ვაშ-ალ. შესაძლებელია მეგრულის კილოკავებში ამოსავალი \*ოშქ-ოლ-ის ო გადავიდა უ-ში მას შემდეგ, რაც უკვე შეწყვეტილი იყო ამ კილოკავებში პროცესი — უ → ჯ.

მეორე მხრით, შესაძლებელია მეგრულის კილოკავებში უშქურ. ფუძეში ინტერკონსონანტური უ-ს გადასვლა გ-ში შეიჩერა თავ-კიდურმა უ ხმოვანმა.

ბ. ვიწ-არქ. (მ)სუჯ-ი, ხოფ. (მ)-სიჯ-ი, სენაკ. სურო, ზუგდ.-სამ. ცურუ, ქარ. სურ-ო (ჰან. ლექს., გვ. 186; შედარ. ლექს., გვ. 131; მეგრ. ლექს., გვ. 371).

ზანურში არქაული ფორმაა სუჯ ← \*სურ. ხოფ. სიჯ ← სჯჯ ← სუჯ. მეგრულის კილოკავებში სურო || ცურუ-ს უ უცვლელი დარჩა. ალბათ იმიტომ, რომ იგი ქართულიდანაა შეთვისებული შედარებით გვიან.

მეგრულის კილოკავებშიც უნდა ყოფილიყო ერთ დროს ფუძე „სუჯ“. ამას ადასტურებს აფხაზური ა-ძიჩ „სურო“, რომელიც მეგრულიდან შეთვისებული იგივე სუჯ უნდა იყოს.

აფხ. შიჩ ← \*ძიჩ ← შიჯ ← სუჯ.

ზანური სუჯ უნდა მომდინარეობდეს \*ჰურ-ისაგან, რომელიც ქართ. სურ(ო)-ს კანონზომიერი შესატყვისი იქნებოდა. \*შურ-ის შუჯ-ში გადასვლის შემდეგ ძირისეული შ მომდევნო ჯ-სთან დისიმილაციის გზით გადასულა ს-ში: \*შურ → შუჯ → სუჯ.

აფხ. ა-შიჩ „სურო“ ნ. მარს დაკავშირებული აქვს ქართ. სუროსთან<sup>103</sup>.

§ 31. ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ბოლოკიდური უ გადასული ჩანს გ-ში:

ა. ჰან. ბალუ, სენაკ. ბალუ, ზუგდ.-სამ. ბალგ („ბელელი“), ქართ. ბელელ-ი (შედარ. ლექს., გვ. 151; მეგრ. ლექს., გვ. 201).

ზუგდ.-სამ. ბალგ ← ბალ-უ-საგან. ბოლოკიდური -უ ნასუფიქსარი ელემენტია, ე. ი. ფუძის დეტერმინანტი, ქართ. ბელ-ელ ფუძის -ელ სუფიქსის ტოლფარდი. ბალ-უ ← \*ბალ-ულ.

ბ. სენაკ. კუ || რკუ || კი, ზუგდ.-სამ. კგ „რკო“ (მეგრ. ლექს., გვ. 263), ქართ. რკო.

<sup>103</sup> Н. М а р р, Абхазско-русский словарь, 1926, გვ. 102.

ზუგდ.-სამ. კგ ← კუ; სენაკ. კი ← კგ ← კუ.

გ. ქართ. ყინ-ულ-ი, ძვ. ქართ. ყინ-ელ-ი, ჭან. ყინ-ი || ყინ-ი || ინ-ი, სენაკ. ყინ-ი (შედარ. ლექს., გვ. 190).

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ეს სახელი გვხვდება წინგ-ს სახით.

ზუგდ.-სამ. ყინ-გ ← ყინ-უ; სენაკ. ყინ-ი ← ყინ-გ ← ყინ-უ.

ყინ-უ ფუძის უ არის ქართული ყინ-ულ || ყინ-ელ-ის ულ || ელ სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტი. შესაძლებელია ყინ-უ იყოს მიღებული \*ყინ-ულ-საგან, მდრ. ქართ. ყინ-ულ, თუ უკანასკნელში -ულ არაა ყინავეს ზმნის მიმღობური წარმოება<sup>104</sup>.

ჩანს, ამ ფუძეში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვაში, ბოლო-კიდური უ ხმოვანი გადასულა გ (→ ი)-ში მეგრულის სენაკურ კილოკავშიც.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში აფიქსისეული უ აღდგება მრავლობითის ფორმაში: ყინ-უ: ყინ-უ-ეფ-ი („ყინულები“).

დ. სენაკ. ტუ, ზუგდ.-სამ. ტგ „ცური“ (მეგრ. ლექს., გვ. 330).

ზუგდ.-სამ. ტგ ← ტუ.

ეს ფუძე ცნობილია ქართულის დასავლურ კილოებში. გურული ტუა „ცური“<sup>105</sup>, იმერ. ტუ „ცური“<sup>106</sup>.

ტუა || ტუ ქართულის დასავლურ კილოებში ზანური სუბსტრატისა უნდა იყოს.

მეგრული ტუ მიღებულია \*ტულ (← \*ტოლ)-ისაგან ბოლოკიდური ლ ბგერის დაკარგვის საფუძველზე. ეს ამოსავალი \*ტოლ უნდა გვეპოვდეს სიტყვაში — მეგრ. ონტოლე „ჯირკვალი მშუცლის ქვემო ნაწილში“. ონტოლე-ში ნ ფონეტიკური ჩანართია.

ეს ზანური სიტყვაც ორტოლა-ს სახით დასტურდება გურულ კილოში. გურ. ორტოლა — ჯირკვალი, რომელიც გრძლად, ორ ზოლად გადაწვდება კაცს ქიპში<sup>107</sup>. ორტოლა-ში რ ფონეტიკური ჩანართია. მეგრ. ონტოლე უნდა იყოს ქართული არტალა-ს ზანური შესატყვისი. არტალა — საკლავთ უკანა მუჯლის ქვეითი

<sup>104</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 30.

<sup>105</sup> გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 63.

<sup>106</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა.

<sup>107</sup> გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 51.

(საბა), არტალა — ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი || ამ ნაწილი-საგან დამზადებულ წვნიანი შექამანდი<sup>108</sup>.

არტალა-ში რ ფონეტიკური დანართია. არტალა ← \*ა-ტალ-ა. ქართ. \*ა-ტალ-ა, ზან. \*ო-ტოლ-ე.

ქართული არტალა და ზან. ონტოლე სემანტიკურად და: შორებულან ერთმანეთს.

ე. ტან. ჭუ || მჭუ, სენაკ. ჭი, ზუგდ.-სამ. ჭგ („ნაწლავი“), ქართ. წელ-ი (ტან. ლექს., გვ. 227; შედარ. ლექს., გვ. 69; მეგრ. ლექს., გვ. 396).

ზუგდ.-სამ. ჭგ ← ჭუ. სენაკურშიც ამოსავალი უნდა ყოფილიყო ჭუ. სენაკ. ჭი ← ჭგ ← ჭუ. ჩანს, ამ შემთხვევაშიც სენაკურში ბოლოკიდური უ გადასულა ირაციონალურ გ-ში.

ზან. ჭუ უნდა იყოს მიღებული \*ჭულ-ისაგან ბოლოკიდური ლ-ს გაუჩინარებით.

გ. სენაკ. ოსქუ, ზუგდ.-სამ. ოსქგ „საღორე“ (მეგრ. ლექს., გვ. 350).

ზუგდ.-სამ. ოსქგ ← ოსქუ.

სენაკურ კილოკავს შემონახული აქვს არქაული ფორმა ოსქუ.

ზ. სენაკ. ჭკადუ, ზუგდ.-სამ. ჭკადგ („მჭედელი“), ქართ. მჭედელ-ი, სვან. მჭმკანდ („მჭედელი“).

მეგრ. ჭკადუ || ჭკადგ მიმდებარა ჭკადუნს ზმნისა. ქართულში მიმდებარის მაწარმოებელია მ-პრეფიქსი და -ელ სუფიქსი — მ-ჭედ-ელ-ი, სვანურში ამ ფუძეს მხოლოდ პრეფიქსი ახლავს — მჭ-შკად. მეგრულში ამ ფუძეს მხოლოდ -უ სუფიქსი ახლავს — ჭკად-უ || ჭკადგ. ეს სუფიქსი ქართული -ელ-ის ტოლფარდია. მ პრეფიქსი კი დაკარგული უნდა იყოს: ჭკად-უ ← \*მ-ჭკად-უ.

ჭკად-უ-ს უ სუფიქსიც ულ-ისაგან უნდა იყოს მიღებული: ჭკად-უ ← \*მ-ჭკად-ულ.

ჭკად-უ (← \*ჭკად-ულ) ფუძისაგანაა ნაწარმოები მეგრ. ოქკადურე ← ო-ჭკადურ-ე „სამჭედლო“, ე. ი. ადგილი, შენობა, სადაც მჭედელი (ჭკადუ) იწყობება. ასეთივე აგებულებისაა ქართ. სამ-ჭედლო ← \*სა-მჭედელ-ო. ოქკადურ-ე ნაწარმოებ ფუძეში \*ჭკად-ულ-ის ბოლოკიდური ლ რ-თი ჩანს შენაცვლებული.

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ოქკადურე სახელშიც უ → გ: ოქკადგრე (მეგრ. ლექს., გვ. 390).

<sup>108</sup> ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 572

თ. ჭან. ლალ-ი, სენაკ. ლალ-ი, ზუგდ.-სამ. ლალ-გ, ქართ. ლელ-ე (ჭან. ლექს., გვ. 200; მეგრ. ლექს., გვ. 349; შედარ. ლექს., გვ. 183).

ზუგდ.-სამ. ლალგ მიღებულია ლალ-უ-საგან. მრავლობითის ფორმაში ეს უ აღდგება: ლალ-უ-ეფ-ი „ღელეები“.

ლალ-უ-ს უ სუფიქს-დეტერმინანტია, ქართულ ლელ-ე-ს ბოლოსართი ე-ს მორფოლოგიური ეკვივალენტი. ე უნდა მომდინარეობდეს ელ-ისაგან. ლალ-უ-ს უ ← ულ, ლალ-უ ← \*ლალ-ულ.

ჭანურში ეს ფუძე უდეტერმინანტოდ არის წარმოდგენილი. გასარკვევია ჭანურში ამ ფუძის ისტორია.

ასევე, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები (გვ. 39) ბოლოკიდური უ (ღია მარცვალში) გადასული ჩანს გ-ში ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში სახელებში:

ზუგდ.-სამ.	რჩზგ	←	რჩინჟ	„მოხუცებული“
„	კვღ	←	კიდუ	„კოდალი“
„	ჩზზ	←	ჩიხუ	„ბურვაკი“
„	ნკჟ	←	ნიკუ	„ნიკაპი“
	კენზ	←	კუნუ	„წნელი“...

§ 32. ინტერკონსონანტურ პოზიციაში ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში თ → გ, ხოლო სენაკურსა და ხოფურში თ → გ → ი.

ა. ვიწ.-არქ. და ათინ. კორზა, ხოფ. კირზა, სენაკ. კირზა, ზუგდ.-სამ. კვრზა „სუთი“ (ჭან. ლექს., გვ. 156; შედარ. ლექს., გვ. 169; მეგრ. ლექს., გვ. 259).

ზუგდ.-სამ. კვრზა ← კორზა; სენაკ. და ხოფ. კირზა ← კვრზა ← კორზა.

ბ. ვიწ.-არქ. და ათინ. კოლა, ხოფ. კილა, სენაკ. კილა, ზუგდ.-სამ. კვლა „გასაღები“ (ჭან. ლექს., გვ. 156; მეგრ. ლექს., გვ. 264).

ზუგდ.-სამ.: ბოშიქ... თხუუ მუმას კვლა (ყიფშ., მ. ტ., გვ. 63,4) „ყმაწვილმა სთხოვა მამას გასაღები“.

ზუგდ.-სამ. კვლა ← კოლა; სენაკ. და ხოფ. კილა ← კვლა ← კოლა.

მეგრ. კვლა-ა ო კილა-ა გვაქვს ზმნის ფუძეშიც: კვლა ო კილა ო დაკეტვა“.

დიდაქ... ყორშიშა ემე ინტე დო თეჟი დუდი ქემლეკელუუ (ყიფშ., მეგრ. ტ., 61, 28) „დედა კონსისკენ ზევით გაიქცა და იქ (თავი) ჩაიკეტა“.

ზანური კოლ-ა ფუძე უკავშირდება ქართლ კლიტე-ს. კლიტე დასტურდება ძველ ქართულ ძეგლებში:

მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი (ოთხ., მ. 16, 19).

მისცეს კლიტე საქურჭლეთა, თავთა მათთა მიანდობდეს (ვეფხისტყაოსანი, 1638).

ბესაღლებელია ქართ. კლიტე; ზან. კოლა შეთვისებულად მივიჩნით: ბერძნული  $\chi\lambda\epsilon\iota\varsigma$ ,  $\chi\lambda\epsilon\iota\theta\epsilon\varsigma$ , ლათინური *clavis* „გასაღები“.

სვანურში განხილული ფუძე გვხვდება კლ-ის სახით.

მაცხეზრი ქელჳრს წან ხაბმენა (სვ. პ., 46, 19) „მაცხოვრის გასაღებზე ხარი მიბმული ყოფილა“.

ამ განზომენებით ეს სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს მესული ეს ფუძე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაშიც გვხვდება. მაგალითად, ლაქური კულა „გასაღები“ ...

გ. სენაკ. კილ-ი, ზუგდ.-სამ. კგლ-ი, ხოფ. ინკილ-ი „კონა, ერთი შეკვრა“ (ქან. ლექს., გვ. 149; მეგრ. ლექს., გვ. 264).

ზუგდ.-სამ.: (ბოშის) თითო კოჩიშა ქიმუჩამუ თითო კელი ჭა (ყიფშ., მ. ტ., 62, 21) „(ყმაწვილს) თითოეული კაცისათვის მიუცია თითო კონა ჩალა“.

კელ-ი || კილ-ი უკავშირდება ქართულ კონ-ა ფუძეს. კგლ-ი ← კოლ-ი (ან კულ-ი) ← \*კონ-ი, შდრ. ქართ. კონ-ა.

ქან. ინკილ-ში ნ ფონეტიკური ჩანართია, ხოლო ი ნაპრეფიქსალი ელემენტი, შდრ! ქართ. ი-ღლია, ი-დაყვი და სხვ. ...

სენაკ. კილ ← კგლ ← \*კოლ; ხოფ. ინკილ ← ინკგლ ← \*ინკოლ.

დ. სენაკ. კინ-ი, ზუგდ.-სამ. კგნ-ი „ისივე, კვლავ“ (მეგრ. ლექს., გვ. 258).

ზუგდ.-სამ. კგნ ← კონ; სენაკ. კინ ← კგნ ← კონ.

ამოსავალი კონ-ი შემონახულია მეგრულში (მეგრ. ლექს., გვ. 258).

კინ- || კგნ || კონ-ისაგანაა ნაწარმოები კგნოხ || კინოხ || კონოხ „წინათ“ (მეგრ. ლექს., გვ. 258).

ე. ვიწ.-არქ. ჭკორ — დოჭკორუ, ათინ. შკორ — დოშკორუ; ხოფ. და სენაკ. ჭკირ — დოჭკირუ, ზუგდ.-სამ. ჭკგრ — დოჭკგრუ



(„დაქრა“), ქართ. ჰერ — დავერ. (ქან. ლექს., გვ. 226; ზეგრ. ლექს., გვ. 391; შედარ. ლექს., გვ. 417).

ამოსავალ სახედ ითვლება ზანურში ქკორ: ჰკირ ← ჰკორ<sup>109</sup>. ზუგდ.-სამ. ჰკგრ ← ჰკორ; ხოფ. და სენაკ. ჰკირ ← ჰკგრ ← ჰკორ.

ზან. ჰკორ-ის ქართულ კანონზომიერ შესატყვისად მიჩნეულია გურულ კილოში შემონახული ჰარ (შდრ. ზან. ცორ: ქართ. ცერ || ცარ „გაცრა“...). ამასთან ერთად არ ეგრ აღიარებულია აფიქსებად<sup>110</sup>. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ რიგის შემთხვევებში ამოსავლად უნდა გვექონოდა თავისებური ა ხმოვანი, რომელმაც მოგვცა ქართულის დიალექტებში ე (ჰერ) და ა (ჰარ) რეფლექსები<sup>111</sup>.

შესაძლებელია აქ ამოსავლად ე მივიჩნიოთ, რომელმაც ზანურში მოგვცა ო რეფლექსი, ხოლო ქართულის ზოგ კილოში ა.

ზანური. ჰკორ ნა-პრეფიქსით ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ ზიმლეობაში დასტურდება ჰკერ-ის სახით, მეგრ. ნო-ჰკერი-ი „ნაჰერი“, რაც ქართულის გავლენას შეიცლება მიეწეროს (ნა-ჰერი-ი).

გ. ვიწ.-არქ. და ათინ. კორ — ოკორუ, ხოფ. და სენაკ. კირ — ოკირუ, ზუგდ.-სამ. კგრ ← ოკგრუ („წეკრა“), ქართ. კარ — შეკარ (ქან. ლექს., გვ. 157; შედარ. ლექს., გვ. 295; მეგრ. ლექს., 258). ზუგდ.-სამ.: ... ყუდეს კგრუ ჩქენი ცხენი (ყიფშ., მ. ტ., 162, 19) „შინ (სახლში) არის დაბმული ჩვენი ცხენი“.

(ბოშიქ) გიმელუ, რაში ქქდჳკგრუ (ხუბ., მ. ტ., 233, 22) „(ვაფი) ჩამოხტა, რაში დააბა“.

არქაული სახე ამ ფუძეს დაცული აქვს ვიწურ-არქაულსა და ათინურ კილოკაეებში: კორ. ზუგდ.-სამ. კგრ ← კორ; სენაკ. და ხოფ. კირ ← კგრ ← კორ.

ქართული ა (კარ) აქ ზან. ო-ს კანონზომიერი შესატყვისია.

ზ. ვიწ.-არქ. და ათინ. კოდ — დოკოდუ, ხოფ. კიდ — დოკიდუ („ააგო“), სენაკ. კიდ — გოკიდუ, ზუგდ.-სამ. კჯდ — გოკჯდ („გა-

<sup>109</sup> H. M a p p, Грам. чашки. жж, გვ. 226; არ. E. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 417.

<sup>110</sup> არ. E. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 417.

<sup>111</sup> გ. შაქავაძე, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართუ. ენებში, თსუ. შრ., ტ. 69, გვ. 268.

ტიხრა“), ქართ. კედ — კედელ-ი (ჭან. ლექს., გვ. 156; შედარ. ლექს., გვ. 294).

ზანურში ეს ზმნა ნაწარმოებია სახელისაგან — ვიწ-არქ. და ათინ. კოდ-ა, ხოფ. კიდ-ა, სენაკ. კიდალა, ზუგდ.-სამ. კვდალა (კედელი), ქართ. კედ-ელ-ი (ჭან. ლექს., გვ. 156; შედარ. ლექს., გვ. 154; მეგრ. ლექს., გვ. 257).

ზუგდ.-სამ.: ართი უღდეს კვ და ლ ა ს მუკობუდუ ეკრი გალია (ყიფშ., მ. ტ., 172,18) „ერთ სახლში კედელზე ეკიდა ორი გალია“.

ზანურში არქაულ სახეობად ითვლება კოდ. კიდ ← კოდ. ამავე დროს ზანური -ოდ და ქართ. -ედ სხვადასხვა სუფიქსადაა ნაგარაუღევი<sup>112</sup>.

ზუგდ.-სამ. კვდ ← კოდ; ხოფ. და სენაკ. კიდ ← კვდ ← კოდ.

სვან. ქუედ („კედელი“) უნდა იყოს მიღებული კოდ-ისაგან, შდრ. სვან. გუეჭ ← გოჭ და სხვ. მეგრულში კიდ-ა || კვდ-ა-საგან უნდა იყოს მიღებული კ-ს გააფრიკატების გზით ქი და || ქქ და „გადატიხრული სალორეძი“.

თ. ჭან. წორ — დომწორუმთ („გავწურავთ“), სენაკ. წირ — წირუნს, ზუგდ.-სამ. წვრ — წვრუნც (წურავს), ქართ. წურ — წურავს (შედარ. ლექს., გვ. 402; მეგრ. ლექს., გვ. 379).

ზუგდ.-სამ. კვზით ზღვა გეწვრეს (ყიფშ., მ. ტ., 177,15) „კოვზით ზღვა ამოწურეს“.

ჭანურის მიხედვით მეგრულშიც უნდა ყოფილიყო წორ. ზუგდ.-სამ. წვრ ← წორ; სენაკ. წირ ← წვრ ← წორ.

ქართულ წურ (წურავს) ფუძეს უკავშირებენ ქართ. წრეტ-ს (დაწრიტა) ხმოვანმონაცვლე ზმნასთან<sup>113</sup>.

ქართული წრეტ ფუძის შესატყვისია ზანურში ჭან. წროდუნ („წვეთავს“), სენაკ. წირღუნ(ნ), ზუგდ.-სამ. წვრღუნ(ნ) „შეშრება“ (ჭან. ლექს., გვ. 222; მეგრ. ლექს., გვ. 379; შედარ. ლექს., გვ. 402).

ჭან. წორღ უნდა იყოს მიღებული \*წორ-ად-ისაგან, რომელიც გარდაუვალ ფორმაში დაირთავს -უ სუფიქსს და კარგავს ამის გამო -ად სუფიქსის ა ხმოვანს.

ჭან. წროდუნ ← \*წორ-ღ-უნ (მეტათეზისით) ← \*წორ-ად-უნ; ზუგდ.-სამ. წვრღუნ ← \*წორ-ღ-უნ ← \*წორ-ად-უნ.

<sup>112</sup> ა რ ნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 155.

<sup>113</sup> ვ. თ. ფ. უ რ ი ა, ფუძედარეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 232.

სენაკ. წირღ-უნ ← წგრ-ღ-უნ ← \*წორ-ღ-უნ ← \*წორ-ად-უნ.  
 ად სუფიქსი შემონახულია მეგრულში მიმღობისა და მას-  
 დარის ფორმებში: წირ-ად-ილ-ი || წგრ-ად-ილ-ი „დამშრალი“, წირ-  
 ად-უა || წგრ-ად-უა „დაშრობა“. წირ-ად || წგრ-ად ზმნა ზანურშიც  
 ხმოვანმონაცვლეა, -ად || -იდ, შდრ. გარდამავალი ზმნის ფორმა:  
 წირ-იდ-უნ-ს || წგრ-იდ-უნ-ც „აშრობს“.

ი. ვიწ.-არქ. ქორ — დოქორას (გაცივდეს), ხოფ. ქირ — დო  
 ქირუნ (გაცივდება), სენაკ. ქირ — გოქირუ „გაშრა (მოულოდნელი-  
 უსიამოვნო ამბის გამო)“, ქართ. ქერ — გააქერი (შედარ. ლექს.,  
 გვ. 338).

ქირ მეორეულადაა მიჩნეული, მიღებული ქორ-ისაგან<sup>114</sup>.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ამ ფუძეში  
 გვაქვს გ ხმოვანი: ქგრ — გონქგრუ „გაცივდა“, „გაშეშდა“. აქე-  
 დანაა მიმღობა გონქგრაფილი — „გაშეშებული“, „მკვდარი“.

ზუგდ.-სამ. ქგრ ← ქორ; ხოფ. და სენაკ. ქირ ← ქგრ ← ქორ<sup>115</sup>.

კ. ვიწ.-არქ. და ათინ. ქოტ — ოქოტუ; ხოფ. ქოტ — ოქოტუ,  
 სენაკ. ქიტ — გოქიტუა, ზუგდ.-სამ. ქგტ — გოქგტუა „ნებევეა“ (ქან.  
 ლექს., გვ. 198; შედარ. ლექს., გვ. 341; მეგრ. ლექს., გვ. 344).

ქიტ მიჩნეულია ქოტ-ისაგან მიღებულად<sup>116</sup>. ზუგდ.-სამ. ქგტ ←  
 ქოტ; ხოფ. და სენაკ. ქიტ ← ქგტ ← ქოტ.

ლ. ვიწ.-არქ. ტროხ — გოტროხუ, ხოფ. ტუხ — დოტუხუ, სე-  
 ნაკ. ტიოხ — გოტიოხუ, ზუგდ.-სამ. ტგრხ — გოტგრხუ „გატყდა“  
 (ქან. ლექს., გვ. 191; მეგრ. ლექს., გვ. 327; შედარ. ლექს., გვ. 322).

ზუგდ.-სამ: ეთიწკმა ლაგვანქ გოტჯრხე, გოტჯრხენი,  
 ინტე ჟირ კოჩიქ ართო (სუბ, მ. ტ., 261,1), „მაშინ ქვევრი გატყ-  
 და, როცა გატყდა, გაიქცა ორი კაცი ერთად“.

ეს ზმნა გარდაუვალია. გარდამავალია ზან. ტახ — გოტახუ  
 („გატეხა“), ქართული ტეხ — გატეხა ფუძის შესატყვისი (შედარ.  
 ლექს., გვ. 322).

არნ. ჩიქობავა ამოსავლად მიიჩნევს გარდამავალ ტახ-ს, ხოლო  
 გარდაუვალ ტო რ ხ || ტ რ უ ხ-ს — ნაწარმოებად. უ-ს თვლის ო-სა-  
 გან მიღებულად. არაფერია ნათქვამი გარდამავალი ტახ ზმნის

<sup>114</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 339.

<sup>115</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 338.

<sup>116</sup> იქვე, გვ. 344.

ა ხმოვნის (რომელიც ქართული ტეხ-ის ე-ს კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს) გარდაუვალი ტორხ ფუძის ო ხმოვანთან ურთიერთობის შესახებ. კითხვაა აქვე დასმული ტორხ ფუძეში თუ რა როლს ასრულებს რ ბგერა: უ-რავო ფორმაა (დოტუხუ) ამოსავალი, თუ რაეიანი?<sup>117</sup>.

გ. მაჭავარიანი ტახ ფუძის ა-სა და ტორხ ფუძის ო-ს ერთი და იმავე ამოსავალი ხმოვნის განსხვავებულ ვარიანტებად თვლის. რ ბგერას ტორხ || ტრუხ-ში ფონეტიკურად განვითარებულიად მიიჩნევს<sup>118</sup>.

ჩვენი აზრით, ზანურში ტახ ფუძის ა ხმოვანი და ტორხ || ტრუხ ფუძის ო || უ სულ სხვადასხვა ოდენობანია. გარდამავალი ტახ ერთსუფიქსიანი ფუძეა — ტახ, შდრ. ქართ. ტეხ, ხოლო გარდაუვალი ტორხ ორსუფიქსიანი უნდა იყოს: ტძირს აქ უნდა ჰქონდეს დართული -ორ სუფიქსი და შემდეგ -ახ სუფიქსი (იგივე, რაც გვაქვს ტახ-ში), ე. ი. ტორხ ← \*ტ-ორ-ახ-ისაგან.

ეს სუფიქსი (ზანური ახ) ქართულში სხვა შემთხვევაში ხმოვანმონაცვლეა: გრ-ეხ-ს: გრ-იხ-ა, წნ-ეხ-ს: წნ-იხ-ა (შდრ. მეგრ. ო-ქენ-ახ-უ: სა-წნ-ეხ-ელ-ი).

მეგრულში, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო გარდამავალი ზმნის ფუძე \*ტ-ორ-ახ. გარდაუვალი ზმნის -უ სუფიქსის დართვით ა ხმოვანი ჩანს ამოვარდნილი — \*ტორ-ახ-უნ → ტორ-ხ-უნ „ტყდება“. ივარაუდებთ, რომ მეგრულში უნდა გვქონოდა როგორც ერთსუფიქსიანი ტახ, ისე ორსუფიქსიანი \*ტ-ორ-ახ გარდამავალი ზმნა. \*ტ-ორ-ახ ვარიანტი ამ სახით არ ჩანს არც მეგრულსა და არც ქანურში, მაგრამ ვფიქრობთ, „ტ-ორ-ახ-ისაგან უნდა იყოს მიღებული მეგრულში გარდამავალი ზმნა ტოხ — ტოხ-უნ-ს (← \*ტორ-ახ-უნ-ს) „სატეხით ამოტეხს“, მეგრ. გეშატოხუ „ამოტეხა“.

ქართულში -ეხ სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, სხვა შემთხვევაში ხმოვანმონაცვლეა: გრ-ეხ-ს: გრ-იხ-ა... ტეხ-ში კი ე ხმოვანი არ იცვლება. საამისო პირობა მას არც აქვს. ქართულში სუფიქსი ჩვეულებრივ ხმოვანმონაცვლეა მაშინ, როცა ზმნის ძირისეულ მასალაში ერთზე მეტი თანხმოვანი იგულისხმება დრ-ეკ-ს:

<sup>117</sup> არნ. ჩიქობავა, შდარ. ლექს., გვ. 323.

<sup>118</sup> გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ, შრ. 69, გვ. 272; მისივე „უნიშნო ენებითი“ ქართველურ ენებში, ქესს, გვ. 111.

დრ-იკ-ა, სვრ ეტ-ს : ხვრ-იტ-ა, გრ-ეხ-ს : გრ-იხ-ა, ჩხელ-ეტ-ს : ჩხელ-იტ-ა და სხვა... ყველა ასეთ შემთხვევებში რომელიღაც ფუძისეული ხმოვანია ამოვარდნილი. სხვანაირად ასეთი ზნნები ორს ფიქსიანები ა.

ამ მხრივ გამოირჩევიან -ელ, -ერ და -ევ სუჟიქსიანი ზნნები, რომლებიც მაშინაც იცვლიან ხმოვან ელენენტს, როცა ძირი ერთი თანხმოვნითაა წარმოდგენილი: და-ლ-ევ-ს : და-ლ-იე-ა, ზ-ელ-ს : ზ-ილ-ა. ი-ჰიერ-ს : და--ი-ჰ-ირ-ა და სხვ...

ტორხ || ტრუხ ფუძეში ჰანურის კილოკავებში ო || უ ხმოვნებს არ განუცდიათ ცვლილება. მეგრულის კილოკავებში ო → გ → ი. ზუგდ.-სამ. ტვრხ-ჯ-ნ ← ტორხ-უ-ნ „ტყდება“; სენაკ. ტორხ-უ-ნ ← ტვრხ-უ-ნ ← ტორხ-უ-ნ...

ნო-პრეფიქსით ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ მიმღეობაში მეგრულში მოსალოდნელი \*ნო-ტახ-ის ნაცვლად გვაქვს ნო-ტეხ-ი („ნატეხი“), რაც ქართულ ნატეხ-თან კონტამინაციით შეიძლება იყოს მიღებული.

ლ. სენაკ. შქირატ — შქირატილი „ჩამქრალი“, შქირიტუნს „აქრობს“, შქირტუ(ნ) „ქრება“, ზუგდ.-სამ. შქვრატ — შქვრატილი „ჩამქრალი“, შქვრიტუნც „აქრობს“, შქვრტუ(ნ) „აქრება“ (მეგრ. ლექს., გვ. 360), ძვ. ქართ. შრეტ — შრეტს<sup>119</sup>.

მეგრულის კილოკავების მონაცემების მიხედვით ამ ფუძის (სენაკ. შქირატ, ზუგდ.-სამ. შქვრატ) ამოსავალი უნდა იყოს შქორატ (ანდა შქურატ). ზუგდ.-სამ. შქვრატ ← \*შქორატ; სენაკ. შქირ-ატ ← შქვრ-ატ ← \*შქორ-ატ.

ჰანურში ეს ფუძე არ დასტურდება. მოსალოდნელი იყო ჰანურის დასავლურ კილოკავებში თითქოს \*შქორატ-ის არსებობა.

როგორც ცნობილია, მეგრ. შქირატ || შქვრატ და ქართ. შრეტ ხმოვანმონაცვლე ზნნაა. მეგრ. შქირ-ატ-ილ-ი : შქირ-იტ-ელ-ი, ქართ. შრ-ეტ-ს : შრ-იტ-ა. ქართ. შრ-ეტ, ზნან. შქირ-ატ ზნნის ფუძეს შრ : შქირ უკავშირებენ ქართ. შრ-ებ-ა, ზან. სქირ-უ-ნ ზნნის ფუძეს<sup>120</sup>. სემანტიკურ დაბრკოლებას აქ მართლაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რამდენადაც ჰანურში სქურ უნ ზნნას გაქრობის მნიშვნე-

<sup>119</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ფუძედრეკად ზნნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 232.

<sup>120</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., შესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქ. სსრ აკად. მოამბე, III, № 9, გვ. 963; თ. გ. ა. მ. ყ. ლ. ი. ძ. ვ. სიბილანტთა შესატ-ყვისობანი..., გვ. 65.

ლობაც აქვს (შედარ. ლექს., გვ. 360). მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც გვგონია, რომ აქ სხვადასხვა ფუძესთან უნდა გვქონდეს საკმე.

ქართ. შრეტ ითვლება \*შერ-ეტ-ისაგან მიღებულად<sup>121</sup>. ეს ფუძეც თითქოს ორსუფიქსიანი ქართ. შ-ერ-ეტ : მეგრ. \*შქ-ორ-ატ. აქაც თითქოს ქართ. ე-ს შესატყვისად უნდა გვქონდეს ზანურში ო.

მ. ვიწ.-არქ. (ნ)ცორ — დონცორუ („გაცრა“), ხოფ. ცირ — დინციორუ („გაიცრა“), სენაკ. ცირ — დოციორუ, („გაცრა“), ქართ. ცერ || ცარ, გავცერი || გავცარი (ჭან. ლექს., გვ. 214; შედარ. ლექს., გვ. 384).

ზუგდიდურ-სამურზაყანულში ამ ფუძეში ი ხმოვნის ნაცვლად გვაქვს გ — ცგრუა „გაცრა“.

ზანურში ცირ-ისათვის ამოსავლად მიჩნეულია ცორ<sup>122</sup>. ზუგდ.-სამ. ცგრ ← ცორ; ხოფ. და სენაკ. ცირ ← ცგრ ← ცორ.

აქაც ისევე, როგორც სხვაგან, ზანურში ო-ს — ცორ ამოსავალია ე — ცერ.

ნ. ათინ- და ვიწ.-არქ. თორ — თორუმს („ზიდავს“), ხოფ. და სენაკ. თირ — თირუა, ზუგდ.-სამ. თგრ — (ნ)თგრუა („ზიდავს“), ქართ. თერ — გაეთერ (ჭან. ლექს., გვ. 147; შედარ. ლექს., 281; მეგრ. ლექს., 243).

მა ანწი სო მან თგრე ჩქიმი ხუგაგი დუდი (ყიფშ., მ. ტ., 56,6) „მე ამიერიდან საღ შემიძლია ვათრიო ჩემი ბებრუხუნა თავი“.

ზანურში არქაულია თორ. თირ ← თორ.<sup>123</sup> ზუგდ.-სამ. თგრ ← თორ; სენაკ. და ხოფ. თირ ← თგრ ← თორ.

ო. ვიწ.-არქ. და ათინ. შქორ — ბქორომ („მზია“), ხოფ. შქირ — შქირონს („მზია“), სენაკ. შქირ — შქირენს, ზუგდ.-სამ. შქერ — შქერენც („მზია“), ქართ. (მშ — მშ-ი-ა (ჭან. ლექს., გვ. 206; შედარ. ლექს., გვ. 368; მეგრ. ლექს., გვ. 360).

ზუგდ.-სამ. : იღვ, იღვ დო დაბოლოსე ქქმა შქერენე (ყიფშ., მ. ტ. 70,7) „იარა, იარა და ბოლოს მომივდა“.

გაჭირება რე ჩქენი — შქერენა (ხუბ., მ. ტ., 18, 11) „ჩვენი გაჭირებდა — შიმშილი“.

<sup>121</sup> თ. გამყრელიძე, სიბილანტოა შესატყვისობანი, გვ. 55.

<sup>122</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 384.

<sup>123</sup> იქვე, გვ. 281.

ზანურში ამოსავალია შქორ. ქართულს სათანადო (-ორ || ირ) ელემენტი არ ახლავს<sup>124</sup>.

ზუგდ.-სამ. შქგრ ← შქორ; ხოფ. და სენაკ. შქირ ← შქგრ ← შქორ.

ბ. ვიწ.-არქ. ლობ — დობოლობინამთ („დავალბობთ“), ხოფ. ლობ — დოლიბინუ („დაალბო“), სენაკ. ლობ — დაალიბარუ („დაალბო“), სენაკ. ლობ — დაალიბარუ („დაალბო“), ქართ. ლბ — დაალბო (შედარ. ლექს., გვ. 302).

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეშია ლგბ — ლგბუ „რბილი“ (მეგრ. ლექს., გვ. 273).

ზანურში ამოსავალია ვიწუ:რ-არქაბული ლობ<sup>125</sup>. სენაკ. და და ხოფ. ლობ ← ლგბ ← ლობ.

ზანურისათვის ამოსავალი ლობ-ის მიხედვით ქართ. ლბ-ფუძიდან ამოვარდნილად ითვლება ა ხმოვანი: ლბ ← \*ლაბ.<sup>126</sup> შესაძლებელია აქ ე ხმოვნის რედუქციასთან გვეკონდეს საქმე: ლბ ← \*ლგბ, რამდენადაც მეტ შემთხვევაში ზანურის კილოკაეებში ქართული ე-ს შესატყვისი თ ხმოვანი გადადის გ-ში.

რ. ჭან. ოჭინახუ, სენაკ. ოჭინახუ, ზუგდ.-სამ. ოჭგნახუ („საწნახელი“), ქართ. საწნახელ-ი (ჭან. ლექს., გვ. 225; მეგრ. ლექს., გვ. 389).

ზან. ო-ჭინახ-უ, ქართ. სა-წნახ-ელ-ი ნაზმნარი სახელებია: ზან. ო-ჭინახ-უ — ზმნისაგან ჭინახ, რაც შემონახული აქვს ქანურს. ჭან. ჭინახ — ო-ჭინახ-უ *чжнхатн, джнхатн* (ჭან. ლექს., გვ. 225), ქართ. საწნახელ-ი ← ზმნისაგან წნეხ-ს. ქართ. წნეხ: ზან. ჭინახ.

მეგრ. ო-ჭინახ-უ-ს ზუგდიდურ-სამურზაყანული ო-ჭგნახ-უ ვარიანტის არსებობა გვაგარაულებინებს, რომ ზანურისათვის ამოსავალი იყო \*ჭონ-ახ, ქართული წნეხ-ის შესატყვისი.

ზუგდ.-სამ. ო-ჭგნახ-უ ← \*ო-ჭონ-ახ-უ, ჭან. და სენაკ. ო-ჭინახ-უ ← ო-ჭგნახ-უ ← \*ო-ჭონახ-უ.

ზანურში \*ჭონახ-ის მიხედვით ქართული წნეხ შეიძლება მომდინარეობდეს \*წენ-ეხ-ისაგან.

ქართ. \*წენეხ: ზან. \*ჭონახ ორსუფიქსიანი ფუძეებია: ქართ. \*წენეხ ← \*წენ-ეხ, ზან. \*ჭონახ ← \*ჭ-ონ-ახ, სადაც -ენ || -ან

<sup>124</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 368.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 303.

<sup>126</sup> იქვე.

— დეტერმინანტი - სუფიქსებია, ხოლო ეხ || ახ ხმოვანმონაცვლე ზნურის სუფიქსი: ქართ. წნ-ეხ: წნ-იხ-ა. მეგრულში \*ქ-ონ-ახ-ის პარალელურად იხმარება "ეგევე ზმნა ოდენ ახ სუფიქსით ჭახ -- ქურზენს ჭახ უნს „ყურძენს წნეხს“, შდრ. ანალოგიური შემთხვევები: მეგრ. ტ-ახ (ტახუნს „ტეხს“): \*ტ-ორ-ახ → ტორ-ხ-უნ („ტყდებ“) და სხვ... ქართ. საწნახელ-ი მიღებულია საწნეხელ-ისაგან. საბა ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია ეს ამოსავალი ფორმა — საწნეხელი.

§ 31. რამდენიმედ განსხვავებული ჩანს ზანურის კილოკავებში ნუსა || ნოსა („რძალი“) სახელის უ || თ-ს რეფლექსები. ეს ფუძე შემდეგი ვარიანტებითაა ზანურის კილოკავებში წარმოდგენილი:

ვიწ.-არქ. და ათინ. ნუსა, ხოფ. და სენაკ. ნოსა, ზუგდ.-სამ. ნოსა (ჭან. ლექს., გვ. 174; მეგრ. ლექს., გვ. 289; შედარ. ლექს., გვ. 39).

ეს სიტყვა ნუსადიას სახით შეტანილი აქვს საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში: ნუსადია — ბიძას-ცოლა. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა ქვემოიმერულშიც.

ქართულის აღმოსავლურ კილოებში ეს სიტყვა არაა დადასტურებული. იგი არც ძველ ქართულში უნდა გვხვდებოდეს.

ივ. ჯავახიშვილს ნოსა || ნისა ქართველური წარმოშობის სიტყვად აქვს გაგებული და თავიკიდურ ნ ბგერას ნაათქისალ ელქ-მენტად მიიჩნევს<sup>127</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ნოსა || ნისა მრავლობითის ფორმაში რიგი ზანური ბოლოზმონიანი სახელის მსგავსად დაირთავს -ეფ-ის წინ ლ თანხზოვანს, მეგრ. ნოსა-ლ-ეფ-ი, ჭან. ნუსა-ლ-ეფ-ე „რძლები“, იგი მაინც, როგორც ვარაუდობენ, სხვა ენიდან შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს<sup>128</sup>. ეს შეთვისებული სიტყვა, როგორც ცნობილია, იხმარება რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში — ხუნძ. ნუს, ადიღ. ნუსა „რძალი“ და სხვ.

ყურადღებას იქცევს ჭანურის კილოკავებში ნ. მარის მიერ დადასტურებული ნუსა || ნისა-ს პარალელურად ნუსაღა || ნი-

<sup>127</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 183.

<sup>128</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 39; თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი, გვ. 60.



ს ა ლ ა || ნ ი ს ა ყ ა || ნ უ ს ა ვ ა „უროთიერთ, ერთმანეთის რძლები“ (ჭან. ლექს., გვ. 174). გასარკვევია, თუ რა წარმოშობისაა ლ ა || ყ ა || ვ ა ელემენტები. ყაბარდოულ ენაში ნესპ-ლი აღნიშნავს „ერთმანეთის რძალს“<sup>120</sup>, სადაც ლი ← ლიპ თ ა ნ ა-ს მნიშვნელობით იხმარება სხვა სახელებშიც. ჭან. -ლ ა || -ვ ა, აღიღ. -ლიპ? უ უ რ ო საინტერესო ჩანს ხოფურ ვარიანტში ყ ა-ს ა და ამავე მნიშვნელობის მეგრულ ჭ ა-ს შორის მიმართება. მეგრულში ს ი ნ დ ა-ყ ა აღნიშნავს ქვისლს. ი. ყიფშიძის აზრით, სინდა-ყალეფი სიტყვა-სიტყვით იქნება „სი-ძეები - პტოები“ (მეგრ. ლექს. გვ. 318), რაც არ გვეჩვენება სარ-წმუნოდ.

ხოფურში ნუსა → ნესა → ნისა; სენაკურში ნოსა → ნესა → ნისა. რაც შეეხება ზუგდიდურ-სამურზაყანულს, აქ ნ ო ს ა ფუძის ო შემონახული ჩანს.

ზუგდ.- სამ.: ბელთაგანიში ოსურქე ქიმიანად მუში ნ ო ს ა ს გ (ყიფშ., მ. ტ., 104, 14) „ბელთაგანის ცოლი მიეგება თავის რძალს“.

იმერული ნუსადი ზანიზში უნდა იყოს. მეგრულში ეს სიტყვა იხმარება ნოსადის სახით, იმავე იმერული ნუსადის მნიშვნელობით. ივ. ჯავახიშვილი ნ უ ს ა დ ი ა სახელის შესახებ წერს: „ეს სიტყვა, ვგონებ, ორი სიტყვისაგან უნდა იყოს შემდგარი: პირველს ნუსა შეადგენს, მეორეს დია, რომელიც დიასახლის-ში, დიოფალ-სა დიაკეულ-შიც არის დაცული და დედას, ანუ მღერობითი სქესისას, დედალს ნიშნავს. ნუსადია-ს განსხვავება მხოლოდ აგებულების მხრივ ეტყობა, რათგან აქ დია-ს მეორე ადგილი უკავია, დიასახლისსა, დიოფალ-სა და დიაკეულ-ში კი პირველი“<sup>120</sup>.

ვფიქრობთ, ნ უ ს ა დ ი ა || მეგრ. ნ ო ს ა დ ი ფუძის მეო:ოე კომპონენტი უნდა იყოს დიდ ზედსართავ სახელის შექვეცილი ვარიანტი: ნ ო ს ა-დ ი, ე. ი. ოწალი დიდი, შდრ. მეგრ. ჯ ი მ ა-დ ი „ბიძა“, სიტყვა-სიტყვით: იმა-დიდი...

§ 32. დასტურდება ზანურის კილოკავებში სხვა შემთხვევებიც ო-ს გადასვლისა გ-ში. მაგრამ მაინც ეს პროცესი შედარებით შეზღუდული ჩანს, ვინემ უ ხმოვნის გ-ში გადასვლის პროცესი.

<sup>120</sup> Кабардиноско-русский словарь, 1957, გვ. 282.

<sup>120</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ო, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 183.

აქ ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: პროცესი  $\alpha \rightarrow \zeta$  ძირითადად ზმნის ფუძეებში დასტურდება. თითო-ორიოლა შემთხვევაში ეს პროცესი სახელის ფუძეებშიც შეგვხვდა (ქორზა  $\rightarrow$  კჯრზა  $\rightarrow$  კირზა...).

იჩვენება აგრეთვე, რომ განხილულ ფუძეებში, მეტ შემთხვევაში ზანურისათვის ამოსავალ  $\alpha$  ხმოვანს ქართულში შეესატყვივება არა ა ხმოვანი, არამედ ე :

ზან. ქჷრ: ქართ. ქერ („დაქრა“), ზან. ქორ: ქართ. ქერ („გაქრა“), ზან. კოდ: ქართ. კედ („კედელი“), ზან. ცორ: ქართ. ცერ („გაცრა“), ზან. თორ („ზიდვა“): ქართ. თერ („გაეთერ“) და სხვ...

§ 33. ლაბიალურ კომპლექსებთან უ-ს შემონახვის შემთხვევები ზანურის კილოკავებში სახელისა და ზმნის ფუძეებში:

ა. ჰან. გურ-ი, მეგრ. გურ-ი („გული“), ქართ. გულ-ი, სვან. გუი „გული“ (ჰან. ლექს., გვ. 137; შედარ. ლექს., გვ. 65; მეგრ. ლექს., გვ. 220).

ზანურის ყველა კილოკავში, მათ შორის ზუგდიდურ-სამურ-ზაყანულშიც, გურ ფუძეში უ უცვლელი რჩება.

ზუგდ.-სამ.: ცირაქე გური ქუუჩე, მარა გარძახე ოქოფუ ფინია დო ლაყაფი დუუჰყე (ყიფშ., მ. ტ., 66,7) „ქალიშვილი მიხვდა, მაგრამ განზრახ დაიქირა ფინია და დაუწყო თამაში“.

მეგრულ კილოსა და ჰანურის ხოფურ კილოკავში გურ ფუძეში უ ხმოვანი თითქოს უნდა გადასულიყო  $\zeta$  || ი-ში, რამდენადაც  $\zeta$  არ წარმოადგენს ლაბიალურ თანხმოვანს (შდრ. ზუგდ.-სამ. გგრზნ-ი  $\leftarrow$  გურუნ-ი...). მაგრამ, როგორც ჩანს, უ ამ ფუძეში ყველა კილოკავში შემონახულია. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ფუძეში ისტორიულად  $\zeta$ -ს ახლდა ლაბიალური  $\zeta$  (ჟ) ბგერა. ე. ი. ეს ძირისეული თანხმოვანი წარმოადგენდა გვ ლაბიალიზებულ კომპლექსს. ამ გვ ძირს დაერთო დეტერმინანტი-სუფიქსი ურ  $\leftarrow$  ულ. გურ  $\leftarrow$  \*გურ  $\leftarrow$  \*გვულ, ასევე ქართული გულ-ი  $\leftarrow$  \*გვ-ულ-ი. შესაძლებელია ასეთ შემთხვევებში, როგორც ზანურში, ისე ქართულშიც დეტერმინანტი იყო წარმოდგენილი არა ურ  $\leftarrow$  || -ულ-ის სახით, არამედ ირ  $\leftarrow$  || ილ-ის სახით, დეტერმინანტისეული  $\circ$  ხმოვანი  $\zeta$ -სთან შერწყმით იქცა უ-დ (შდრ. კუთხ. წუმ-ს  $\leftarrow$  წვამ-ს), ე. ი. შესაძლებელია ქართ. გულ იყოფს მიღებული \*გვ-ილ-ისაგან, ასევე ზან. გურ  $\leftarrow$  \*გვ-ირ  $\leftarrow$  \*გვ-ილ.

სვან. გუ || გვი-ს შეიძლება დეტერმინანტისეული თანამოვანი ჰქონდეს მოკვეცილი: გვი ← \*გვინ, ანდა \*გვილ.

სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემთა მიხედვითაც დასტურდება, რომ ეს საერთო წარმოშობის ძირეული მასალა წარმოადგენს ლაბიალურ კომპლექსს, შდრ. აფხ. ა-გიჟ, ადიღ. გოჟ „გული“ და სხვ. ... ამავე საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირისეულ მასალაში სხვა მიზეზის გამო ლაბიალური ვ-ს გაუჩინარების შემთხვევები ცნობილია ხუნძურ-ანდიურ ენებში<sup>131</sup>.

ბ. მეგრ. შურ-ი („სული“, „სუნი), ქან. შურ — შურათს („სუნავს“), ქართ. სულ-ი || სუნ-ი (ქან. ლექს., გვ. 207; მეგრ. ლექს., გვ. 358; შედარ. ლექს., გვ. 366).

ზუგდ.-სამ.: ქოჩორაქ ართი ქიდიისოფეუ დო ქყორიცალო შური გოტუუ (ყიფშ., მ. ტ., 102,33) „ქოჩორამ ერთი გაიწვამოიწია და მწყერივით სული განუტევა“.

ზან. შურ მიღებულია \*შვ-ურ ← შვ-ულ, ანდა შვ-ირ ← შვილ-ისაგან, ასევე ქართ. სულ ← \*სვულ, ანდა სვ-ილ || სუნ ← \*სვუნ, ანდა \*სვინ.

ეგვივე ძირი სვ ქართველურ ენებში გვხვდება ზმნის ფუძეებშიც: ქართ. სვენ — ისვენებს, ძვ. ქართ. სუნენ (განისუნენე, ჰამე, სუ და იხარებდ. ოთხ., ლ. 12, 19); ზან. შვაჯ || შვანდ || სვანჯ || სვანდ — ქან. ქაშუიშვანჯეს, მეგრ. ქომიშვანჯეს || ქომიშვანდეს „დაისვენეს“ (შედარ. ლექს., გვ. 361).

მეგრ. მო-სვანჯ-ა ← მო-შვანჯ-ა რეგრესიული დისიმილაციის საფუძველზე.

ქართ. სულ || სუნ, ზან. შურ ფუძის სვანური ვარიანტია ქუნ || ქვინ „სული“, „სუნი“<sup>132</sup>.

სვან. ქვინ ითვლება ქუნ-ისაგან მიღებულად უ-ს გაუმლაუტების გზით. არაა შეუძლებელი, რომ ამოსავალი ქუნ იყოს მიღებული ქვინ-ისაგან.

გ. ქან. კუჩხე, მეგრ. კუჩხ-ი „ფეხი“ (ქან. ლექს., გვ. 160; მეგრ. ლექს., გვ. 263; შედარ. ლექს., გვ. 62).

<sup>131</sup> Т. Г у д а в а, К изменению лабиализованных согласных в азербском и андийских языках, იყვ. VIII, გვ. 217.

<sup>132</sup> Н. М а р р, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, ტ. I, გვ. 54.

ზუგდ.-სამ.: გეეკოფუ თე ბოშიქე ნდემი, ართი კუჩხიში გე-  
რინელო, დო ქედააშქუ (ყიფშ., მ. ტ. 60,35) „აიყვანა ამ ბიჭმა  
მდევი ერთ ფეხზე მდგომარედ და დასცა“.

ალიქერქუს აფუღუ ითოეირი ჯიმა ნდემი ნაყვილა, თი-  
შენირე კუჩხი კვათესუნი (ხუბ., მ. ტ., 294,1) „ალიქერქუს ჰყავ-  
და თორმეტი ძმა დევი მოკლული და ამიტომაა, რომ (მას) ფეხი  
მოსჭერს“.

ზან. კუჩხ ფუძეს ნ. მარი სამართლიანად მიიჩნევს ძვ. ქართ.  
კუარცხლ ფუძის (კომპოზიტი — კუარცხლ-ბეკი) ზანურ ვა-  
რიანტად. არნ. ჩიქობავა ამ ფუძეს უკავშირებს ქართ. მკვარცხლ-ს<sup>133</sup>.  
მკვარცხლ — ფრჯივ ნაველი (საბა). ძვ. ქართ. კუარცხლ ფუძის  
მიხედვით ზან. კუჩხ მიღებული ჩანს \*კვოჩხ-ისაგან: \*კვოჩხ →  
\*კვეჩხ → კუჩხ.

სვანურში ეს ფუძე გვხვდება ჭიშხ-ისა და ჭეშხ-ის სახით.  
ჭიშხი გიშას მად გვიგენა (სვ. პ., 40,25) „ფეხი მიწაზე არ  
დაგვიდგამს“.

ჭეშხპრხჷნ ლალ მად ვლქუთჷნ (სვ. პ., 56,3) „ფეხებში  
არ დაიძრა“.

არაა ნათელი, თუ რა უნდა ყოფილიყო ზ/ი ხმოვნებისათვის  
ამოსავალი ხმოვანი ამ ფუძეში სვანურში. თუ ამოსავალში უ-ს  
ვივარაუდებთ, მაშინ ჭიშხ შეიძლება ჩავთვალოთ ზანურიდან შეთვი-  
სებულად.

დ. მეგრ. ცუნჯ-ი || ცუნდ-ი „ცვარი“ (მეგრ. ლექს., გვ. 371),  
ქართ. ცვარ-ი.

ცუნდ-ი ← ცუნჯ-ი<sup>134</sup>. ნ ამ ფუძეში ფონეტიკური ჩანართია:  
ცუნჯ ← ცუჯ. ქართ. ცვარ-ის მიხედვით მეგრ. ცუჯ ← \*ცვოჯ,  
მაშასადამე, ცუჯ ფუძის ც-სთან გაუჩინარებულა ვ. ძველ ქარ-  
თულში ცვარ-ი იწერებოდა უმარცვლო უ ნით — ცუარ-ი:

უკუეთუ არა გონიერად ვიდრე-მე და უხილავად ბუნებად შეფ-  
პრაცხოთ ცუარიცა, და თრთული, და ყინელი (ექუსთა დღეთა  
39,5).

ე. ჭან. კომა, მეგრ. კუმა „კვალი“ (ჭან. ლექს., გვ. 157;  
მეგრ. ლექს., გვ. 262; შედარ. ლექს., გვ. 161).

<sup>133</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 62

<sup>134</sup> გ. როგავა, დისიმილაციური დეზაფრ. ერთი სახეობა ზანურში,  
ოსუ შრ. XXX ხ, გვ. 353.

მეგრულში კუმა-ს კომლის მნიშვნელობაც აქვს, შდრ. ქართ. კომლ-ი იმავე კვამლის ფონეტიკური ვარიანტი.

ქან. კომ-ა ← კვომ-ა, მეგრ. კუმ-ა ← \*კვუმ-ა ← \*კვომა, შდრ. ქართ. კვამლ-ი, ძვ. ქართ. კუამლი.

გ. ქან. (მ)ჩხურ-ი || (მ)შქურ-ი || ჩხურ-ი, მეგრ. შხურ-ი („ცხვარი“), ქართ. ცხვარი. (ქან. ლექს., გვ. 213; მეგრ. ლექს., გვ. 361; შედარ. ლექს., გვ. 80).

• მეგრ. შხურ ← ჩხურ, შდრ. ქართ. ცხვარ-ი. ძველ ქართულში ცხვარ ფუძე გვხვდება ცხოვარ-ის სახით. ცხოვარ-ის პარალელურად ძირითადად ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულში იხმარებოდა საცხოვარ-ი. ცხოვარ და ცხოველ ერთი და იმავე ფუძისაგანაა ნაწარმოები -არ და -ელ დეტერმინანტებით<sup>125</sup>.

ქართ. ცხოვარ, ზან. ჩხურ-ის ერთ-ერთ ზანურ ვარიანტად არის მიჩნეული მეგრ. ჩხოუ || ჩხუუ „ძროხა“.

მეგრ. ჩხოუ-ს მიხედვით ქართ. ცხოვარ ფუძის -ოვ სუფიქსი ზანურშიც უნდა ყოფილიყო. ჩხურ ← \*ჩხოვ-ურ, ე. ი. ჩხურ ფუძის უ მიღებულია -ურ სუფიქსის უ-სთან ოვ-ის შერწყმით. ამის გამო ჩხურ ფუძის უ უცვლელია ზანურის ყველა კილოკავში, მათ შორის ზუგდიდურ-სამურხაყანულშიც.

მეგრულ ჩხოუ-ში ბოლოკიდური -უ უნდა იყოს მიღებული -ულ-ისაგან. ე. ი. ჩხო-უ ← \*ჩხოვ-ულ, შდრ. ქართ. ცხოველ-ი. \*ჩხოვ ულ-ის ლ აღდგება მრავლობითის ფორმაში — ჩხო-ულ-ეფ-ი.

ზანურ ჩხურ ფუძეში რომ მართლაც ოვ სუფიქსიც უნდა ყოფილიყო (\*ჩხოვ-ურ), ამას მეგრული ჩხოუ-ს გარდა ამტკიცებს ამავე ფუძის ზანური ვარიანტიც, მეგრული ჩხონაფა („ცხონება“).

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, აცხოვნებს ზნა იხმარებოდა აცოცლებს, აცხოვრებს ზნის მნიშვნელობით. ძველს ქართულშივე აცხოვნებს ფორმის პარალელურად იხმარებოდა აცხოვნებს.

ვითარცა-იგი მამა აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ვგრეცა ძმ, რომელთაჲ ჰნებაეს, აცხოვნებს (ოთხ., ი. 5, 21).

მეგრული ჩხონაფა-საც იგივე გაცოცხლებიის, ცხოვრების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავიდანვე. ჩხონაფა მიღებულია \*ჩხოვ-ნ-აფა-საგან. ოვ სუფიქსი აქაც ქართული ჩანს.

<sup>125</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება, გვ. 163.

<sup>126</sup> არნ. ჩიქობავა, იქვე.

ზ. ჰან. კურთა, მეგრ. კურთა „ნიფხავი“, ძვ. ქართ. კუართი (ჰან. ლექს., გვ. 159; მეგრ. ლექს., გვ. 263; შედარ. ლექს., გვ. 178).

ქართ. კუართი საბას განმარტებით არის „ჯუბა, გინა პერანგი“, ძვ. ქართულის კუართ-ის მიხედვით ზან. კურთა მიღებულია \*კვორთა-საგან<sup>137</sup>: \*კვორთა → \*კეურთა → კურთა. მაშასადამე, ზან. კურთა-ში უ ხმოვნის წინამავალი კ ← კვ.

თ. მეგრ. უკული „შემდეგ“

ზუგდ.-სამ.: ზა დიორდე ვა ბრძღეკია ლაყაფიში ჯინათია ღო უკული გახოლუჟქია (ყიფშ., მ. ტ., 65, 27) „მე ჯერ არ ვარ გამძღარი ამაშის ყურებით და შემდეგ გეახლებია“.

თიშ უკული დიდაქ უწუ... (ხუბ. მ. ტ., 25, 7) „იშის შემდეგ დედამ უთხრა“.

მეგრ. უკულ-ი იგივეა, რაც ძვ. ქართ. უკუანა, რასაც უკავშირებენ ქართულ კვალ, ძვ. ქართ. კუალ ფუძეს (ნ. მარი, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა). უკუანა-ს თავკიდურ უ-ს ნ. მარი წიჩნევს ნაცვალსახელურ ელემენტად<sup>138</sup>.

მეგრ. უკულ ← \*უ-კვალ, შდრ. ძვ. ქართ. უ-კუანა. ამის გამო ამ ფუძეში მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში უ ინლაჟტშიც არ გადადის გ-ში.

არნ. ჩიქობავა დასახელებულ საერთო-ქართველურ კუ (კუალ) ფუძეს უკავშირებს ძვ. ქართ. კუართ (მეგრ. კურთა) და მეგრ. კუარტ „წიხლი“ ფუძის კვ-ს<sup>139</sup>. მეგრ. კვარტ-ი იგივეა, რაც ქართ. კვანტ-ი.

ე. ი. ყიფშიძის ლექსიკონში მეგრ. ნუ ზუ-ს პარალელურად შეტანილია ნუძუ. ძველ ქართულში ნაძვ-ის ბოლოკიდური ასო უ (ნაძუ) უმარცვლოა: ძვ. ქართ. ნაძუ, ნაძვ, ნაძუ-სა...

ნაძვ-ი მიჩნეულია ირანულიდან წეთვისებულად<sup>140</sup>. მეგრ. ნუ-ზუ || ნუძუ-ს უ როგორც აუსლაჟტში, ისე ინლაჟტში უცვლელი რჩება. შესაძლებელია: ეს აიხსნებოდეს ინით, რომ ეს სიტყვა ქართულის გზით წევიდა მეგრულში უკვე ლაბიალიზებული ძვ კომპლექსით.

<sup>137</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 178.

<sup>138</sup> Н. М а р р, Грам. древнелит. груз. яз., გვ. 111—113.

<sup>139</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 24.

<sup>140</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იკმ, ტ. I, გვ. 389.

ინლაუტის უ წესადღებელია იყოს მიღებული რამელიმე უფრო ფართო ხმოვნისაგან ბოლოკიდურ უ-სთან ასიმილაციით.

კ. ქან. მ-ტკა || მ-ტუ, მეგრ. ტკუ || ტკუუ || ტკოუ („მტკაველი“); ქართ. მ-ტკაველ-ი (ქან. ლექს., გვ. 190; შედარ. ლექს., გვ. 75; მეგრ. ლექს., გვ. 329).

ზუგდ.-სამ.: ტკუ დო ალაბით ვე ეზღე ჯაში წვანც ეში განი (ყიფშ., მ. ტ., 161,30) „მტკაველითა და არშინით ვერ გაიზომება ხის წვერზე ამისი განი“.

ქართული (მ-ტკაველ-ის ტკ-ავ ფუძის ფარდია ზანურში ტკოვ. ქართ. ავ სუჟიქსის მორფოლოგიური შესატყვისია ზანურში ოვ. ზან. \*ტკოვ-ულ → ტკოუ. ტკუ ← ტკუუ ← ტკო-უ ← \*ტკოვ-ულ.

ამის გამო ზანურის კილოებში უ უცვლელი რჩება.

ლ. მეგრ. ხუ „ტორი“ (მეგრ. ლექს., გვ. 407); ქან. ნუხუ „ტორი“ (ქან. ლექს., გვ. 174).

ქანურ ნუხუ-ში მეგრულ ხუ-სთან შედარების საფუძველზე ძირეული ნაწილია ხუ, ნუ ნააფიქსარი უნდა იყოს (ნივთთა გრამატიკული კლასის ნიშანი). ნუ-ხუ-ს წინა სახე შეიძლება ყოფილიყო \*ნო-ხუ ან \*ნი-ხუ. ნუხუ მიღებული ჩანს რეგრესული ასიმილაციით:

\*ნო-ხუ → ნუ-ხუ || \*ნი-ხუ → ნუ-ხუ. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ხუ ფუძის უ უცვლელია, რაც გვაცხადებს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ხუ ← \*ხვუ.

ქართულში არ ჩანს ზანური ხუ || ნუ-ხუ-ს შესატყვისი ფუძე. მ. ქან. ხუთ-ი || ხუ, მეგრ. ხუთ-ი, ქართ. ხუთ-ი, სვან. ჭოხ-ჭიშდ (შედარ. ლექს., გვ. 215).

ზანურის კილოკავებში ხუთ ფუძის უ უცვლელია.

ზუგდ.-სამ.: უქანასქენელი ხუთოში დევი ქოჯანდ (სუბ., მ. ტ., 209,38) „სულ ცოტა ხუთასი დევი იწეა“.

ხუთ უნდა იყოს მიღებული \*ხვ-უთ (ანდა \*ხვ-თ)-ისაგან. სვან. ჭოხჭიშდ ითვლება ჭოხუშდ-ისაგან მიღებულად უმლაუტიზაციის საფუძველზე<sup>141</sup>. მაგრამ თვით ჭოხუშდ, მომდინარეობს ჭოხეუშდ (ანდა \*უოხუშდ)-ისაგან, ე. ი. სვანულში დღევანდელი ჭოხჭიშდ შესამეზლი მოვლენა შეიძლება იყოს.

<sup>141</sup> ი. ე. ჯ ა ვ ა შ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და აკაკისური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 407.

ხუთ ფუძის ძირისეული ხ რომ ზგ-საგან მომდინარეობს, ამას ადასტურებს სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემები: აფხ. ხიბა ← ხიგბა, ყაბ. თხ<sup>ი</sup>გ ← \*ღ-ხ<sup>ი</sup>გ „ხუთი“...

ნ. ჭან. წუ, მეგრ. წუ „ბზე“ (ჭან. ლექს., 222; მეგრ. ლექს., გვ. 382).

ცვლ ქართულში მარცვლეულის ღეროს მნიშვნელობით იხმარება სიტყვა წუელი.

თხით თავით ქუეყანაა ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინ-ლა სავსე იფქლი თავსა მას შინა (ოთხ., მრ. 4, 28).

ზანური წუ უნდა იყოს ქართულიდან შეთვისებული წუელი, რომელშიც -ელ ელემენტი მოკვეცილია. წუელ ფუძეში კი ძირი წარმოდგენილია ლაბიალური კომპლექსით—წჟ. ამით აიხსნება ის, რომ ზანურ წუ-ში უ უცვლელია ყველა კილოკავში.

ო. მეგრ. ღუ, ჭან. ბღუ || მღუ || ღუ „ქოტი“.

ზუგდ.-სამ.: მარას მოურცუ თიმუ დლასუ ნი, ღუ ოჟოფუ დო ხეფორჩაძა კიმთიიხუნუუ (ყიფშ., მ. ტ., 54, 26) „იმ დღეს, გზაზე რომ მოდის, ქოტი დაიჭირა და სახელოში ჩაისვა“.

ამ ფუძის უფრო არქაული სახე უნდა ჰქონდეს შემონახული ჭანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს — ბღუ. ჭან. მბღუ-ში მ ფონეტიკური დანართია. ხოფურისა და მეგრულის ღუ-ში ბ დაკარგული ჩანს. ღუ ← ბღუ (ბ შეიძლება აფიქსისეული იყოს). ქართული ბუ- საფიქრებელია, ეგევე ფუძეა, ოლონდ მასში ფუძისეული ღ იქნება დაკარგული: ბუ ← ბღუ, შდრ. მეგრ. ღუ ← ბღუ. ბუ დასტურდება ცველ ქართულშიც — (სახის-მეტყუელმან) ბუევისათჳს თქუა: ღამის მოყუარე არს, ვიდრე დღისაჲ (ისტ. ქრესტ., 281, 13).

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ღუ ფუძის უ უცვლელი ბგერაა, რაც გვაგარაუდებინებს ღ-სთან ისტორიულად ლაბიალური გ- ბგერის არსებობას: ღუ ← ბღუ ← \*ბღუ. ეს ფუძე გვხვდება ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაშიც — ადიღ. ბღწ „არწივი“ ← \*ბღიწ. ღ-ს დელაბიალიზაცია აქ ბ-ს მიეწერება.

პ. ჭან. თუღე || თუღელე, მეგრ. თუღო || თუღოლე „ქვეშ“ (ჭან. ლექს., გვ. 148; მეგრ. ლექს., გვ. 244).

თუღო || თუღე ზმნისართული ფუძე თითქოს განკერძოებით დგას ზანურში. სათანადო ფუძე არ ჩანს ქართულსა და სვანურში.



თუდო || თუდე-ს უ უცვლელია ზანურის კილოკაეებში, რაც გვანიშნებს იმაზე, რომ წინამძველი თანხმოვანი თ ისტორიულად უნდა მომდინარეობდეს თვ ლაბიალური კომპლექსისაგან: თუდო ← თფუდო.

ზან. თუდო || თუდე შეიძლება იყოს ქართული ქვედა-ს სახე-ცვლილი ზანური ვარიანტი: თუდო ← \*ქვადო.

ჟ. მეგრ. ზურა „მშიზარა“ იგივეა, რაც ჰანური ზურა „მდედ-რობითი სქესის ცხოველი“, „ძუ“ (ჰან. ზურა ლაკი „ძუ ლეკვი“) და სვან. ზურალ „ქალი“<sup>142</sup>.

პირვეანდელი მნიშვნელობით ეს სიტყვა ჰანურს უნდა ჰქონდეს დატული.

ზანურის კილოკაეში ამ ფუძის უ ხმოვანი უცვლელია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ძირისეული ზ ← ზვ. ზურა ← \*ზეურა (\*ზეირა?).

სვან. ზურალ-ის ზუ სპეციალურ ლიტერატურაში დაკავშირებულია, ერთი მხრით, ქართ. ნე-ზე-თან, ხოლო, მეორე მხრით, ჰან. ბო-ზო-სთან, რაც გოგოს, ქალიშვილს აღნიშნავს<sup>143</sup>.

რ. ჰან. ჩვირ — ინჩვირს, მეგრ. ჩურ — ჩურუნს („ცურავს“), ქართ. ცურ — ცურავს (შედარ. ლექს., გვ. 373).

ამოსავალი მდგომარეობა შეიძლება ჰქონდეს დატული ჰანურს — ჩვირ-ში: მეგრ. ჩურ ← ჩვირ, ქართ. ცურ ← \*ცვირ.

ხ. ზუგდ.-სამ. ჯუნ — ჯუნგც, სენაკ. ჯუდ || ჯვიდ — ჯუდუნს || ჯვიდუნს („კოცნის“), ჰან. ჯუნდ — ჯუნდუ „აკოცა“ (შედარ. ლექს., 438; ჰან. ლექს., გვ. 238; მეგრ. ლექს., გვ. 416).

ზან. ჯუნ || ჯუდ ← ჯვინ || ჯვიდ, შდრ. ზუგდ.-სამ. ჯუნ, სადაც შემონახული ჩანს უ ხმოვანი.

ზუგდ.-სამ.: ჯუნუნც ბოშისგ, ხე დო დუცუ ულუნც (ყიფშ., მ. ტ. 59,25) „კოცნის ყმაწვილს და თავს ევლება“.

ჯვიდ შემონახულია სენაკურ კილოკაეში — მაჯვიდინე „შემიძლია ვაკოცო“ (მეგრ. ლექს., გვ. 416).

ტ. ჰან. ქუნ — დოლოქუნს, მეგრ. ქუნ — მუკააქუნს „აკვია“, ქართ. ქე — სარ-ქე-ელ-ი, სვან. ქუ — ლე-რე-ქე „ტანსაცმელი“ (ჰან. ლექს., გვ. 199; შედარ. ლექს., გვ. 342; მეგრ. ლექს., გვ. 346).

<sup>142</sup> И. Кипшидзе, Грам. мшгр. языка, гв. 238.

<sup>143</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკას. ენ. ბუნება, გვ. 194; არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 24.

ზუგდ.-სამ.: (ქოჩორაქ) გელეღლ ჭუჯიშე ონანგერი დო ორ-ქოში მუკოქუნალი, ქიმქიიქუნუ დო ეშეღლ რაშიშა (ყიფშ., მ. ტ., 96,15) „(ქოჩორამ) ამოილო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანსაცმელი, ჩაიცვა და ავიდა რაშზე“.

ზან. ქუნ ფუძის უ კილოკავებში უცვლეღია, რამდენადაც წინამავალი ქ ← ქვ, შდრ. ქართ. სა-რ-ქვ-ელ-ი, ძვ. ქართ. სა-რ-ქუ-ელ-ი, სვან. ლერე-ქვ „ტანსაცმელი“<sup>144</sup>, მეგრ. გინო-ქვ-ენ-ი „წამოსასხამი“.

განხილული ქვ ფუძის ფონეტიკური ვარიანტია ქართ. ცვ — ჩაიცვა, ძვ. ქართ. ჩაი-ცუ-ა<sup>145</sup>.

უ. ჰან. ჯლონ — მენდაჯლონუ („გაგზავნა“, „მიუძღვნა“), მეგრ. ჯლონ || ჯლუნ — მიდაჯლონუ || მიდაჯლუნუ „გაგზავნა“ (ჰან. ლექს., გვ. 238; მეგრ. ლექს., გვ. 417; შედარ. ლექს., გვ. 409).

ზან. ჯლონ ფუძეს არნ. ჩიქობავა თელის ქართ. ძღვან<sup>146</sup> (ძვ. ქართ. ძღუნან) — მიუძღუნა ზმნის ფუძის ზანურ შესატყვისად. ძღვან კი დაკავშირებული აქვს ძღვენ სახელურ ფუძესთან<sup>147</sup>.

ჰან. ჯლონ ← \*ჯღონ; მეგრ. ჯლუნ ← \*ჯღუნ ← \*ჯღონ.

ფ. მეგრ. ულუ(ნ), ჰან. ულუნ, სვან. ხ-ულღ-ე „აქვს“ (შედარ. ლექს., გვ. 345).

ზან. ულუნ ზმნის ძირია ღვ, რაც დაცული აქვს სვანურს — ხ-უ-ღვ-ე. ზან. ულუნ ← \*უ-ღვ-უნ. ზუგდიდურ-სამურზაყანულში ამ ზმნაში სუფიქსისეული უ უცვლეღია.

ზუგდ.-სამ.: დღასგ ვა მიინწყასგ, ირო კითის ულუ და სია (ყიფშ. მ. ტ., 83,20) „არასოდეს არ მოიხადოს, სულ თითზე ჰქონდესო“.

ულუნ სტატიკური ზმნაა. იგი გვხვდება მიმართულების აღმნიშვნელი პრევერბებითურთ: მე-ულუ(ნ) „მიაქვს“, მო-ულუ(ნ) „მოაქვს“ და სხვ., ისე როგორც სათანადო ქართული სტატიკური ზმნა — აქვს, მი-აქვს, მო-აქვს და სხვ. ...

ზან. ულუ(ნ) || მეულუ(ნ) და მიღეღლუ „წაილო“ ზმნები სემანტიკურად ახლოს არიან ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა

<sup>144</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 342.

<sup>145</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 96.

<sup>146</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 439.

<sup>147</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 96.

აქ ჩვენ სხვადასხვა ფუძეებთან შეიძლება გვეკონდეს საქმე: მილუ(ნ) ზმნის ძირია ღვ, ხოლო მიღეღლ უ ზმნაში ძირად გამოიყოფა ღ, ისე როგორც ქართულშიც — წა-ი-ღ-ო. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში მიღეღლ-უ ზმნის ფორმაში მესამე სუბიექტური პირის აფიქსი უ გადასულია გ-ში.

გეღეღლ ართი მარწკინდი ჯიბეზე (ყიფშ., მ. ტ., 83,17) „ამოიღო ერთი ბეჭედი ჯიბიდან“.

ულუნ (← უ-ღვ-უნ) ზმნაში ღ (←ღვ). ძირის მომღვენო უ კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, უცვლელია.

ზემოვანხილულ ფუძეებში, როგორც გაირკვა, ზანურის ხოფურ, სენაკურ და ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავეებში უ ხმოვნის შემონახვა აიხსნება იმით, რომ მას ყველა შემთხვევაში წინ უძლოდა კომპლექსი — თანხმოვანი + ვ, სადაც ვ ელემენტი გაუჩინარებული ჩანს (ზან. გ უ რ-ი, შ უ რ-ი, კ უ ჩ ხ-ი ...).

სათანადო ფუძეებთან შედარების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ გამქრალი ვ-ს აღდგენა (ზან. კ უ ჩ ხ ← \*კეუჩხ ← \*კეოჩხ, შდრ. ძვ. ქართ. კ უ ა რ ც ხ ლ ...)

მაგრამ ზანურშივე გვხვდება ფუძეები, რომლებშიც უ ხმოვანი ყველა კილოკავში უცვლელი რჩება, ხოლო ამ ფუძეების ანალიზის მიხედვით არ დასტურდება უ-ს წინამავალ თანხმოვანთან ვ-ს არსებობა. ასეთ შემთხვევებშიაც უნდა ვიფიქროთ, რომ უ-ს წინ ისტორიულად ლაბიალური კომპლექსი არსებობდა. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ზოგ შემთხვევაში შეიძლება ვარაუდების დაშვება:

ა. მეგრ. ხუჯ-ი, ვიწ.-არქ. მ-ხუჯ-ი, ათინ., ხოფ. ფ-ხუჯ-ი (მხარი), ქართ. მ-ხარ-ი || ძვ. ქართ. მ-ჟარ-ი (ქან. ლექს., გვ. 172; მეგრ. ლექს., გვ. 409; შედარ. ლექს., გვ. 57).

ზანურის ხუჯ უნდა მომდინარეობდეს ხვ-ოჯ-ისაგან, ე. ი. ცი-რეული ხ თანხმოვანი წარმოდგენდა ლაბიალურ კომპლექსს — ხვ, რაც უნდა დასტურდებოდეს იმით, რომ ხუჯ ფუძის უ უცვლელი დარჩა როგორც ხოფურსა და სენაკურში, ისე ზუგდიდურ-სამურზაყანულშიც.

ზუგდ.-სამ.: ათე ბოშიქ ართი დიდი ქყონიში ჯათი მოსოფულო ხუჯიმა ქიკლეღლუ (ყიფშ., მ. ტ., 47,20) „ამ ყმაწვილმა ერთი დიდი მუხაც მოგლიჯა და მხარზე გაიდღა“.

ამის საცუძველზე ქართული მხარ უნდა მომდინარეობდეს \*მ-ხე-არ-ისაგან. გ-ს დაქარგვა აქ უნდა მიეწეროს თავკიდურ მ-ს, შდრ. ჰან. მკიმა || ჰიმა ← მ-ჰვიმა „წვიმა“. მ კი ან ფონეტიკური დანართია, ანდა ნაათქსარი ელემენტი, შდრ. მ-ხარ-ე<sup>118</sup>. მ-იანი ვარიანტი მეგრულში დასახელებული აქვს ი. ყიფშიძეს (მეგრ. ლექს., გვ. 409). მეგრ. მ-ხუჯ-ის ვარიანტი უნდა იყოს მუხ უ რ-ი, რაც აღნიშნავს მ ხ ა რ ე-ს. არც მუხურის უ ქვეულა ზუგდიდურ-სამურზაყანულში გ-დ.

ბ. მეგრ. ხულ-ი („მხალი“), ქართ. მხალ-ი.

ხულ ფუძეში ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში უ უცვლელია, ამის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ მეგრ. ხულ-ში ძირისეული ხ ← ხვ: ხულ ← \*ხე-ულ ← \*ხე-ოლ. ამის მიხედვით ქართ. მ ხ ა ლ შეიძლება იყოს მიღებული \*მ ხ ვ ა ლ-ისაგან, სადაც გ-ს გაუჩინარება შეიძლება მივაწეროთ თავკიდურ მ ბაგისმიერ ბგერას, შდრ. ქართ. მხარ ← \*მხვარ.

ეგვე ფუძე ჩანს ყაბარდოული ფხჟ „სტაფილო“ (Каб.-пущка. с., გვ. 310). ყაბ. ფხჟ შეიძლება მომდინარეობდეს ფხიჯ-საგან. ხი-ს დელაბიალიზაციას აქ გამოიწვევდა თავკიდური ბაგისმიერი ფ. ანალოგიური ფაქტები ხშირია ადიღურ ენებში.

გ. ჰან. მცხულ-ი, მეგრ. სხულ-ი („მსხალი“), ქართ. მ-სხალ-ი, სვან. ი-ცხ „მსხალი“ (ჰან. ლექს., გვ. 215; შედარ. ლექს., გვ. 120).

ზანურის კილოკავებში ამ ფუძის უ ხმოვანი ყველგანაა შემონახული, რაც შეიძლება აიხსნებოდეს იმით, რომ ამ ფუძეში ქართული ა-ს შესატყვისი მ (მ-ს ხ ა ლ : ზან. \*სხოლ) გადავიდა უ-ში მას ზემდეგ, რაც პროცესი უ → ზ უკვე აღარ იყო მოქმედი ზანურის კილოკავებში. შესაძლებელია დაზვებულ იქნას სხვა ვარაუდიც: არაა გამორიცხული ზან. (მ)სხულ ფუძის ძირისეული ნაწილი სხ მომდინარეობდეს სხვ ლაბიალური კომპლექსისაგან: (მ)სხულ ← \*(მ)სხვულ ← \*(მ)სხვოლ, ქართ. (მ)სხალ ← (მ)სხვალ. ქართულში ძირისეული სხვ-ს დელაბიალიზაცია შეიძლება მივაწეროთ აქაც თავკიდურ მ-ს.

ზემოწარმოდგენილ სამ მაგალითში ჩვენ დასაშვებად მივიჩინეთ მ-ს გავლენით მომდევნო თანხმოვნის ლაბიალური ნაწილის გაუჩინარება. ქართ. მ ხ ა რ ე ← \*მ ხ ვ ა რ ე, მხალ-ი ← \*მხვალ-ი, მსხა-

<sup>118</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 57.

ლი ← \*მსხვა-ლი... ამის მაგალითი სხვებიც შეიძლება დადასტურდეს ქართველურ ენებში. ასე, მაგალითად, ჰან. მჩირ-ი აღნიშნავს ცვილს. ნ. მარი ამ ფუძეს სამართლიანად თვლის ქართული ცვილ ფუძის კანონზომიერ შესატყვისად<sup>148</sup>. ჰანური მჩირ-ი ← \*მჩვირ-ი, შდრ. ქართ. ცვილ-ი, ძვ. ქართ. ცკლ-ი. \*მჩვირ-ში გ-ს გაუჩინარებას ხელს უწყობდა თავკიდური მ.

დ. ჰან. ქურ-ი, მეგრ. ქურ-ი || ქურს-ი || ქურც-ი („ქუსლი“), ქართ. ქუსლ-ი (ჰან. ლექს., გვ. 199; შედარ. ლექს., გვ. 65; მეგრ. ლექს., გვ. 347).

ზანურის კილოკავებში ქურ || ქურს ფუძის უ ხმოვანი უცვლელი რჩება, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ თავკიდური ქ ბგერა ← ქგ: ქურ ← \*ქეურ (ანდა \*ქვირ).

ზან. ქურ ითვლება ქურს-ისაგან მიღებულად რხ კომპლექსის გამარტივების გზით<sup>149</sup>. შესაძლებელია, მეგრ. ქურს ქართულიდან იყოს შეთვისებული: ქურს ← ქუსლ. ქართ. ქუსლ, ზან. ქურ || ქურს ფუძის ძირისეული თანხმოვანი ქგ შეიძლება უკავშირდებოდეს ქართ. ქვეშ, ძვ. ქართ. ქუე ზმნისართულ ფუძეს.

ე. ჰან. ოსურ-ი || ოსურე („ასული“), მეგრ. ოსურ-ი („ქალი, „ცოლი“), ქართ. ასულ-ი, სვან. პასუშ „ასული“ (ჰან. ლექს., გვ. 177; შედარ. ლექს., გვ. 38).

ზუგდ.-სამ.: თენა ორდასუ სქანი ოსურ ი და ჩქიმინოსა (ყიფშ., მ. ტ., 88, 30) „ეს იყოს შენი ცოლი და ჩემი რძალი“.

ზანურის კილოკავებში ოსურ ფუძეში უ-ს შემონახვა გვაგვარაუდებინებს, რომ ძირისეული ხ ← ხგ, მაშასადამე, ზან. ოსურ ← \*ოსეურ (ანდა \*ოსვირ), ასევე ქართ. ასულ ← \*ასეულ (ანდა \*ასვილ).

სვან. პასვიშ მეორეულადაა გაგებული: პასვიშ ← პასუშ. მაშასადამე, პასვიშ შეიძლება ჩაითვალოს შესაძებულ მოვლენად.

გ. ქართ. ჭურ-ი, მეგრ. ჭკუდ-ი || ჭკუჯ-ი „ჭურჭელი“ (მეგრ. ლექს., გვ. 392).

ჭკუდ || ჭკუჯ ფუძის უ მეგრულის კილოკავებში უცვლელია. ზუგდ.-სამ.: სი რექ ჩქიმინ შურიშ ჭკუდი (ყიფშ., მ. ტ., 130, 19) „შენ ხარ ჩემი სულის ჭურჭელი“.

<sup>148</sup> Н. М а р р, Грам. чанск. яз., გვ. 211.

<sup>149</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 65.

ამის საფუძველზე სავარაუდებელია, რომ ძირისეული თანხმობის იქ ← ჰკვ: ჰკუჟ ← \*ჰკვჟჟ (ანდა \*ჰკვიჟ). ასევე, ქართ. ჰურ ← \*ჰვეურ (ანდა \*ჰვირ).

ზ. ძვ. ქართ. შურდულ-ი „ქვის სატყორცი“ (საბა), მეგრ. შქურდონ-ი („შურდული“).

მიაგლინა შურდული ს-ქვანი და განაბნინა იგინი (ბიბლ., 2 მეფეთა, 22,15).

ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში შქურდონ-ში უ უცვლელია, რაც იცნევა საფუძველს, რომ შქ ← შქვ, ე. ი. შქურდონ ← \*შქვ(უ)რდონ. ასევე ქართული შურდულ ← \*შვ(უ)-რდულ.

ქართ. შურდულ შეიძლება უკავშირდებოდეს შოლტ ფუჰტეს. შოლტ-ი „ტყავის ანაჰერი გრძლად“ (საბა). ქართ. შოლტ-ის ზანური ვარიანტი ჩანს მეგრ. შქვერთ-ი || შვერთი „ხის ტყავი (გრძლად)“, ე. ი. იგივე ტყავი.

ქართული შოლტის წინასახეობა შეიძლება ყოუილიყო \*შველდ.

ქართ. შოლტ (← \*შველდ) ფუძის ძირისეული \*შვ შეიძლება უკავშირდებოდეს აფხ. ა-ცია და აღილ. ს,აჲ (← ცია) ფუძეს, რაც აღნიშნავს ტყავს.

თ. ქართ. კუჭ-ი, მეგრ. კუჭ-ი.

მეგრულის კილოკავში კუჭ-ის უ უცვლელია. შესაძლებელია საერთო ქართული კუჭ ← \*კვ(უ)ჭ.

ეგვე ფუძე დასტურდება აღილურ ენებში — კაჲჲ — „შიგნე-ულობა“, სადაც თავკიდური კი ლაბიალიზებული ბგერაა.

ზ. ძვ. ქართ. სრსულ-ი „წორცთ მცოარი“ (საბა), მეგრ. სურსუ, ჰან. მსურსუ (ფიწ.-არქ.) || მსირსუ (ხოუ.) „ს რ ს ვ ე ლ ი“ (ჰან. ლექს., გვ. 169).

ნუ უკუე მტერმან ვითარცა ს რ ს ჯ ლ მ ა ნ საძოვარი პოოს შენ თანა (მარტ. შუშ., III, 13).

ეს სიტყვა გვხვდება ქართულის დიალექტებში სხვადასხვა ვარიანტებით; იმერ. სურსულაი (ბერ.), გურ. სურსულა/ე (ელ.) ქიზ. სირსველა (მენტ.).

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში სურსუ-ში ორივე უ შემონახული ჩანს.

უ-ს შემონახვა აქ შეიძლება აიხსნებოდეს ან იმით, რომ ეს სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული ზანურში, ანდა თუ საერთო ფუძედ გავიგებთ, მეგრ. სურსუ მიღებული იქნება \*სირსვილ-ისაგან, სადაც ფუძისეული ხვ წარმოადგენს ლაბიალურ კომპლექსს. მეგრ. სურსუ-ს უ ინლაუტში მიღებულია ო-საგან ბოლო-კიდურ უ-სთან ასიმილაციით: \*სირსვილ → \*სირსულ → \*სურსულ. სურსუ-ში ბოლოთანხმოვანი ლ დაკარგული ჩანს.

ჭან. მსურსუ || მსირსუ-ში მ ფონეტიკური დანართია: (მ)აურსუ ← (მ)სირსუ ← \*სირსვილ.

კ. ქართ. სელ-ი, მეგრ. სუ „სელი“.

მეგრ. სუ-ში უ უცვლელია ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილო-კავში, რაც გვაპარაუდებინებს იმას, რომ ძირისეული ხ ← ხვ, ე. ი. მეგრ. ხუ შეიძლება იყოს მიღებული \*ხულ ← \*ხვილ-ისაგან. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უნდა უჭერდეს საერთო ზანური ზმნა ჭან. ო-სულ-უ „სელის ქერქის გაძრობა“ (ჭან. ლექს., გვ. 186), მეგრ. გო-სვილ-უა „ქერქის გაძრობა“.

ქართულ ხელ ფუნქში ძირისეულ ხ თანხმოვანთან არ ჩანს ლაბიალური ელემენტი (ხელ ← \*ხველ?).

ლ. ქართ. კულ-ი, ზან. კულელ-ი, სვან. ჰაკეჲდ „კული“ (ჭან. ლექს., გვ. 158; მეგრ. ლექს., გვ. 262; შედარ. ლექს., გვ. 92).

ზანურის კილოკავებში კულ-ელ ფუძის უ უცვლელია. ამის საფუძველზე ქართულ-ზანური კულ ფუძის ცირისეული კ უნდა იყოს მიღებული კვ-საგან: კულ ← \*კვ(ულ).

სვან. ჰაკეჲდ მიღებული ჩანს \*ჰაკოდ-ისაგან.

მ. ჭან. დურყუ || დუყუ, მეგრ. დუყ-ი („იდაყვი“). ქართ. ი-დაყვი-ი || ნი-დაყვი-ი (ჭან., ლექს., გვ. 141; შედარ. ლექს., გვ. 59).

ქართ. დაყვი-ის შესატყვისი იქნებოდა ზანურში \*დოყვ. ჭან. დუ(რ)ყუ ← \*დოყვი-ი. \*დოყვი-ი კი შეიძლება \*დოყვილ-ისაგან იყოს მიღებული: \*დოყვილ → \*დოყულ → დუყულ || → დურყუ.

მეგრ. დუყ-ი ← \*დოყვი-ი ← \*დოყვილ<sup>161</sup>.

ჭან. დუყ-უ, მეგრ. დუყ ფუძის უ ხმოვანს არ განუტღია ცვლილება, რამდენადაც იგი ასიმილაციით არის მიღებული.

ნ. მეგრ. კალუ „კაღი“ (მეგრ. ლექს., გვ. 253).

ჭანურში ეს ფუძე არაა დადასტურებული. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ბოლოკიდური ხმოვანი უ უცვლელია.

<sup>161</sup> შდო. არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 59.

ქართ. კ ა ვ-ი და მეგრ. კ ა ლ უ ე რ-თი და იგივე ფუძეა. შესაძ-  
ლებელია ეს ფუძე ქართულიდან იყოს შესული, რამდენადაც ხმო-  
ვანში (ა) არ გვაქვს კანონზომიერი მიმართება: ქართ. კავ, მეგრ.  
კალუ.

მეგრული კალუ-ს ამოსავალი სახე უნდა იყოს კ ა ვ. კ ა ლ უ-ში  
ღ, საფიქრებელია, ფონეტიკურად იყოს განვითარებული გ-ს წინ.  
სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია გ-ს წინ უკანაენისმიერი  
ღ, ხ, გ, ქ, კ თანხმონების განვითარება ქართველურ ენებში: სვან.  
ღ ვ ა შ („მამალი ჯიხვი“) ← \*ვ ა შ, შდრ. ქართ. ვ ა ც-ი, მეგრ. ოჩ-ი „ვა-  
ცი“, ძვ. ქართ. გ უ ა ლ ე ← ვ ა ლ ე, შდრ. ვ ა ლ და სხვ.<sup>152</sup> ინლაუტშიც  
უკანაენისმიერთა განვითარების თითო-ოროლა შემთხვევაც ცნობი-  
ლია ლიტერატურაში. ღაგალითად, ქარ. ფ. უ ლ ს რ ი გ კ ე ლ ო ბ შ ი  
ნ ი ქ ე თ-ი ← ნ ი ვ თ-ი, ე ქ ე თ ი მ ე ← ე ვ თ ი მ ე<sup>153</sup>.

ბრუნვის ი ხმოვნის შერწყმით კალუ ← კალვი ← კავ-ი. ამი-  
თაა შეპირობებული, რომ მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ  
კილოკავშიც ამ სიტყვის ბოლოკიდურბ უ ხმოვანი არ გადასუ-  
ლა გ-ში (არაა გამორიცხული, პირიქით, ქართ. კავ ← \*კალვ).

თ. მეგრ. წყურიშ-ი, ხოფ. მ-წყურ-ი, ვიწ.-არქ. მ-წყურის-თი,  
ათინ. წვრის-თი „კვირის თავი“ (ქან. ლექს., გვ. 221; მეგრ. ლექს.,  
გვ. 385).

წყურიშ ნაგენეტივარი ფუძეა, სახელისაგან წყურ. წყურ  
გვხვდება მეგრულ კომპოზიტში წყურ-კუჩხი „მუხლის თავის  
ცვალი“, ე. ი. ქართული კვირის-ტავ-ი ← კვირის-თავ-ი.

საეარაუდოა, რომ წყურ იყოს მიღებული კვირ-ისაგან, რო-  
მელსაც წინ ჰქონდა დართული ნააფიქსარი ელემენტი ხ: \*ს-კვირ →  
\*წ-კვირ → წკურ. წკურ შემოინახეს ქანურის კილოკავებმა. მეგრულ-  
ში წკ კომპლექსი ქეულა წყ კომპლექსად — წყურ. რამდენადაც  
წყურ || წვეურ ← \*წყვირ || \*წყვირ, უ ხმოვანი არ განიცდის ცვლილე-  
ბას ზანურის კილოკავებში.

ბ. მეგრ. ჯუმაშხა, ქან. ჯუმაჩხა, სვან. ჯუმაშ — „ოთხშაბათი“  
(ქან. ლექს., გვ. 238; მეგრ. ლექს., გვ. 416; შედარ. ლექს., გვ. 208).

<sup>152</sup> იხ. ამის შესახებ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვე-  
ლურ ენებში, ენიშკის მთაბჭ, X, გვ. 231—236; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მრავლობი-  
თობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების  
სისტემაში, იკვ, I, გვ. 124.

<sup>153</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 234.



როგორც ცნობილია, ზან. ჯუმაშხა || ჯუმაჩხა ← ჯუმაშ-დლა.  
სვანური ჯუმაშ (← ჯუმაშ) ზანურიდან უნდა იყოს შესული.

ზანურ ჯუმა-შხა || ჯუმა-ჩხა ← ჯუმაშ-დლა კომპოზიტის პირ-  
ველი შემადგენელი ფუძე ჯუმა-ს მნიშვნელობა არაა გარკვეული.

ამ ფუძის უ ხმოვანს ზანურის კილოკავებში არ განუცდია რე-  
ლექცია. ამის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინამპეალი ჯ  
უნდა იყოს მიღებული ჯგ-საგან: ჯუმ-ა ← \*ჯე(უ)მ-ა.

ფ. ჭან. კუსაუს, სენაკ. კუსანს, ზუგდ-სამ. კუსანც „კენესის“,  
ქართ. კენესის (შედარ. ლექს., გვ. 300).

ზან. კუს ← \*კე(უ)ს, შდრ. ძვ. ქართ. კუნეს, სადაც უ უპარ-  
ცვლოა.

რ. ჭან. გოკუცხუ, სენაკ. გოკურცხუ, ზუგდ.-სამ. გოკურცხუ  
„გაიღვიძა“), ქართ. მ-კვირცხ || მ-კვრცხ-ე (შედარ. ლექს., გვ. 300).

ზან. კურცხ ← \*კვირცხ, შდრ. ძვ. ქართ. (მ)კვრცხ.

ს. ჭან. ცხუნუფს, მეგრ. სხუნუნს „არჩევს“, „გაარჩევს“ (შე-  
დარ. ლექს., გვ. 387).

ჭან. ცხუნ-ისათვის ამოსავლად ითვლება სხუნ. სხუნ შეიძ-  
ლება იყოს მიღებული \*სხუნ-ისაგან. არის დასმული საკითხი:  
ხომ არ არის ზან. სხუნ დაკავშირებული ქართ. სხვა, ძვ. ქართ.  
სხუა ფუძესთან<sup>154</sup>.

ტ. საგანგებო განხილვას მოითხოვს ზან. შქურ (ოშქურ  
„ეშინია“) ზმნის ფუძე.

ქართ. შინ — ეშინის ზმნის ზანურ შესატყვისადაა მიჩნეული  
ჭან. შქურ || შკურ — აშქურინუ, მეგრ. შქურ — აშქურინუ „ე-  
ეშინია“<sup>155</sup>.

შესაძლებელია აქ სხვადასხვა ფუძეებთან გვექონდეს საქმე.  
ქართ. შინ ფუძის ზანური შესატყვისის შეიძლება იყოს მეგრ.  
(რ)სქინ — ორსქინანს „ემუქრება“, „აშინებს“. სენაკურ კილოკავში  
რსქინ-ის ნაცვლად ისმის რცქინ — ორცქინანს. აქ ც ← ხ.

რომ მართლაც ქართ. შინ ფუძის შესატყვისად ზანურში ჩავ-  
ვეთვალა შქურ, მაშინ მოსალოდნელი იყო ამ ფუძის უ ხმოვნის  
შეცვლა ჯ (→ ი) ხმოვნით ზანურის რიგ კილოკავში, რამდენადაც  
ძირისეული ელემენტი შქ არ უნდა ყოფილიყო ლაბიალური

<sup>154</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 387.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 369.

კომპლექსის შემცველი, შდრ. ქართ. შინ. ნამდვილად კი ზანუ-  
რის ყველა კილოკავში უ შემონახულია.

ზან. შქურ შეიძლება იყოს მიღებული შქვირ-ისაგან, შდრ.  
სენაკ. შქვირ — დოფშქვირონდი „დავშინდი“ (მეგრ. ლექს., გვ. 360)².

უ. განკერძობით დგას ქართული რბ-ი-ს, ძვ. ქართ. ს-რბ-ოლ-ა  
ზმნური ფუძის ზანური ვარიანტი მეგრ. რ უ ლ — რულ-ა „გაქ-  
ცევა“. მეგრ. რ უ ლ უნდა იყოს მიღებული \*რ ბ უ ლ-ისაგან, ამიტომ  
ამ ფუძეში უ ხმოვანი ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშიც  
უცვლელადაა შემონახული,

§ 36. უ ხმოვანი, მიღებული ვი-ს შერწყმით, ინტერკონსონან-  
ტურ პოზიციაში ზანურის კილოკავებში უცვლელად რჩება ძველიდანვე  
შეთვისებულ სიტყვებშიც. ეს აიხსნება პირველ რიგში იმით, რომ  
ზანურში ეა-საგან მიღებული უ საერთოდ არ იცვლება, ხოლო,  
მეორე მხრით, იმითაც, რომ სიტყვა შეიძლება შეთვისებულყო  
მაშინ, როცა უ-ს გ-ში გადასვლის პროცესი უკვე აღარ იყო მოქ-  
მედი ზანურის კილოკავებში.

მეგრ. არგუსო „აგვისტო“.

ეს სიტყვა მეგრულში ქართულის გზითაა შესული ბერძნულ-  
ლათინურიდან.

მეგრ. არგუსო ← \*აგვისო ← აგვისტო, ე. ი. არგუსო-ში რ  
ჩანართია, ხი.ლო სტ კომპლექსი გამარტივდა, შდრ. მეგრ. სვირ-ა  
(„არყის განოსახდელში მილი“) ← სტვირ-ი; საკუთარი სახელი სეფა  
ნე ← სტეფანე და სხვ. არ გ უ ს ო ფუძის უ ზუგდიდურ-სამურზაყა-  
ნულშიც არ იცვლება.

მ. გ უ ტ ი ა — გვარია სანეგრელოში.

ეგუტია მომდინარეობს ეგვიპტისაგან. ე გ უ ტ ი ა მოხსენებუ-  
ლია ე გ ვ ბ ტ ი ა-ს სახით XVI საუკუნის ქართულ წერილობით  
იხსენებში: ... გკადრეთ და მოგაქსენეთ ჩუენ... მარმარის კარს ეგვბტია  
და ჩხუნბურია<sup>166</sup>.

ამავე წესს ექვემდებარება უ ხმოვანი მეგრ. ქულა-ში  
(„კოკლი“), რომელიც ზერცხლიდანაა წყვეტილი: ბერცნ. ჯაბც  
„კოკლი“.

ქულა-ში უ-ს შემონახვა ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავ-  
ში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ სიტყვის შეთვისების დროს  
უკვე დასრულებული იყო ზანურში პროცესი უ → გ.

<sup>166</sup> აფხაზეთის დიდი იადგარი, გვ. 183.

## ნაწილი მესამე

### ლაბიალური კომპლექსების საკითხი ქართველურ ენებში

§ 37. როგორც დავინახეთ, ზანურის კილოკავებში სახელისა და ზმნის ფუძეებში ინტერკონსონანტური პოზიციის უ სმოვნის გ (→ ი)-ში გადასვლის პირობების გათვალისწინება ნათელს ფენს ქართველურ ენათა ზოგი ფუძის ისტორიის საკითხს. უ → გ → მ მაშინ, როცა მისი წინამავალი თანხმოვანი არალაბიალურია, ანდა არალაბიალური კომპლექსია: ჰკუღ-ი → ჰკვღ-ი → ჰკიდ-ი „მჰადი“... შდრ. ბულ-ი „ბალი“, ფუჯი, „ფური“, გურ-ი „გული“, შურ-ი „სული“... მაშასადამე, ზან. გურ-ი ← \*გვურ-ი, ქართ. გულ-ი ← \*გვულ-ი, ზან. შურ-ი ← \*შვურ-ი; ქართ. სულ-ი ← \*სვულ-ი და სხვ... ძირისეული თანხმოვანი გ, ს || შ... ისტორიულად ლაბიალური კომპლექსი ყოფილა — \*გვ, \*ხვ || \*შვ ...

იბადება კითხვა, რა ბუნებისა უნდა ყოფილიყო ასეთი ლაბიალური კომპლექსები ქართველურ ენებში: იყო ეს თანხმოვნები ლაბიალიზებული ბგერები, როგორც ცნობილია ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, თუ ორი დამოუკიდებელი თანხმოვნის კომპლექსი? იბერიულ-კავკასიური ენებიდან ლაბიალიზებული ბგერები (ფონემები) გვაქვს აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებში. ამ ენებში ლაბიალიზებული თანხმოვნები წარმოადგენენ ერთ მთლიან ბგერას, ფონემატურად განსხვავებულს სათანადო არალაბიალიზებულისაგან. აფხაზურ-ადიღურ ენებში რომელიმე ლაბიალიზებული ბგერა გი, ცი, ძი მოლაპარაკის ენობრივ ცნობიერებაში ისევე არ დაიშლება ორ შემადგენელ ფონემად (გ + ჟ, ც + ჟ, ძ + ჟ...), როგორც, მაგალითად, აფრიკატები ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ... ჩვენთვის არ

დაიშლება სათანადო კომპონენტებად — ხშულ და სპირანტ ფონემებად (დ + ზ, თ + ხ, ტ + ხ; დ + ფ, თ + შ, ტ + შ)...

რომ მართლაც დასახელებულ ენებში ლაბიალიზებული და სათანადო არალაბიალიზებული ბგერები ფონემატურად განსხვავებული არიან, ეს ნათლად ჩანს თუნდაც შემდეგი ფაქტიდან: ადიღურ ენებში ამჟამად არის ლაბიალიზებული უკანაენისმიერი ხშულები — გი, ქი, კი, მაგრამ არა გვაქვს სათანადო არალაბიალიზებული ხშულები გ, ქ, კ. ისტორიულად ასეთი ფონემებიც ჰქონდა ამ ენებს, მაგრამ ისინი ჯერ გაპალატალდნენ (გ', ქ', კ') და შემდეგ მეტ წილ დიალექტებში გადავიდნენ სათანადო აფრიკატებში (ჯ, ჩ, ჭ), ე. ი. გ, ქ, კ ხშულები ამ ენებში დაიკარგა. რამდენადაც გ, ქ, კ ხშულები ამჟამად უცხოა ამ ენათა ფონეტიკური სისტემისათვის, აზიტომ, ცხადია, ამ ენების წარმომადგენლები სხვა ენის გ, ქ, კ-ს ვერ გამოთქვამენ. მაგალითად, ქართულ გ-ს ადიღურები აღიქვამენ როგორც ლ სპირანტს — ქართ. ვანი — ღანი... ხოლო რუსულ გ-ს — როგორც შუაენისმიერ ლ სპირანტს უკრაინული დიალექტის გავლენით — რუს. гора' — ლ'არა. მაშასადამე, ადიღურ ენებზე მოლაპარაკეთა ენობრივი ცნობიერებისათვის რეალურია ლაბიალიზებული ფონემა გი, მაგრამ უცხოა ამ გი ფონემის ძირითადი კომპონენტი გ ბგერა, როგორც დამოუკიდებელი ფონემა.

სპეციალურ ლიტერატურაში ლაბიალიზებული ბგერების არსებობას ადასტურებენ დალესტნის ენებშიც, მაგალითად, დარგულ ენაში, ლაკურ ენაში<sup>157</sup>. მაგრამ ლაბიალიზებული ბგერები დალესტნის ენებში არ უნდა იყვნენ ფონემატურად განსხვავებული ბგერები. ასეთადაა გაგებული, მაგალითად, ლაბიალიზებული ბგერები ხუნძურ-ანდიურ ენებში<sup>158</sup>.

ქართველურ ენებშიც ამჟამად გვაქვს ლაბიალური კომპლექსები ორი დამოუკიდებელი თანხზოვნისაგან შედგენილი — თანხ. მოვანი + გ: ძვალნი, თვალნი, ტვინი, ძარღვი და სხვ...

<sup>157</sup> შ. გაფრინდაშვილი, ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგიერთი ულ-კავკასიურ ენაში, იკე, VII, გვ. 243; А. Магомедов, Лабнализированные звуки в даргинском языке, იკე, V, გვ. 395.

<sup>158</sup> Т. Гудова, К изменению лабнализированных согласных в аварском и андийских языках, იკე, VIII, გვ. 215.

§ 38. გვეკონდა თუ არა ქართველურ ენებში ისტორიულად ლაბიალიზებული თანხმოვნები? ამ საკითხის შესახებ გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. იუშმანოვს. მისი აზრით, ქართველურ ენებში ისტორიულად უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული ბგერები (გო, ქი, კო, ძი, ცო, წი...), ასეთი ბგერები შემდგომში დაშლილა ორ ფონემად და ამ გზით ჩამოყალიბებულა ამჟამად არსებული კომპლექსები — თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი + გ : გო → გვ, ცო → ცვ, ტი → ტვ და სხე...<sup>159</sup> ცხადია, ი. იუშმანოვი ამ შემთხვევაში დგას იმ თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც ენათა აღრიხდელი ეპოქებისათვის თითქოს დამახასიათებელი იყო უფრო რთული, გაუდიფერენცირებელი ბგერების არსებობა.

ძნელია იმ აზრის გაზიარება, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ლაბიალიზებული თანხმოვნების, როგორც ერთი მთლიანი ფონემის დაშლა ორ ფონემად, ორივე ელემენტის ერთად შემონახვით — გო → გვ, ცო → ცვ ... სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემები ამ მოსაზრებას არ უჭერენ მხარს. ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაბიალიზებული ფონემები დამახასიათებელია აფხაზურ-ადიღური ენებისათვის. შემჩნეულია ამ ენათა კილოებში ზოგი ლაბიალიზებული ფონემის მოშლა. ეს პროცესი აქ სხვადასხვა კილოში ორი გზით მიმდინარეობს: ან ხდება რომელიმე ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაცია, ე. ი. ბაგისმიერი ელემენტის გაუჩინარება, ამის მაგალითს იძლევა აფხაზური ენის ტაპანთური კილო, სადაც ამოსავალი ლაბიალიზებული ცო გადასულა ც-ში — ტაპანთური ც-ბა ← \*ცი-ბა „ექვსი“, ანდა ადვილი აქვს ლაბიალიზებული ბგერის შერწყმას ერთ ბგერად. ამის მაგალითს წარმოადგენს აფხაზური ენის სამხრულ კილოებში იმავე ცო ლაბიალიზებული აფრიკატის შეცვლა კბილბაგისმიერი ფ სპირანტით — აფხაზური ფ-ბა ← \*ცი-ბა „ექვსი“... ლაბიალიზებული თანხმოვნების ორ შემადგენელ ფონემად დაშლასა და ორივე ელემენტის ერთად მემონახვის იქმთხვევები არ დასტურდება ამ ენებში და მას

<sup>159</sup> И. В. Юшманов, Фонетические параллели в африканских и яфетических языках, *Africana*, I, 1937, გვ. 36.

<sup>160</sup> К. Ломтатидзе, Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 8, გვ. 864.

არც ქართველურ ენებში უნდა ჰქონოდა ადგილი, წინააღმდეგ. ი. იუშმანოვის მტკიცებისა.

მეორე მხრით, თანამედროვე ქართველურ ენებში ყველა თანხმომავანი შეიძლება შედიოდეს ლაბიალურ კომპლექსში — ღვ, თვ, ტვ; ძვ, ცვ, წვ; ჯვ, ჩვ, ჰვ; ზვ, სვ; შვ, შვ; გვ, ქვ, კვ, ღვ, ხვ, ყვ ... ყველა აქ ჩამოთვლილი კომპლექსი ი. იუშმანოვის ვარაუდის მიხედვით მიღებული ჩანს სათანადო ლაბიალიზებული ფონემებისაგან. მაშასადამე, ქართველურ ენებში უნდა ყოფილიყო ყველა ხშულისა და სპირანტის სათანადო ლაბიალიზებული ვარიანტი. ამ მხრთვდაც არ მიგვაჩნია სარწმუნოდ ი. იუშმანოვის ვარაუდი. როგორც ვიცით, ლაბიალიზებული თანხმომავნების მქონე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, იმავე ადგილურ-ადილურ ენებში, ლაბიალიზებული თანხმომავნების რაოდენობა შედარებით განსაზღვრულია. ამ ენებში ყველა თანხმომავანს არ მოეპოვება ლაბიალიზებული პარალელები.

ი. იუშმანოვის შეხედულება, რომ ქართველურ ენებს ისტორიულად უნდა ჰქონოდა ლაბიალიზებული თანხმომავნები, ძირითადად გაზიარებული აქვს ს. ჟღენტის. მისი აზრით, ლაბიალიზებული თანხმომავნები უნდა ყოფილიყო ძველ სალიტერატურო ქართულში და საერთოდ ისტორიულად ქართველურ ენებში, თანხმომავანი, რომლის შემდეგ იწერებოდა ძველ ქართულში უმარცვლო უ, მან მიიჩნია ლაბიალიზებულ თანხმომავანად — კუ ა ლ ი, ძუ ა ლ ი, წუ უ ე ლ ი, უყუ არ ს და სხვ., ხოლო თანხმომავანი + გ (ვინი) მან ჩათვალა ორი დამოუკიდებელი თანხმომავანი კონპლექსად. ასეთ შემთხვევაში თანხმომავანი არ უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული<sup>161</sup>.

სხვა გამოკვლევაში ს. ჟღენტი კითხავს სვამს ქართველურ ენებში ისტორიულად არსებულ ლაბიალიზებული თანხმომავნების ფონეტიკობის შესახებ<sup>162</sup>.

ცხადია, ძველ ქართულში ე (კონსონანტი) + უ (უმარცვლო) და ე + გ (ვინი) კომპლექსებს შორის უნდა ყოფილიყო სხვაობა. უდავოა აგრეთვე, რომ ე + გ კომპლექსში უნდა გვქონოდა მართლაც ორი დამოუკიდებელი თანხმომავანი, მაგრამ საკვლევი რჩება ე + უ (უმარცვლო) კომპლექსის ბუნება ძველ ქართულში. არ მიგვაჩნია სარწმუნოდ, თითქოს ძველ ქართულში ყოფილიყო ლაბია-

<sup>161</sup> ს. ჟღენტი, ლაბიალიზებულ თანხმომავანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში, „ენიშვილის“ შრომებე, ტ. X, 1941, გვ. 185.

<sup>162</sup> ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 75.

ლიზებული თანხმონები, როგორც დამოუკიდებელი ფონემები, მსგავსად აფხაზურ-ადიღური ენებისა. ძველი ქართულის  $\epsilon + \psi$  (უმარცვლო) უნდა იყოს ორი ბგერისაგან შედგენილი კომპლექსი, რაც ბგერობრივ უფრო ახლოს იყო ლაბიალიზებულ თანხმონებთან, ვინემ კომპლექსი  $\epsilon + \zeta$ .

რომ ძველ ქართულში უმარცვლო უ-ს წინამავალი თანხმოვანი არ შეიძლება ყოფილიყო ლაბიალიზებული ფონემა, დასტურდება შემდეგით: ძველ ქართულში უმარცვლო უ-ს წინამავალი თანხმოვანი შეიძლება ყოფილიყო ყველა წინაენისმიერი და უკანაენისმიერი ხშული და სპირანტი:  $\delta$  — მინდურისა,  $\theta$  — თუალი,  $\theta$  — მტუერი,  $\delta$  — ძუალი,  $\zeta$  — ცუარი,  $\psi$  — წუელი,  $\zeta$  — ჯუარი,  $\delta$  — ჩუენ,  $\zeta$  — დაჰმჰუალა,  $\zeta$  — ზუარაკი,  $\delta$  — ხუელი,  $\psi$  — ეჟუანი,  $\psi$  — შიწუელი,  $\zeta$  — გუამი,  $\zeta$  — ქუაბი,  $\zeta$  — კუალი,  $\delta$  — ღუაწლი,  $\delta$  — ხუავი,  $\psi$  — უჟუარს,  $\zeta$  — ვუეზა<sup>163</sup>. მაშასადამე, ძველ ქართულში, თუ კი ყველა შემთხვევაში, სადაც თანხმოვანს მოსდევდა უმარცვლო უ, ვივარაუდებთ ლაბიალიზებულ თანხმოვანს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ძველ ქართულში ყველა ხშულსა და სპირანტს უნდა ჰქონოდა ლაბიალიზებული ვარიანტებიც, რაც როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, არაა სარწმუნო.

ძველ ქართულში უმარცვლო უ-ს ხმარებისა და მისი გენებისის საკითხს საგანგებოდ ეხება ვ. თოდუროია ერთ თავის გამოკვლევაში. მას გამოყოფილი აქვს ძველ ქართულში ოთხგვარი წარმოშობის უმარცვლო უ: ა. უმარცვლო უ ← მ — ქურივი ← ქმრივი, ბ. უმარცვლო უ ← ვ — შეხუაბთ ← მგვაბთ ← \*მე-ვ-ხაბთ, გ. უმარცვლო უ ნიღბული მარცვლიანი უ-საგან რედუქციის გზით — სუელ-ი და დ. ძველი ლაბიალიზებული თანხმონები — კუალი... მოსაზრებას, რომ ძველ ქართულში უმარცვლო უ-ს წინამავალი თანხმოვანი უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული, ვ. თოდუროია იზიარებს შეზღუდულად, რადენადაც ძველ ქართულში გვქონდა უმარცვლო უ სხვა გზით ნიღბული (ვივარაუდებთ უ უმარცვლო, ნიღბული პირველი სამი გზით)<sup>164</sup>.

§ 39. ძველ ქართულ ენაში ორი ლაბიალური კომპლექსიდან —  $\epsilon + \zeta$  და  $\epsilon + \psi$  (უმარცვლო) — პირველი ( $\epsilon + \zeta$ ) ნართლაც ორი

<sup>163</sup> ივ. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953, გვ. 307 — 309.

<sup>164</sup> ვ. თოდუროია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. იკე, 1, გვ. 88.

დამოუკიდებელი თანხმობისაგან შემდგარი კომპლექსია, ისე როგორც, მაგალითად, დეცესიური კომპლექსები ქართველურ ენებში — ცხ, ჩხ, წყ, ჰყ და სხვ., რამდენადაც თითოეული კომპონენტი ამ კომპლექსებისა დამოუკიდებელი ფონემაა. მაგალითად, ხეალე სიტყვის ზვ კომპლექსის პირველი კომპონენტი ხ და მეორე კომპონენტი ვ ამ კომპლექსის გარეჟეც იხმარება (ხარ, ხატავს, კარავი და სხვ.). ამავე დროს ასეთი კომპლექსი ზმნის ფორმებში მიღებულია ხმოვნის რედუქციის საჭეულებით — ხედვა ← \*ხედ-ავ-ა, ხედვიდა ← \*ხედ-ავ-ი-დ-ა და სხვ., ხოლო რაც ძეგება მეორე რიგის ლაბიალურ კომპლექსს — ც + ჟ (უმარცვლ.), კითხვა დგება, იყო თუ არა ასევე ორი დამოუკიდებელი ბგერის (ფონემის) კომპლექსი, თუ აქ ერთი ბგერა გვაქვს, ლაბიალიზებული ფონემა, არსებითად განსხვავებული არაღაბიალიზებულიაგან. თუკი ასეთი კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტიც არ გვხვდება ცალკე ერთეულად, განხილული ლაბიალური კომპლექსის გარეჟე, მაჰინ მეტი საუფუძველი გვაქვს ასეთი კომპლექსის თანხმობანი ელემენტი ნივინნიოთ ლაბიალიზებულ ბგერად. მაგალითად, ძუ კომპლექსის (ძუალე) პირველი კომპონენტი ძ დამოუკიდებელ ფონემად შეიძლება ჩაითვალას, რამდენადაც ასეთი ძ გვაქვს ლაბიალურ კომპლექსს გარეჟეც — ძალა, ძელი .., მაგრამ ითქმის ეს უმარცვლო უ-ს ჰესახებ? სხვა პოზიციასი უ ასოთა აღნიშნებოდა მარცვლანი უ (უნდა, კუდი, უდაბნო...), თუ მართლაც ძველ ქართულში უმარცვლო უნით გამოხატული ბგერა მხოლოდ ლაბიალური კომპლექსი იყო და სხვა პოზიციასი არ გვხვდებოდა, მაჰან ასეთი ბგერა მართლაც არ იქნებოდა დამოუკიდებელი უანეჟა, არამედ წინამავალი თანხმობის თეჟება, ლაბიალიზაცია. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. უმარცვლო უ, იგივე წყვილბაგისმიერი სპირანტი — ჟ, თანხმობებთან კომპლექსის გარეჟეც, როგორც დამოუკიდებელი ფონემა უნდა გვქონოდა ძველ სალიტერატურო ქართულში. ვფიქრობთ, რომ ვინით აღნიშნული ბგერა ზოგ შემთხვევებში უნდა ყოფილიყო იმავე უმარცვლო უნით აღნიშნული ბგერის იდენტური ფონემა, ე. ი. წყვილბაგისმიერი სპირანტი ჟ.

§ 40. შესაძლებელი ხდება ვინით აღნიშნული ზოგი ასეთი წყვილბაგისმიერი ფონემის გარჩევა სხვა აგრეთვე იმავე ვინით.



გამოხატული ბგერისაგან: თუ ეს ვ, ე. ი. წყვილბაგისმიერი ჭ მოხვედებოდა რომელიმე თანხმოვნის ზომღვენო პოზიციაში, მაშინ იგი (ვ, resp. ჭ) გრაფიკულად მიიღებდა უმარცვლო უნის სახეს. ასეთი წყვილბაგისმიერი ვ (ე. ი. ჭ) უნდა გვექონდეს ზმნის ფუძე-ებში ვალ (ვალს), ვედ || ვიდ (წარვედ). როცა ამ ფუძეებს წინ და-ერთოდა მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ხ, ვინი იღებდა უმარ-ცვლო უნისა და სათანადო შემთხვევებში ჯ-ს სახეს: წარ-ხ-უალ ← \*წარ-ხ-ვალ (resp. წარ-ხ-ჭალ), ხ-ჯდოდი ← \*ხ-ვიდოდი (resp. ხ-ჭი-დოდი).

გზასა წარმართთასა ნუ ხუალთ (ოთხ. მ. 10,5)

უფალო, ვიდრე ხუალცა? (ოთხ., ი. 13, 36)

მიგდევდე შენ, ვიდრე ხჯდოდი (ოთხ., მ. 8, 19)

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ამავდევ ვალ ზმნური ფუძისაგანაა ნაწარმოები ბრძანებითის ფორმა გუალე „გაიარე“, სადაც ძირისეული ვ-ს წინ ფონეტიკურად განვითარებულა გ უკანაენისმიერი თანხმოვანი<sup>165</sup>. როგორც ჩანს, აქაც ძირისეული წყვილ-ბაგისმიერი ვ (resp. ჭ) ვ-სთან ძველი ქართული ორთოგრაფიის შესაბამისად გადმოცემულია უ-თი: გუალე ← \*გვალე.

გუალე, ვიდოდე მუჯდობით! (ოთხ., ლ. 7,50).

ვინით უნდა ყოფილიყო ძველ ქართულში გადმოცემული წყვილბაგისმიერი ბგერა ჭ (უმარცვლო უ) სხვა შემთხვევებშიც:

ა. პირველი სუბიექტური პირის ვ პრეფიქსი როცა მოექცე-ოდა ძველ ქართულში მესამე ობიექტური პირის მ || ხ პრეფიქსის მომდევნო პოზიციაში, ვინი შეიცვლებოდა უმარცვლო უნით ხან-მეტ ღებლებში, მაგალითად, ვესავთ ზმნის ფორმა წარმოდგენი-ლია ასე: ხუესავთ.

ხოლო ჩუენ ხუესავთ, ვითარმედ იგია, რომელმან იქსნეს ისრაელი (ხანმ. ლექც., 29, 21).

ასევე, ბოლნისის სიონის ცნობილ წარწერაში ვხვდებით ფორმას შეხუაბთ [ქარი ესე], სადაც მესამე ობიექტური პირის ნიშანი ხ დგას პირველი სუბიექტური პირის ვ პრეფიქსის წინ<sup>166</sup>: აქაც ვინი გრაფიკულად შეიცვალა უნით — შეხუაბთ ← შეხვაბთ.

<sup>165</sup> ვ. თ. ფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში V ენიშის მოამბე, ტ. X, 1941, გვ. 233.

<sup>166</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თბილისის უნივერსიტეტის ნომბე, II, 1922, გვ. 280.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზმნის ფორმაში არც ფუძისეული ვ (ჟ) — ვალ და არც პირის ნიშანი ვ (ჟ) — ვანთებ არ შეიცვლება უმარცვლო უნით პრევერბისეულ წინამავალ თანხმოვანთან — აღ-ვალ, აღ-ვიდოდი და სხვ.: ამა ესერა აღვალ იერუსალმად (ოთხ., ლ. 18, 31)... იყენეს ივინი გზასა ზედა და აღვიდოდეს იერუსალმად (ოთხ., მრ. 10, 32).

აიხსნება ეს იმით, რომ პრევერბები ძველ ქართულში არ იყო ზმნასთან არსებითად შეკავშირებული. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში პრევერბსა და ზმნას 'მორის' შეიძლება მოთავსებულყო ან ნაცვალსახელი, ანდა სხვა საგარემოებო ნაწილაკები (ტმესი): აღ-ანთის, მაგრამ აღ-ნუ-ვინ-ანთის.

აღ-ნუ-ვინ-ანთის სანთელი და ქუეშე შედგის გვირსა ... (ოთხ., მრ. 4, 21).

ბ. მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშანი გვ — გვეტყოდა, გვაქეს და სხვ..., როგორც ცნობილია, მიღებულია ვ პირველი პირის აფიქსზე უკანაენისმიერი ვ ხშულის ფონეტიკურად განვითარების გზით. ეს ვ იგივეა, რაც სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ.<sup>167</sup> ძველ ქართულში ეს ვ (resp. ჟ) სპირანტიც წარმოდგენილი იყო უმარცვლო უნით — გუეტყოდა...

ვიდრე-იგი გუეტყოდა ჩუენ (ოთხ., ლ. 24, 32)

არარაა გუაქუს, გარნა ხუთი ქუეზაა პური... (ოთხ., მ. 14, 17)

გ. ძველს ქართულში წყვილბაგისმიერი ვ (ჟ) უნდა გექონოდა სახელურ ფუძეში თავი. ეს ვ სონანტიც წინამავალ თანხმოვანებთან მეზობლობაში უ ასოთი იყო აღნიშნული:

ახალი ქართულის თავისი ნაცვალსახელი ნაწარმოებია ნათესაობითის ის სუფიქსით სახელისაგან თავ<sup>168</sup>. ძველ ქართულში ეს ნაცვალსახელი იხმარებოდა ხმოვანშეკუმშული სახით, თავის-ი → თვ-ის-ი, სადაც ვ ძირისეულ თ თანხმოვანთან უმარცვლო უნის სახით წარმოდგებოდა და მომდევნო თ ხმოვანთან ერთად აღინიშნებოდა ჯ ასოთი — თჯსი.

მან ივსნეს ერი თჯსი ცოდვათა მათთაგან (ოთხ., მ. 1, 21).

<sup>167</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილები სისტემაში, იკვ, I, 1946, გვ. 123.

<sup>168</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 115.

ასევე, ნაცვალსახელი, თვით ნაწარმოებია იმავე თავ ფუძისაგან მოქმედებითი ბრუნვის აფიქსით<sup>169</sup>. ძველ ქართულში აქაც ვი წარმოდგენილი იყო ჯ ასოთი — თვით.

თვით იგი დავით იტყვს სულითა წმიდითა (ოთხ., მრ. 12, 36).

თავ ფუძის ვ წინამავალ თანხმოვანთან ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია უმარცვლო უ-თი კომპოზიტიში თავუუანი სცემა, მიღებული თავუანის-ცემ-ისაგან (ა. შანიძე).

კეთროვანი ვინმე მოუქდა, თავუუანის-სცემდა მას და ეტყოდა (ოთხ., მ. 8, 2).

თავ ფუძის ვინის შეახებ აქ გამოთქმულ ვარაუდს, ეფიქრობთ, მხარს უჭერს ქართული ენის მთიულური კილოს თავისებურებანი. როგორც არნ. ჩიქობავას აქვს შემჩნეული, მთიულურში ვა კომპლექსი შეიცვლება მ მარტივი ხმოვნით, თუ ასეთი ვ-ს ნაცვლად ძველ ქართულში იყო უმარცვლო უნი — მთიულური თლოი-თვალი, შდრ. ძვ. ქართული თვალი და სხვ..., ხოლო თუ ვა კომპლექსის ვ ძველ ქართულშიც წარმოდგენილი იყო ვინით, ასეთი ვა უცვლელი რჩება მთიულურშიც — ქვა, ხვალ... მაგრამ გამო-ნაკლისის სახით ნაჩვენებნი აქვს ორი სიტყვა, რომლებშიც ვა კომპლექსს მოუტია მ ხმოვანი — გადმოიყონა ← გადმოიყვანა, მთორ ← მთავარ, თუმცა ძველ ქართულში დასახელებულ მაგალითებში ვა კომპლექსი წარმოდგენილი იყო არა უმარცვლო უნითა და ანით, არამედ ვინითა და ანით<sup>170</sup>. ეფიქრობთ, კერძოდ აქ მთავარ სიტყვის ფონეტიკური სახეობის მხრივ სრულ კანონზომიერ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე მთიულურში, რამდენადაც ამ სიტყვაში ვინით აღინიშნებოდა სწორედ წყვილბაგისმიერი ფ.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში რიგ შემთხვევაში ვ ასოთი გამოხატული ბგერა წინამავალ თანხმოვანთან წარმოდგენილია უმარცვლო უნით, რაც, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ ასეთი ვ ფონემა იგივეა, რაც უმარცვლო უნით გამოხატული ფონემა ლაბიალურ კომპლექსებში — გუ, ქუ, კუ, ძუ, ცუ, წუ... ე. ი. წყვილ-ბაგისმიერი ფ.

სპეციალურ ლიტერატურაში ყველა ზემო დასახელებულ შემთხვევაში თანხმოვნებთან მომდევნო პოზიციაში ძველ ქართულში

<sup>169</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

<sup>170</sup> არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშკის შიამბე, II, 1937, გვ. 46.

გ-ს შენაცვლება უმარცვლო უნით სხვაგვარადაა ახსნილი. ასე, მაგალითად, ერთერთი ასეთი შემთხვევის (შეხებათ) შესახებ ა. შანიძე წერს: „ვინი ქართულში მეტად მოძრავი ბგერაა, რომელიც შეიძლება გადაისვ-გადმოისვას სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოში. შეეხებათ ფორმაშიც მას ადგილი უცვლია ხანისათვის და წარმომდგარა შეხებათ, რომელშიაც შემდეგ ეს ვინი უკვე უმარცვლო უნად ქცეულა: შეხებათ. ვინის უმარცვლო უნად ქცევა გასაკვირი არ არის, რადგანაც იგივე მოვლენაა მოგალს — მოვიდა ზმნაში, სადაც მეორე პირისათვის ძველს ქართულში ასეთი ფორმები მოიპოვება: ხუალ (← მოხვალ), მოხუედ (← მოხვეედ), მოხჯდე (← მოხვიდე)<sup>171</sup>.

როგორც ჩანს, ა. შანიძე ამ შემთხვევაში ვინის შენაცვლებას უნით ძველ ქართულში მიაწერს მხოლოდ წინამავალ თანხმოვანთან მეზობლობას. რომ ვინის უმარცვლო უნად შენაცვლება დასახელებულ მაგალითებში არ აიხსნება მხოლოდ თანხმოვანთა მეზობლობით (კომპლექსით), დასტურდება მრავალი ფაქტით, სადაც ვინი იმავე წინამავალ თანხმოვნებთან პოზიციაში არ იცვლება უნით. ასეთი შემთხვევებია:

ქართველი, ადგილი, ქვა, ჯინჯველი, საზღვარი, წყვილი, ფქვილი, ხვალე, ყველ-ი...

რისხვა (პრისხავს): იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა (ოთხ., მრ. 10,41).

ლოცვა (ლოცავს): სასმენელ იქმნეს ლოცვანი შენნი (ოთხ., ლ. 1,13).

ზრახვა (ზრახავს): ზრახვა ყო, რაათა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი (მარტ. შუშ., II, 2).

ტანჯვა, მტანჯველი (ტანჯავს): იყო რაა იგი ტანჯვასა შინა (ოთხ., ლ. 16,23); ...მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა (ოთხ., მ. 18,34).

ხედვა (ხედავს): ხედვით მხედვიდეთ და არა იხილოთ (ოთხ., მ. 13,14).

ცოდვა (ცოდავს): ყოველი ცოდვაა და გმობაა მიეტევოს კაცთა (ოთხ., მ. 12,31) და სხვ...

<sup>171</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 280.

ამგვარად, ღველ სალიტერატურო ქართულ ენაში გ ასოთი უნდა ყოფილიყო გადმოცემული ორი ფონემა (ისევე, როგორც უნით იყო გადმოცემული ორი ფონემა — მარცვლიანი უ და უმარცვლო ჟ): ერთი — წყვილბაგისმიერი გ (ჟ) — ვალ, ვედ, თავ., რაჲპ. უმარცვლო ჟ წინამავალ თანხმოვნებთან — კუალი, ძუალი და სხვ., მეორე — გ ზმნურ სუფიქსებში — კლავს, დაუტევა... სახელებში — ქვა, საზღვარი და სხვ... როგორი უნდა ყოფილიყო ეს მეორე გ ბგერა? თუ პირველი ბგერა, ვინით გადმოცემული წყვილბაგისმიერი იყო (ჟ), მეორე ბგერა, ვინით გადმოცემული თითქოს კბილბაგისმიერი შეიძლება ყოფილიყო. ასეთად თვლიან სპეციალურ ლიტერატურაში საერთოდ ვინით გადმოცემულ ბგერას, განსხვავებით უმარცვლო უნით გადმოცემული ბგერისაგან. და მაინც ვინით გადმოცემული ბგერის კბილბაგისმიერად მიჩნევა არ უნდა იყოს სარწმუნო: ქართველური ენებისათვის და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის არაა დამახასიათებელი კბილბაგისმიერი გ სპირანტი. ისეთი სპირანტი, როგორიცაა რუსული გ, ამ ენებისათვის უცხო იყო. ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (აფხაზურში, ყაბარდოულში) დადასტურებულია ასეთი გ, ოღონდ გვიანდელი წარმოშობისა. ასეთი გ ამ ენებში არსებითად განსხვავებულია წყვილბაგისმიერი გ (ჟ). ფონემისაგან, რომელიც ამ ენების ძველი კუთვნილება ჩანს<sup>172</sup>.

ღველ ქართულ სალიტერატურო ენაში ვინით გადმოცემული მეორე ფონემა შეიძლება ყოფილიყო თითქოს კბილბაგისმიერისა-კენ გადახრილი, როგორც ამას გაკვრით აღნიშნავს არნ. ჩიქობავა ძველ ქართულში საერთოდ ვინით გადმოცემული ბგერის შესახებ<sup>173</sup>, ანდა შეიძლება უფრო ვიწრო სპირანტი, ვინემ წყვილბაგისმიერი ჟ. ასეთი გ ძველი ქართულისა, ჩვენი აზრით, მეორეული ფონემა უნდა იყოს. იგი უნდა მომდინარეობდეს ლ სონორისაგან. გარკვეულ პოზიციაში ძველად ქართულში ლ გადასული. ჩანს გ-ში, ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს ზემოთ ნაჩვენები: ტ-ეგ (დაუტევა) ← \*ტ-ელ, (ნ. მარი), წყ-ეგ ← \*წყ-ელ (გვ. 26) და სხვები. ჩვენ აქ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს დადასტურებული ძველს ქართულში

<sup>172</sup> ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ვ. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, 1944, გვ. 36.

<sup>173</sup> არნ. ჩიქობავა, Н. М а р р, Грамматика древнелитературного Грузинского языка, Мимომბილველი, 1926, გვ. 324.

გ-ს მიღებისა ლ-საგან ზმნურ ფუძეებში. სხვა ადგილას ჩვენ ნა-ჩვენები გვაქვს რიგ სხვა ზმნურ ფუძეში და აგრეთვე სახელის ფუძეებშიც ლ-ს გადასვლა გ-ში. სათანადო კვლევა-ძიების ჩატარების შედეგად, ვფიქრობთ, დადასტურდება ამ მეორეული გ სპირანტის წარმომავლობა ყველა შემთხვევაში ლ სონორისაგან. ასეთი მეორეული გ, თითქოს კბილბაგისმიერიისაკენ გადახრილი, შემდეგში ქართულში, ვფიქრობთ, ბგერობრივ და აგრეთვე ფონემატურადაც შეიცვალა. იგი გაუტოლდა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ უძველეს წყვილბაგისმიერ გ (ჟ) სპირანტს (უმარცვლო უ-ს)<sup>174</sup>. ახალ ქართულში და საერთოდ ქართველურ ენებში გ არსებითად წყვილბაგისმიერი სპირანტია. სპეციალურ ლიტერატურაში სხვაგვარი მოსაზრებებია გამოთქმული ახალი ქართულის გ სპირანტის შესახებ.

§ 41. არნ. ჩიქობავას დაკვირვებით ახალ ქართულში გ განსხვავებულია პოზიციურობის მიხედვით: „გ ასოთი აღნიშნული ბგერა ქართულში თანხმოვნების შემდეგ ჩვეულებრივ არსებითად წყვილბაგისმიერია და მხოლოდ ხმოვანთა შორის იხრება ის კბილბაგისმიერობისაკენ (ზღრ. კვალი — ივანე)<sup>175</sup>. შეიძლება ამავარიგის სხვაობა აქვს მხედველობაში არნ. ჩიქობავას, როცა იგი ძველ ქართულში გ ასოთი გამოხატული ბგერის შესახებ წერს: „ძვ. ქართულში გ ბგერა გარკვეულ შემთხვევაში იხმარებოდა; საფიქრებელია, რომ სათანადო ბგერა ფონეტიკურად ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირი არ იყო“<sup>176</sup>.

შესაძლებელია, მართლაც, გ სპირანტი (ისევე, როგორც ზოგი სხვა ბგერა) პიზიციურობის მიხედვით ბგერობრივ განსხვავებას იძლეოდეს. მართლაც, წინამავალ თანხმოვანთან მეზობლობაში (კვალი) უფრო ნათლად ჩანდეს მისი წყვილბაგისმიერობა, ხოლო ინტერვოკალურ პოზიციაში (ივანე) იგი, როგორც უფრო დავიწროებული, რამდენიმედ. მაინც კბილბაგისმიერი გ-ს აქუსტიკურ

ქ. 174 გ. რ. ო. გ. ა. ვ. გ. ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958, გვ. 123.

ქ. 175 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიკის მოაზრებ., II, გვ. 44.

176 არნ. ჩიქობავა, დასახელ. ნაშრ., გვ. 45.

შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ ვ ბგერა ქართულში არსებითად ყველა პოზიციის წყვილბაგისმიერი სპირანტი.

სხვა მკვლევარები ახალი სალიტერატურო ქართული ენის ვ სპირანტს თვლიან კბილბაგისმიერად.

ასე, მაგალითად, ა. შანიძე „ქართულ გრამატიკაში“ წერს: „ვ ეს არის კბილბაგისმიერი (დენტოლაბიალი)“<sup>177</sup>. მასვე „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ვ ბგერის წარმოება ასე აქვს აღწერილი: „ქვედა ბაგე უახლოვდება ზედა კბილებს. იწრუაში ჰაერის გამოტანებისას წარმოიშობა კ ბ ი ლ - ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი (დენტოლაბიალი) ნაპრალოვანი ბგერა — სპირანტი ვ“<sup>178</sup>.

ამავე ვ ბგერის შესახებ გ. ახვლედიანის ნაშრომში — „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ ვკითხულობთ: „ვ (ძ) წარმოიქმნება გასწვრივი ნაპრალით ქვედა ტუჩსა და ზედა წინაკბილებს შუა; მაშასადამე, ადგილის მიხედვით ტუჩ-ანუ ბაგე-კბილისმიერებია“<sup>179</sup>. ამავე ავტორის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ ქართული ვ ისევე კბილბაგისმიერადაა მიჩნეული და იგი გათანაბრებულია რუსული ენის ვ სპირანტთან: „ქვედა ტუჩსა და ზედა კბილებს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ჩვეულებრივი ვ და ძ — ქართულისა და რუსულის სპირანტთა პირველი წყვილეული“<sup>180</sup>.

ვიმეორებთ, ვ სპირანტი ქართულში არსებითად წყვილბაგისმიერია. მისი კბილბაგისმიერად მიჩნევა და რუსული ენის ვ სპირანტთან გათანაბრება არ არის სარწმუნო. ქართული ვ და რუსული ვ პრინციპულად ისევე განსხვავებული ბგერებია, როგორცაა ქართული ფ და რუსული ძ.

ს. ჟღენტი რენტგენოგრაფული მონაცემების მიხედვით ქართულში არჩევს ორ ვ-ს: „ლიტერატურულ წარმოთქმაში ვ კბილბაგისმიერი სონანტია. დიალექტებში უმეტეს შემთხვევაში იგი წყვილბაგისმიერია“<sup>181</sup>.

<sup>177</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, 1930, გვ. 5.

<sup>178</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 13.

<sup>179</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1936, გვ. 50.

<sup>180</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 84.

<sup>181</sup> ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 158.

ქართული გ წყვილბაგისმიერი სპირანტია ისევე, როგორც ეს დიალექტებში გამოაჩინა რენტგენოგრაფიამ. ეს არის საერთოდ ქართული გ-ს დამახასიათებელი ნიშანი. თუ კი სალიტერატურო ქართულზე მოლაპარაკემ გ მართლაც გამოთქვა როგორც კბილბაგისმიერი, ეს გამოთქმის არაბუნებრიობას ან სხვა ენის გავლენას უნდა მიეწეროს.

§ 42. ამგვარად, ძველ სალიტერატურო ქართულში ორივე ლაბიალური კომპლექსის —  $C + g$  და  $C + ʒ$  (უმარცვლო) ორივე კომპონენტი დამოუკიდებელი თანხმოვანი ყოფილა. ამათში უფრო ძველი ჩანს ლაბიალური კომპლექსი  $C + ʒ$  (უმარცვლო), თვით ლაბიალური კომპლექსი —  $C + ʒ$  (უმარცვლო) ყველა შემთხვევაში ერთი ხნოვანობისა არაა. უძველესი ჩანს საერთო ქართველური წარმოშობის ლაბიალური კომპლექსი  $C + ʒ$  (უმარცვლო). სხვა შემთხვევაში ასეთი კომპლექსი უფრო გვიანდელია და, როგორც ვ. თოფურიას აქვს ნაჩვენები, თვით ქართულში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგადაა მიღებული.

რაც შეეხება ლაბიალურ კომპლექსს —  $C + g$ , იგი საერთოდ უფრო გვიანდელი წარმონაქმი ჩანს. რამდენადაც გ ქართულში ლ-ს რეფლექსი გამოდის მთელ რიგ შემთხვევაში (განსაკუთრებით ზმნის ფუძეებში), უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულს გარკვეულ ეპოქამდე ლაბიალური კომპლექსი  $C + g$  არ უნდა ჰქონოდა. შესაძლებელია ასეთი კომპლექსის გ სონანტი ქართულში (და, საერთოდ, ქართველურ ენებში) სხვა გზითაც იყოს ზოგ შემთხვევაში მიღებული, მაგრამ მაინც ეს ბგერა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო პირველადი. ლაბიალური კომპლექსი  $C + g$  ზანურში თითქოს არ უნდა გვექონდეს, რამდენადაც ზანურისათვის უცხოა პროცესი  $ლ \rightarrow g$  (თუმცა არაა გამორიცხული ზანურში იყოს შემონახული ასეთი კომპლექსი ლ-ს დარბილებამდელი ეპოქისა). არსებითად კი საკუთრივ ზანურში მხოლოდ პირვანდელი ლაბიალური კომპლექსი შეიძლება გვექონდეს:  $C + ʒ$  — ჯუში „ძველი“...

სვანურში ამთავითვე შეიძლება დავასახელოთ სულ ცოტა ოთხი რიგის ლაბიალური კომპლექსი: I. უძველესი, საერთო-ქართველური წარმოშობისა — ჯუშინელ „ძველი“, შდრ. ძვ. ქართული ძველი, ზანური ჯუში-ი „ძველი“, II. მეორეული ლაბიალური კომპლექსი —  $C + g$ . ასეთი კომპლექსი უნდა გვექონდეს სვანურში, რამ-



დენადაც, როგორც ცნობილია, სვანურში რიგ შემთხვევაში ლ გადასული ჩანს ვ სონანტში<sup>182</sup>, III. ლაბიალური კომპლექსი, მიღებული უმლაუტიზაციის გზით, სვანური ჯ უ ე გ ← ჯოგ, ქართ. ჯოგ-ი და IV. ლაბიალური კომპლექსი, მიღებული სიტყვის თავში უკანაენის-მიერთა ფონეტიკური დართვით — სვან. ლუაშ ← ვაშ „ჯიხვი“<sup>183</sup>. ამ რიგის ლაბიალური კომპლექსი ცნობილია ქართულშიც.

§ 43. ზანურის კილოკავებში უ ხმოვნის გ-ში გადასვლის პირობების გათვალისწინებით ზოგ შემთხვევაში გაირკვა, ძველი ქართულის ლაბიალური კომპლექსი — C + უ (უმარცვლო) როდისაა უძველესი, საერთო-ქართველური წარმოშობისა და როდის, უფრო გვიანდელი წარმოშობისა. უძველესი ლაბიალური კომპლექსები ჩანს, მაგალითად, ძველ ქართულში კუამლ-ი, კუართ-ი, უკუანა, და სხვ., რამდენადაც ფუძისეული ა ხმოვნის კანონზომიერი შესატყვისი ზანურში უ წინამავალ ლაბიალურ კომპლექსთან მეზობლობაში უცვლელი დარჩა მეგრულსა და ქანურის ხოფურ კილოკავშიც: კუმა (გვ. 88), კურთა (გვ. 90), უკული (გვ. 90)...

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ძველ ქართულში მეორეულ ლაბიალურ კომპლექსად არის მიჩნეული სუ სახელურ ფუძეში სუ-ელ-ი (ვ. თოფურია). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზანურის მონაცემები: ზანურში ამ ფუძის კანონზომიერ შესატყვისში შუ ძირისეულ თანხმოდან შ სპირანტს არ ახლდა ლაბიალური ელემენტი (ჟ), რის გამოც ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში უ → ჯ — ზუგდ.-სამ. შუ (გვ. 71).

ქართ. სუ-ელ || სუ-ელ ფუძის სუ ძირისეულ ნაწილს სპეციალურ ლიტერატურაში უკავშირებენ ზმნურ ფუძეს სუ-ამ-ს || ძვ. ქართ. სუ-ამ-ს. ამ მოსაზრებას არ უჭერს მხარს ზანურის მონაცემები: სუამს, ზან. შუნ-ს ზმნის ძირისეული ნაწილი საერთო-ქართველური პერიოდის ლაბიალური კომპლექსია, რის გამო ზანურის კილოკავებში აფიქსისეული უ ხმოვანი უცვლელი რჩება (გვ. 17).

<sup>182</sup> Н. Марр, Где сохранилось сванское склонение, ИИАН, 1911, გვ. 1201.

<sup>183</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ენიკის მთაბზე, ტ. X, გვ. 233.

ასევე ჩვენ ნაცვალსახელში (ძვ. ქართ. ჩუენ) ძირისეული ჩუ-ს უ ხმოვანი ისტორიულად მარცვლიანი უნდა ყოფილიყო, შდრ. ზუგდ.-სამ. ჩქგ ← ჩქჟ (გვ. 64) და სხვ...

ზანურის კილოკავების მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ ქართულის ფუძეებში — სულ-ი || სუნ-ი, გულ-ი და სხ... ძირისეული თანხმოვნები ხ, გ... ისტორიულად წარმოადგენდენ ლაბიალურ კომპლექსებს: ხულ ← \*ხჟ(უ)ლ, გულ ← გჟ(უ)ლ და სხვ., შდრ. ზანური შესატყვისი ფუძეები გურ-ი (გვ. 86), შურ-ი (გვ. 87), რომლებშიც უ ხმოვანი შემონახული ჩანს ყველა კილოკავში.

## დასკვნითი დებულებები

1. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ზანურის კილო-კავებში ხმოვანთა შესატყვისობანი: ვიწ.-არქ. და ათინ. უ — დაჩხურ-ი, ხოფ. ი — დაჩხირ-ი, მეგრ. ი — დაჩხირ-ი „ცეცხლი“... ვიწ.-არქ. და ათინ. თ — ოქკორუ, ხოფ. ი — ოქკირუ, მეგრ. ი — ოქკირუ „ჭრა“...

2. ამ შესატყვისობებში ამოსავლად მიჩნეულია უ და თ ხმოვ-ნები: დაჩხირ-ი ← დაჩხურ-ი, ოქკირუ ← ოქკორუ (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა).

3. ხმოვანთა ამ მიმართებაში მეგრულის კილოკავებში ერთნა-ირობა არ დასტურდება. ი დამახასიათებელია სენაკური კილოკა-ვისათვის. ზუგდიდურ-სამურზაყანულში ასეთ ფარდობაში გვაქვს მუდამ ჯ ირაციონალური ხმოვანი: ვიწ.-არქ. და ათინ. უ — დაჩხურ-ი, ხოფ. ი — დაჩხირ-ი, სენაკ. ი — დაჩხირ-ი, ზუგდ.-სამ. ჯ — დაჩხურ-ი; ვიწ.-არქ. და ათინ. უ — ჰკუდ-ი, ხოფ. ი — ჰკიდ-ი, სენაკ. ი — ჰკიდ-ი, ზუგდ.-სამ. ჯ — ჰკიდ-ი „მქადი“ და სხვ...

